

ქაღაბი კარგობებში

მითაბის დაკონსტრუქცია

ქაღაბი პარსიებში

მითაბის დაქონსტრუქცია



Sapari / სავაიჩი

თბილისი
2017 წელი



*Empowered lives.
Resilient nations.*

კვლევის ანგარიში მომზადდა კავშირ “საფარის” მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით, გაეროს ერთობლივი პროექტის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება, არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

The report was prepared by Union Sapari with support of the United Nations Development Programme (UNDP) component within the framework of the United Nations Joint Programme for Gender Equality financed by the Government of Sweden. The views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily represent those of the international organisations listed above.

ავტორი: გიორგი ურჩუხიშვილი

კავშირი “საფარი”

მისამართი: ქანთარიას 11/ა, 0160, თბილისი, საქართველო; ტელეფონი: 032 2 307 603; ვებგვერდი: sapari.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საფარის” წერილობითი ნებართვის გარეშე. (c) 2016, კავშირი “საფარი

შინაარსი:

აბსტრაქტი	5
პრობლემის აღწერა/შესავალი	6
კვლევის მიზანი	16
კვლევის ამოცანები	16
კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომა/თვალთახედვა	16
კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი	18
რესპონდენტების ტიპები	19
შერჩევა	21
კვლევის შედეგების გამოყენების სივრცე	21
საველე სამუშაოები, ინტერვიუების ჩაწერის პროცესი, მონაცემების შეგროვება	22
ეთიკური საკითხები	23
ტრანსკრიპტების მომზადება და ტექსტის კოდირება (გაანალიზებული თეორიული კატეგორიების შექმნა)	23
თეორიული კატეგორიები	24
პარტიკულში არსებული სიტუაციის მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი	26
A1.1. რეკრუტმენტი	27
A1.2. შიდა მობილობა და დანინაურება	31
A1.3. ცენტრალიზებული მართვა და ელიტურობა	32
A2. შიდაპარტიული შრომის გენდერული დანაწილება	36
A2.1. პარტიული სამუშაოების გენდერი	36
A2.2 “ფსევდომზრუნველობა”	38
A2.3. შრომის ეთიკისა და პასუხისმგებლობების გენდერი	39
A3. კულტურული შფოთვები და სტერეოტიპები პარტიის შიგნით	41
A3.1 პატრიარქალური ინერცია (“ამომრჩეველს სურს კაცი კანდიდატები”)	41
A3.2. შიდაპარტიული კონფორმიზმის გენდერი	42
A3.3. ქალის სხეულის კონტროლი/სტიგმატიზაცია	43
A3.3.1. ქალი როგორც არასანდო პოლიტიკური პარტნიორი (ევა)	43
A3.3.2. “პროვინციელი ქალი” (ბუნება vs აღზრდა)	44
A3.3.3 “გათხოვება”/ “ქმარი”/“ოჯახი”/“ნათესავები”/“პასუხისმგებლობის გენდერი”	45
A3.3.4. “დედის გასაჭირი” (“ორსულობა/დეკრეტი”)	46
A3.3.5. “ვიზუალი/იმიჯი”, “სექსუალობა” და “ასაკი”	46
A3.3.6. “პოლიტიკა ბინძურია”	48

A3.3.7. “ქალი დეპუტატობის კანდიდატი/კონფლიქტური ქალი”	49
B. გარეპარტიული კატეგორიები	50
B1 პარტიაში მოსვლის ალტერნატივები	50
B1.1. მიგრაცია პატარა ქალაქებიდან	51
B1.1.1. სასწავლო და სამუშაო მიგრაცია	51
B1.2 დაქორწინება	52
B1.3 ანაზღაურებადი სამუშაო	53
B2. გარეპარტიული შფოთვები ქალის პარტიულობაზე	54
B2.1 ოჯახი, ნათესავები, მეგობრები და მეზობლები	54
მონაცემებზე დაფუძნებული ინტერპრეტაცია. მითები და მათი დეკონსტრუქცია	57
“მამაკაცურობისა და ქალურობის კრიზისი პარტიებში”/გამომჟღავნებული მითები	60
შიდაპარტიული მითები	87
“მამაკაცურობისა და ქალურობის კრიზისი პარტიების გარეთ.”/გამომჟღავნებული მითები	88
დასკვნა/მითების დეკონსტრუქცია	96
რეკომენდაციები	116
გამოყენებული ლიტერატურა	119

აბსტრაქტი:

ტრანსფორმაციულ პერიოდში საქართველომ და, განსაკუთრებით, ქართულმა პოლიტიკამ დემოკრატიის გამონწვევებს ვერ გაუძლო და პირველადი რეაქცია, რაც გლობალიზაციასა და გენდერული ცოდნის შემოჭრაზე გამოამჟღავნა, აღმოჩნდა “ქალების პოლიტიკიდან გარიყვა.”

ქვემოთ მოცემული კვლევის მიზანია “ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა და იმ მიზეზის დეკონსტრუქცია, რომლებიც სოციალურ და პოლიტიკურ (პარტიულ) რეალობას ისე ქმნის, რომ ძნელია მისი დემოკრატიულ, თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულ სტრუქტურად გარდაქმნა”. ფემინისტური და ინტერსექციონალური მიდგომის, პირისპირი ინტერვიუს მეთოდისა და მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის გამოყენებით შევისწავლეთ, გავაანალიზეთ და შევქმენით თეორია ქართულ საპარლამენტო პარტიებში (“ქართული ოცნება”, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”, “საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”, “ევროპული საქართველო”) არსებულ სოციალურ რეალობასთან დაკავშირებით. შევეცადეთ, გაგვეჩვენოთ, როგორია ის გენდერირებული და დაუნერგელი სოციალური პარტიული პრაქტიკები, მიზეზი, რომელიც პოლიტიკაში პარტიული ქალებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს წლების განმავლობაში. სულ ჩავატარეთ 35 პირისპირი ინტერვიუ, შესწავლილი პარტიების ზედა, საშუალო და ქვედა რგოლის წარმომადგენლებთან, თბილისში, თელავში, დედოფლისწყაროში, ზუგდიდსა და ფოთში. გამოვამჟღავნეთ 19 შიდაპარტიული და 8 გარეპარტიული მითი და მონაცემების ინტერპრეტაციის საშუალებით ვცადეთ ამ მიზეზის დეკონსტრუქცია და იმ რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც პარტიებს შეუწყობს ხელს განვითარებასა და წინსვლაში.

პრობლემის აღწერა/შეხასპალი

1989 წელს, ფრანგული რევოლუციის მე-200 წლის თავზე, აღმოსავლეთ ევროპაში ახალი რევოლუციების წელი დაიწყო, რომელიც თავისი მნიშვნელობით 1789 წელზე არანაკლებ საინტერესო იყო. 1989 წელს აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურმა რეჟიმებმა, ერთიმეორის მიყოლებით, დაკარგეს ძალაუფლებაზე კონტროლი.¹ საბჭოთა კავშირში დაიწყო ე.წ. “პერესტროიკა”, რომელიც საქართველოსაც შეეხო. ქვეყანა გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო და გადავიდა მმართველობის დემოკრატიულ სტილზე.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა და მათ შორის საქართველომაც, ახალი კონსტიტუციების დაწერისა და მრავალპარტიული საპარლამენტო სისტემების შექმნის პროცესში, დიდ წარმატებებს მიაღწია. უმეტეს შემთხვევაში, პარტიების სპექტრი დასავლეთ ევროპის ქვეყნების პარტიების მსგავსია.²

ამავდროულად, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ახალი საზოგადოების მშენებლობის გზაზე, ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური სიძნეელების წინაშე აღმოჩნდნენ.³

გაჩნდა ახალი შეკითხვები და გამოწვევები: “შეძლებენ თუ არა **აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის** ქვეყნები, შექმნან მმართველობის სტაბილური, ლიბერალური, დემოკრატიული სისტემები?⁴ მაშინ, როდესაც უმრავლესობას არ ჰქონია ლიბერალური დემოკრატიის დამოუკიდებელი ისტორია, ხოლო, ზოგიერთი მათგანი მანამდე საერთოდ არც კი არსებობდა, როგორც ცალკე სახელმწიფო”⁵. ეს მსჯელობა შეესაბამება საქართველოსაც, რომელსაც 90-იან წლებამდე ცალკე სახელ-

¹ ე. გიდენსი, “სოციოლოგია”, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2012 წელი, გვ. 388-421;

² იქვე. გვ. 388-421;

³ იქვე. გვ. 388-421;

⁴ სამუელ ჰანტინგტონის აზრით, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ალბათ, გადამწყვეტ გავლენას ახდენს ამ პროცესზე, მათ შორის: ქონდათ თუ არა ამ ქვეყნებს ლიბერალური დემოკრატიული მმართველობის გამოცდილება წარსულში, როგორია მათი ეკონომიკური განვითარების დონე, რამდენად ეფექტურად მართავდნენ ქვეყანას წინა კომუნისტური რეჟიმის დროს და რამდენად კარგად შეძლებენ ახალი მთავრობები ეკონომიკური რეფორმის რადიკალური პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებას

⁵ იქვე. გვ. 388-421;

მნიფოდ არსებობის მხოლოდ სამ-წლიანი გამოცდილება ჰქონდა⁶. შესაბამისად, ქვეყანა, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში, მრავალი ახალი გამოწვევის წინაშე დადგა.

მერაბ მამარდაშვილს თუ დავესესხებით, საქართველო პატარა ბავშვს დაემსგავსა, რომელსაც რუსული იმპერიისგან დამოუკიდებლად, თავისით უნდა ესწავლა სიარული, ლაპარაკი, განეცადა ყმანვილობა, მრავალი მსოფლმხედველობის მოსინჯვა და ცვლილება, რათა ზრდასრულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო. 26 წლის განმავლობაში ზრდასრულად ჩამოყალიბების გზაზე, საქართველომ ბევრი რთული სოციალური და პოლიტიკური მოვლენა გამოსცადა: გლობალიზაცია, გლობალური და ლოკალური კონტექსტების შერევა, აღმოჩნდა ტრანსნაციონალური კაპიტალიზმის, ყველანაირი სახის მწარმოებლის, მომხმარებლის, სექსუალობის, იდენტობის, ქალთა შრომის აღიარებისა და არაღიარების, კერძო და საჯარო სივრცეების “მოჩვენებითი” გათავისუფლებისა და “ყველაფრის” დემოკრატიზაციის წინაშე.

ამ ცვლილებებმა განსაკუთრებით არახელსაყრელი გავლენა ქალებზე იქონია. ზოგიერთ ქვეყანაში, ქალების წილი პარლამენტსა და სხვა პოლიტიკურ ორგანოებში მკვეთრად დაეცა. მაგალითად, ცვლილებების სანყის ეტაპზე, პარლამენტში ქალი-წევრების პროცენტი ჩეხოსლოვაკიაში 34-დან 4 პროცენტამდე შემცირდა, პოლონეთში - 20-დან 3 პროცენტამდე, ბულგარეთში - 21-დან 8 პროცენტამდე. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამო, უმუშევართა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა და მათ შორის ძალიან დიდია ქალების რაოდენობა.⁷ აღმოჩნდა, რომ ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი მკვეთრად მასკულიზური და პატრიარქალურია. ვიქტორის ისტორიული ანალიზის მიხედვით, ერი-სახელმწიფოების ფორმირებისას ქალებს არასოდეს ჰქონიათ წვდომა პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებზე, მაშინ, როცა ანტი და პოსტ კოლონიალურ კონტექსტებში ქალებსაც და კაცებსაც შედარებით თანაბარი წვდომა ჰქონდათ აღნიშნულ უფლებებზე⁸.

⁶ იგულისხმება 1918-1921 წლები;

⁷ ე. გიდენსი, “სოციოლოგია”, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2012 წელი, გვ. 388-421;

⁸ Y. Abu-Laban, “Gendering the Nation-State: An Introduction”, UBCPress. Vancouver. Toronto, 2008, pp. 1-21;

პოსტსაბჭოთა საქართველო მრავალი განსხვავებული დისკურსის შეჯახების ასპარეზად იქცა⁹. დემოკრატიზაცია და ქალთა სექსუალობა დაუპირისპირდა ეროვნულობას და ე.წ. “ქართველობის წართმევის” დისკურსად ჩამოყალიბდა. აღმოვჩნდით ოჯახური ძალადობის, სექსუალობის რეპრესირების, იდენტობების ჩაგვრის, ქალის შრომის გაუფასურების წინაშე.

ვინაიდან საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიზანი, ყოველთვის დემოკრატიული პროცესების, შესაბამისად გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა იყო, იგი შეუერთდა ქალთა ჩაგვრის აღმოფხვრის რამდენიმე საერთაშორისო კონვენციას¹⁰, მიიღო სახელმწიფო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ¹¹, გაჩნდა მცდელობები გენდერული საკითხების ინსტიტუციონალიზაციის, ფემინისტურ საკითხებზე მომუშავე ენჯელების დაარსების, ე.წ. “ენჯელობისა” და შემდეგ ამ “ენჯელობის” დეკონსტრუქციის¹², რათა დონორებისაგან გათავისუფლება და ადგილობრივი ფემინისტური ცოდნისა და აქტივისტობის გამოცდილება შექმნილიყო. შეიქმნა ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი¹³, დაიწყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები, აკადემიურ სივრცეში გენდერის სოციოლოგიის, გენდერის და პოლიტიკის, ფემინისტური კვლევებისა და გენდერთან დაკავშირებული სხვა ინტერდისციპლინარული საგნების გაქართულების მცდელობა, განხორციელდა ქართულ და არამართო ქართულ აკადემიურ სივრცეში ქართველ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლისათვის გამოყენებითი თუ აკადემიური კვლევები, თამარ საბედაშვილის¹⁴, ქეთევან ჩხეიძის¹⁵, ეკატერინე გეჭაძის¹⁶, მედო ბადაშვილის, თამარ ბაგრატიას¹⁷, ლე-

⁹ გ. ურჩხიშვილი, ქართული სხეულის სოციოლოგია, “ბიოლის ფონდი”, თბილისი, 2016;

¹⁰ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW), 1979 წლის 18 დეკემბერი, საქართველო მიუერთდა 1994 წელს; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია, გაეროს გენერალური ასამბლეა, 1993 წლის 20 დეკემბერი;

¹¹ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010 წლის 12 აპრილი;

¹² თ. მელაშვილი, “ვის ეშინია ფემინიზმის საქართველოში”, “თანამედროვე ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში”, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, 2014 წელი, გვ.115-124;

¹³ იგივე, გვ. 115-124;

¹⁴ თ. საბედაშვილი, “გენდერი და დემოკრატიზაცია. საქართველო: 1991-2006”. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, ანგარიშები და პილიტიკის კვლევები #1, 2006 წელი.

¹⁵ K. Chkheidze, “Women’s Political Participation During Democratic Transformation: The Case of Georgia”, International PhD Program in Gender Studies, CSS, Tbilisi, 2014;

¹⁶ E. Gejadze, “The Results of Transition Period on Women’s Political Participation: Case Study of Georgian Female Politicians’ Ousting from Decision-Making Powers (Analysis from the “Rose Revolution” till 2010); VDM Verlag Dr. Müller, 2010;

¹⁷ T. Bagratia & M. Badashvili / D. Jijelava / I. Khmaladze, “Intra-party democracy and local governance”, NIMD (Netherlands Institute for Multiparty Democracy,

ლა ხომერიკისა¹⁸ და სხვათა ავტორობით. გააქტიურნენ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც დაიწყეს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ფენომენის შესწავლა: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), Netherlands Institute for Multiparty Democracy (NIMD), National Democratic Institute (NDI), United Nations Development Programme (UNDP). მედიასივრცეში გაჩნდა მრავალი სამოქალაქო აქტორი ფემინისტური მოძრაობიდან, რომელმაც დაიწყო სტატიების, ბლოგების წერა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, პოლიტიკური ინიციატივების დღის წესრიგში მოხვდა გენდერული კვობების საკითხი, სახელმწიფომ ფინანსურად წაახალისა პარტიები¹⁹, თუკი ისინი ქალ კანდიდატებს შეიყვანდნენ საარჩევნო სიებში. უნივერსიტეტებში გაჩნდა სტუდენტური ჯგუფები, რომლებიც გენდერის, ქალთა გაძლიერებისა და მათ პოლიტიკურ აქტორად გახდომას ისახავს მიზნად და სხვა.

მიუხედავად ამდენი ხელისშემწყობი ღონისძიებისა, (ხელისშემშლელზე ჯერ არ ვსაუბრობ), მაინც არ მოხერხდა ქალთა მონაწილეობის ზრდა პარტიების ცხოვრებასა და ზოგადად პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი, გადაწყვეტილების მიმღებ ღონებზე, იქნება ეს ადგილობრივ, თუ ცენტრალურ პოლიტიკაში.

თუკი 90-იანი წლების დასაწყისში, ქართულ პოლიტიკაში ქალთა რაოდენობის ნაკლებობა გასაკვირი არ იყო, ქვეყანა “ძლივს იდგა ფეხზე” და ამისთვის “არ ეცალა”, დროთა განმავლობაში, ამდენი ხელშემწყობი ღონისძიების მიუხედავად, დადებითი ცვლილება მაინც არ მომხდარა: 2012-16 წლების მონვევის პარლამენტში სულ 18 ქალი პარლამენტარი იყო, ხოლო 2016-20 წლების მონვევის პარლამენტში, ქალთა რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 24 დეპუტატი 150 დეპუტატიდან. ქალთა დაბალი წარმომადგენლობა განსაკუთრებით მძიმეა რეგიონებსა და თვითმმართველ ერთეულებში, ე. წ. საკრებულოებში. მაგალითად, ერთ-ერთი თვითმმართველი ქალაქის თელავის საკრებულოში 33 წევრიდან მხოლოდ ორია ქალი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენებისა, რომლებსაც წესით ხელი უნდა შეეწყოს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის, მნიშვნელოვანია

Georgia Representation), Tbilisi, 2012, pp. 7-31;

¹⁸ ლ. ხომერიკი; ქ. მსხილაძე; პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების გენდერ-მგრძობელობა და ქალთა საჭიროებები; მედიის განვითარების ფონდი, 2015;


¹⁹ საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, მუხლი 30.7¹<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324#>!

ქართული საზოგადოების აზრი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ. NDI-მ 2016 წლის ნოემბერში ჩაატარა რაოდენობრივი გამოკითხვა: “საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში”. შესწავლილ იქნა მოსახლეობის დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებით. თავდაპირველად, შევეცდები, ის მონაცემები მოვიყვანო, რომლის მიხედვითაც, წესით, ქალთა დაბალი მონაწილეობა აღარ უნდა იყოს ქართულ პოლიტიკაში²⁰.


მოსაზრებას: **“საქართველოში ქალებს ისევე კარგად შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება, როგორც მამაკაცებს”**, ეთანხმება გამოკითხული მამაკაცების 76% და ქალების - 85%.

ხოლო, მოსაზრებას: **“საქართველოში ქალებს პოლიტიკურ პარტიაში დანინაურების კარგი შესაძლებლობები აქვს”**, ეთანხმება გამოკითხული მამაკაცების 69% და ქალების - 66%.


ასევე, საინტერესო პასუხები გვაქვს შემდეგ დებულებებზე:



²⁰ მონაცემები აღებულია ვებგვერდიდან: <https://www.ndi.org/publications?country=1069>.



როგორი იქნებოდა ქალი და კაცი პარლამენტარების საუკეთესო გადანაწილება პარლამენტში? (q49)



და ბოლოს, გამოკითხულთა 56% თვლის, რომ: **“პარლამენტის წევრი ქალების რაოდენობის ზრდა საქართველოზე იქონიებს დადებით გავლენას.”** ამ მონაცემების ნახვისას, იბადება კითხვა: თუ საზოგადოება მზად არის ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის, აბა რა გვიძლის ხელს? რატომ არ იცვლება მდგომარეობა ამდენი წელია?


ეს კითხვები მოსახლეობის განწყობას გამოხატავს ზოგად საკითხებზე და არ წარმოადგენს რეალური სოციალური და პოლიტიკური მოცემულობის შეფასებას. განწყობები იმ შეკითხვებზე, რომლებიც არსებული ვითარების შეფასებას ეხებოდა, შემდეგი იყო:

მოსაზრებას: **“საქართველოში ამომრჩევლები მამაკაც კანდიდატებს უფრო აძლევენ ხმას, ვიდრე ქალებს”**, ეთანხმება გამოკითხული ქალების 69% და მამაკაცების 69%.

ხოლო, მოსაზრებას: **“საქართველოში ქალებს ლიდერებად არ ზრდიან”**, ეთანხმება მამაკაცთა და ქალთა 60-60%.

არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ რეალობაზე საზოგადოების განწყობას გვიჩვენებს შემდეგი დიაგრამა:

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შმდეგ მოსაზრებებს?
(q46 X სქესის მიხედვით) ნაწილი 2



NDI-ის კვლევა ორ რამეს გვიჩვენებს: პირველი, მოსახლეობა ფიქრობს, რომ ქალი ქართულ პოლიტიკას დადებითად წაადგება და ქართული საზოგადოება მზად არის, ქალები “შემოუშვას” პოლიტიკაში; მეორე, რეალობაში ეს არ ხორციელდება.

გვიჩნდება ლეგიტიმური შეკითხვა: სად ვეძებთ პრობლემის არსი, თუ საზოგადოება უკვე შეიცვალა და მზად არის ქალის პოლიტიკური მონაწილეობისათვის? ქართულ პარტიებში? მაშინ, უნდა შევისწავლოთ ქართული პარტიები და აღმოვაჩინოთ, როგორია შიდაპარტიული მდგომარეობა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით.

მანამდე, გენდერული პერსპექტივიდან, ქართული პოლიტიკური პარტიების შესწავლის არსებული კვლევებიდან, აღსანიშნავია მედო ბადაშვილისა და თამარ ბაგრატიას კვლევა, რომელიც იკვლევდა შიდაპარტიულ დემოკრატიას ქართულ პარტიებში 2012 წელს. გთავაზობთ აღნიშნული კვლევის ზოგიერთ მნიშვნელოვან მიგნებას:

- პარტიებში ქალთა ჯგუფებს სტრატეგიული განვითარების მოკლევადიანი გეგმები აქვთ;
- ძალიან ცოტა პარტიას აქვს ქალ ამომრჩევლებთან მუშაობის სტრატეგია;
- პარტიებს არ აქვთ გენდერული აუდიტი, მათ მიერ შეგროვებული გენდერული ინფორმაცია მწირია და შეიცავს ძალიან ბევრ ცდომილებას;
- პარტიებს გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ცოდნა/გამოცდილება და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი არ აქვთ;
- ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გამომუშავდა ე.წ. “ძალაუფლების გენდერული პირამიდის” არსებობა პარტიებში - რაც უფრო მაღალია ძალაუფლების მოცულობა, მით უფრო ნაკლებადაა ქალი წარმოდგენილი;
- ე.წ. “ძალაუფლების გენდერული პირამიდა” გამომუშავდა ფუნქციების გადანაწილების დროსაც;
- პარტიის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება გენდერირებულია: მამაკაცებს აქვთ უფრო მეტი ფუნქცია და მეტი პასუხისმგებლობა;
- კაცები დომინირებენ პარტიის მენეჯმენტში, ფინანსების მოძიებასა და საარჩევნო სიების მომზადებაში;
- ქალები და კაცები თანაბრად არიან ჩართულნი წინასაარჩევნო ღონისძიებებში, საარჩევნო პროგრამაზე მუშაობისას, საარჩევნო

ადმინისტრაციისა და არჩევნების მონიტორინგის პროცესში;

- ქალები აქტიურები არიან მედიასთან, ჩართულები არიან მოხალისეობრივ სამუშაოებში და რჩებიან უფრო ლოიალურებად იმ შემთხვევაში თუ პარტია კარგავს პოპულარობას.

აღნიშნული კვლევა რომ შევაჯამოთ, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ ერთმნიშვნელოვნად “მამაკაცური პროფილი”. ამ დომინაციის საშუალებით, კაცები მართავენ და აწესებენ ფორმალურ და არაფორმალურ წესებს პარტიების შიგნით. ეს წესები ხელისშემშლელ ფაქტორებად გვევლინება, რომელთა გამოც ქალები ვერ ახერხებენ პოლიტიკური კარიერის შექმნას²¹.

ეს მონაცემები კიდევ ერთხელ გამყარდა 2016 წელს, NIMD-ის მიერ პოლიტიკური პარტიების გენდერული რანგირების განხორციელების შემდეგ. NIMD სამ კომპონენტს იკვლევდა: საარჩევნო კომპონენტი, ინსტიტუციონალური მხარე და პროგრამული მიმართულება. ქვემოთ მოცემულია შედეგების მოკლე შეჯამება:

საარჩევნო კომპონენტი: როცა საქმე ქალებისთვის ნამდვილი ძალაუფლების გადანაწილებაზე მიდგება, მანდატების უმეტესობას ის პარტია ღებულობს, რომელსაც სიაში ყველაზე ნაკლები ქალი შეჰყავს.

ინსტიტუციონალური მხარე: ნებისმიერ შემთხვევაში, გაირკვა, რომ პარტიულ ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის მიმართულებით გამოყოფილი თანხა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არა აქვს, რაც, თავისთავად, არ ნიშნავს იმას, რომ პარტიები, საჭიროებიდან გამომდინარე, საერთოდ არ ხარჯავენ ფულს აღნიშნულ საკითხზე; უბრალოდ, ამგვარი დანახარჯები წინასწარ განერილი არ არის.

პროგრამული მიმართულება: აღმოჩნდა, რომ გენდერული თანასწორობის მისაღწევი ფორმალური ინსტრუმენტები ან კვოტები მხოლოდ ერთ პარტიას -- რესპუბლიკელებს - გააჩნია. ზოგიერთი სხვა პარტიის წარმომადგენლებმაც აღნიშნეს ამ მიმართებით არაფორმალური ტენდენციების არსებობა მათ ორგანიზაციებში, მაგრამ არსებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, აღნიშნული ინფორმაცია მხედველობაში არ იქნა მიღებული.

²¹ T. Bagratia & M. Badashvili / D. Jijelava / I. Khmaladze, “Intra-party democracy and local governance”, NIMD (Netherlands Institute for Multiparty Democracy, Georgia Representation), Tbilisi, 2012, pp. 7-31;

მოვლენების გაანალიზების შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოების განწყობას გავლენა არ აქვს ქართული პოლიტიკის “კეთებაზე” და პარტიები რჩებიან ერთადერთ საშუალებად ქალებისთვის, რათა მათ გზა გაეხსნათ პოლიტიკური მონაწილეობისათვის. ვინაიდან, პარტიები არ იჩენენ ნებას, ხელი შეუწყონ ქალთა პოლიტიკურ გაძლიერებას, ან მათ მონაწილეობას გადანაცვეტილების მიღების პროცესში, მეოთხედი საუკუნეა, რაც ქალები ქართული პოლიტიკის მიღმა რჩებიან და მოვლენების განვითარებას პერიფერიიდან ადევნებენ თვალს, საიდანაც მათი ხმა არც ისმის და არც არავის აინტერესებს.

როგორც ადგილობრივ პოლიტიკაში, ისე ცენტრალურ პოლიტიკაში მოხვედრა განსაკუთრებით დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული რეგიონში მცხოვრები ქალებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საკმაოდ აქტიურები არიან და დიდ როლსაც თამაშობენ როგორც პოლიტიკური ცხოვრების კეთებაში (აგიტატორი, საარჩევნო კომისიის წევრი, მდივანი), ასევე აქტივიზმში. ეს ბაგრატია/ბადაშვილის კვლევამაც გამოამჟღავნა. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ საკმაოდ დიდი ცოდნა რეგიონში არსებული პრობლემებისა და საჭირო კონტაქტები, პარტიები მაინც ვაცებს ასახელებენ მაჟორიტარობის კანდიდატებად და უმრავლესად ვაცები არიან პროპორციულ სიებშიც. ხშირ შემთხვევაში, ქალებს არ აქვთ საკმარისი ფინანსური კაპიტალი, საკუთარი საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად და როგორც NIMD-ის პარტიების გენდერული რანგირების შედეგებიც გვიჩვენებს, არც პარტია ხარჯავს ქალი პოლიტიკოსებისათვის კამპანიის სანარმოებლად ფულს.

რატომ ხდება ასე? რატომ ვერ შევცვალეთ პარტიები, თუ ბევრი რამ ვცადეთ, ბევრი სამუშაო გავწიეთ, რატომ ვერ აღწევნ ქალები პოლიტიკაში გადანაცვეტილების მიმღებ დონემდე? შესაძლოა, როგორც თამარ ცხადაძე ამბობს თავის სტატიაში “ვის ეშინია ფემინიზმის”, ეს უბრალოდ პატრიარქალური ინერციის ბრალია, ან იმ ანტიფემინისტური განწყობების გაძლიერების, რაც ქართული გენდერული პოლიტიკისა და გენდერული ცოდნის შექმნაზე პატრიარქატის თავდაცვითი რეაქციის სახით აღმოცენდა. ამ შეკითხვებზე პასუხი სხვა კვლევის საქმეა. ამ ეტაპზე გადავწყვიტეთ, შეგვესწავლა, რა ხდება ქართულ პარტიებში და როგორია ის გენდერული პროცესები, რომელიც ქალებს ხელს უშლის პოლიტიკურ მონაწილეობაში.

კვლევის მიზანი:

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა და იმ მიზეზის დეკონსტრუქცია, რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ (პარტიულ) რეალობას ისე ქმნის, რომ ძნელია მისი დემოკრატიულ, თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულ სტრუქტურად გარდაქმნა.

კვლევის ამოცანები:

- შეისწავლოს ის გენდერირებული პროცესები, რომელიც მიმდინარეობს პოლიტიკურ პარტიებში და პირდაპირ თუ ირიბად ახდენს ქალთა დისკრიმინაციას;
- გამოამუშავოს და გააანალიზოს პარტიაში არსებული გენდერული სტერეოტიპები;
- შეაგროვოს ინფორმაცია პარტიებში წევრების რეკრუტმენტის, შიდა მობილობის/დანინაურებისა, ემანსიპატორული პრაქტიკებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ;
- შეისწავლოს ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც პარტიის გარედან მომდინარეობს;
- და ბოლოს კვლევის ამოცანაა, შეგროვებული ინფორმაცია გაანალიზებული იქნეს ინტერსექციონალური მიდგომის გამოყენებით, რაც გულისხმობს იმას, რომ რესპონდენტების კატეგორიების შექმნისას მხედველობაში მივიღებთ იმ სოციალურ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ და დემოგრაფიულსა ფაქტორებს, რომლებიც თავს იყრიან თითოეული რესპონდენტის ცხოვრებაში და გავლენას ახდენენ მის შეხედულებებსა და ცხოვრებაზე.

კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომა/თვალთახედვა

კვლევისას გამოვიყენეთ ფემინისტური მეთოდოლოგია, რომელიც გამოყენებული მეთოდების და მიდგომების ჯამს წარმოადგენს.²² ამ კვლევაში ჩვენ ვყვრდნობით თამარ ცხადაძის მიერ შემოთავაზებულ ფემინიზმის განმარტებას, ფემინიზმი ნიშნავს სამი მოვლენის აღიარებას: **ა) არსებულ სოციალურ წყობაში ქალებს შეზღუდული აქვთ გარკვეული**

²² ს. რეინჰარცი, "ფემინისტური მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, დასკვნები", ბაკურ სულავაურის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 135-185;

შესაძლებლობები მამაკაცებთან შედარებით (ანუ, ქალები ჩაგრულ ჯგუფს შეადგენენ); ბ) მამაკაცების უპირატესობა განპირობებულია სოციალურად - ის ვერ აიხსნება რაიმე სახის ბუნებრივი, ან გებუნებრივი ვითარებით, ბიოლოგიური ან თეოლოგიური მოსაზრებებით; გ) შესაძლებელია და საჭიროა სოციალური სისტემის ისე შეცვლა, რომ შემცირდეს სქესთა შორის უთანასწორობა და ის უფრო სამართლიანი გახდეს²³.

ამასთან, ვეცადეთ კვლევის ყველა ეტაპზე გვეხელმძღვანელა ფემინისტური თვალთახედვით, რომელიც რეინჰარცის მიხედვით, შემდეგს გულისხმობს: “ფემინისტ მკვლევარებს აინტერესებთ ქალი, როგორც ინდივიდი და როგორც სოციალური კატეგორია.”²⁴ იმისათვის, რომ ვარგად დავინახოთ, თუ როგორ არიან შეზღუდული ქალები მამაკაცებთან შედარებით, მოვლენები უნდა შევავროვოთ და ავხსნათ ფემინისტური თვალთახედვით. ფემინისტური თვალთახედვა დამოკიდებულებაა, რომლის მიზანია, ქალებზე შეგროვებული ინფორმაციის გააანალიზება სხვადასხვა ფენომენების ურთიერთგადაკვეთის გააზრებით და არსებულ რეალობაში ეჭვის შეტანით.”²⁵ რეინჰარცის მიხედვით “*ფემინისტური მიდგომის მიზანია, აჩვენოს, თუ როგორ ხდება ის, რომ ზოგიერთი რამ საერთოდ არ შეისწავლება, ხოლო ზოგიერთი რამ კი, დასახელებულიც კი არ არის. უხილავის გათვალსაზრისება, პერიფერიის ცენტრში წამოწევა, ტრივიალურისათვის მნიშვნელობის მინიჭება, ქალების, როგორც კონკურენტუნარიანი მოქმედი პირების ყურადღების ცენტრში მოქცევა და ქალთა მოაზრება დამოუკიდებელი არსებობის მქონე სუბიექტად (და არა მამაკაცებისათვის არსებულ ობიექტად), კვლავაც ფემინისტური კვლევის ელემენტებს წარმოადგენს*²⁶.

მაშინაც კი, როცა ფემინისტი ატარებს ე. წ. ფუნდამენტურ გამოკვლევას, მას შეუძლია, წარმოადგინოს წინადადებები იმის შესახებ, თუ რა სახით შეუძლია მკითხველს, გამოიყენოს ამ გამოკვლევის შედეგები²⁷. პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციების ფორმულირება ტიპურია ფემინისტური კვლევისათვის. სწორედ ეს მიზანი აქვს ამ კვლევასაც, შეგროვებული

²³ თ. ცხადაძე, “ანტიფემინიზმი: უმეცრება, უპასიხისმგებლობა, თუ ბრძოლა პრივილეგიების შენარჩუნებისათვის?”, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, 2014 წელი, გვ. 9-27;

²⁴ ს. რეინჰარცი, “ფემინისტური მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, დასკვნები”, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 137;

²⁵ იქვე, გვ. 83. 137;

²⁶ იქვე, გვ. 83. 137-138;

²⁷ იქვე, გვ. 83. 137-138

პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ, შექმნას რეკომენდაციები და გამოიწვიოს ცვლილება ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ არენასა და პოლიტიკურ პარტიებში.

კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი

კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ თვისებრივი, **პირისპირ ინტერვიუს მეთოდი** და ვინაიდან ჩვენი მიზანი იყო რესპონდენტების გულახდილობის გამომწვევა, დავიხმარეთ **სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის** ფარგლებში არსებული **რესპონდენტთა გულახდილობის გამომწვევი მეთოდიკები: სიჩუმე, ექო, განაცხადი და მონღირება**.²⁸

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა **ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარი**²⁹, რომლის შეკითხვებიც ინტერვიუს პროცესში იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობდა რესპონდენტის თხრობა, თუმცა, ძირითადი შინაარსი, საკითხები/თემატური ბლოკები უცვლელი რჩებოდა და წარმოადგენდა შემდეგს: *პარტიის მშენებლობა/წევრების რეკრუტმენტი, პარტიის შიგნით მობილობა/დანინაურების პრაქტიკები, როგორი შეიძლება იყოს დეპუტატობის კანდიდატი, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორები, სხვა პარტიები, სოციალური და კულტურული ფაქტორები, იდეალური პოლიტიკოსის სახე, იდეალური პოლიტიკოსის გენდერირება, გამონათქვამები ქალ პოლიტიკოსებზე, სტერეოტიპები და ა.შ.*

ინტერვიუს მეთოდი დაგვეხმარა, შეგვეგროვებინა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება აქამდე არ იყო ხილული და ინდივიდების გამოცდილებაში იყო ჩაკარგული და გაუფერულებული. თვისებრივი მეთოდები ხმის მიცემის შესაძლებლობას ანიჭებს ქალებს და შეთავსებადია ფემინისტურ მიზნებთან და მიდგომასთან.³⁰

რაც შეეხება შეგროვებული პირველადი სოციოლოგიური მონაცემების ანალიზისა და ახალი თეორიის საწარმოებლად, გამოვიყენეთ **მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის** პრინციპები, რომელიც მიზნად ისახავს ყველანაირი წინასწარი თეორიული ჩარჩოს გარეშე, შეგროვებული

²⁸ თ. ზურაბიშვილი, “თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში”, სოციალურ მეცნიერებათა სერია, CSS, თბილისი, 2006 წელი, გვ.21;

²⁹ იხილეთ დანართი #1 და დანართი #2

³⁰ M. L. DeVault, “Liberating method: feminist and social research”. Philadelphia, Temple University Press, 2009, pp. 30-31

პირველადი სოციოლოგიური მონაცემებიდან ახალი თეორიის და თეორიული კატეგორიების აღმოცენებას. თეორიის განვითარება ხდება მონაცემების შეგროვების თანადროულად. ანუ, თეორია ეფუძნება მონაცემებს და მონაცემების საშუალებით იქმნება. მონაცემებზე დაფუძნებული თეორია მოქნილობის საშუალებას იძლევა, კვლევის ფარგლებში მონაცემებსა და თეორიას შორის არსებობს მუდმივი ინტერაქცია.³¹

რესპონდენტების ტიპები

რესპონდენტების ტიპების შესაქმნელად გამოვიყენეთ **ინტერსექციონალურობის**³² მიდგომა. მისი საშუალებით შევძელით, აგვესახა მონაცემების მრავალფეროვნება, შესაბამისად ადამიანთა მრავალფეროვნება და მათ პოზიციების გაანალიზებისას გაგვეთვალისწინებინა რესპონდენტების ასაკი, სქესი, გეოგრაფიული, პარტიული კუთვნილება, პარტიული პოზიცია, განათლების დონე, ოჯახური სტატუსი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის³³ მახასიათებლები.

ინტერსექციონალურობა ეფუძნება რამდენიმე ძირითად პრინციპს: 1) ადამიანების ცხოვრება არ აიხსნება ერთეული კატეგორიების გაანალიზებით (როგორცაა გენდერი, რასა და სხვა), ადამიანების ცხოვრება არის მრავალგანზომილებიანი და კომპლექსური; 2) როდესაც ვაანალიზებთ სოციალურ პრობლემებს, რომელიმე სოციალური კატეგორიის ან სტრუქტურის მნიშვნელობა წინასწარ განსაზღვრული არ არის, კატეგორიები და მათი მნიშვნელობა აღმოჩენილი უნდა იქნეს გამოკვლევის პროცესში; 3) სოციალურ ლოკაციებსა და პროცესებს (რასიზმი,

³¹ W. L. Neuman, Social Research Methods, Allyn and Bacon, 1994, pp. 322;

³² ტერმინი “ინტერსექციონალურობა” სოციალურ მეცნიერებებში შემოიტანა რასობრივმა მკვლევარმა კიმბერლი ვილიამს ქრინშოუმ 1989 წელს და მისი ყველაზე გავრცელებული ვერსიით, “ადამიანების ცხოვრება ფორმირდება განსხვავებული სოციალური ლოკაციების ერთმანეთთან ურთიერთქმედებით (მაგალითად: რასა/ეთნიკურობა, კლასი, სექსუალობა, გეოგრაფია, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, მიგრაციის სტატუსი, რელიგია) და ამ მონაცემებს შორის ინტერქაცია ხდება ძალაუფლების მოცემული სისტემისა და სტრუქტურის კონტექსტში (მაგ: კანონები, პოლიტიკა, სახელმწიფო მმართველობა და სხვა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები, რელიგიური ინსტიტუციები, მედია). ამ პროცესების გავლით ყალიბდება დამოუკიდებელი ფორმები პრივილეგიისა და ჩაგვრის, რომლებსაც ფორმირებას უკეთებს გლობალიზაცია, ისტორიული კონტექსტი, კოლონიალიზმი, იმპერიალიზმი, რასიზმი, ჰომოფობია, მიზოგინია, პატრიარქატი, შრომის ბაზარი და ასე შემდეგ.

³³ გამოვიყენეთ პიერ ბურდიეს მასაზრებები სხვადასხვა ტიპის კაპიტალთან დაკავშირებით: კულტურული კაპიტალი გულისხმობს ლეგიტიმური ცოდნის სხვადასხვა სახეებს; სოციალური კაპიტალი შედგება ადამიანებისათვის ღირებული ურთიერთობებისაგან; სიმბოლური კაპიტალი წარმოებულია ღირსებისა და პრესტიჟისაგან.

კლასიზმი, ჰეტეროსექსიზმი, ეიჯიზმი, სექსიზმი) შორის ურთიერთობა და ძალაუფლებრივი დინამიკები გადაჯაჭვულია. ისინი შესაძლოა შეიცვალოს დროთა განმავლობაში და დამოკიდებული იყოს გეოგრაფიულ მდებარეობაზე; 4) ადამიანებმა შესაძლოა გამოსცადონ როგორც პრივილეგია, ასევე ოპრესია. 5) მეცნიერები, მკვლევარები, პოლიტიკის შემქმნელები და აქტივისტები უნდა ითვალისწინებდნენ საკუთარ სოციალურ პოზიციას და ძალაუფლებას, როდესაც ახორციელებენ ინტერსექციონალურ მიდგომას. “მოქნილობა” არის მთავარი იარაღი, როდესაც მკვლევარი ალაგებს კვლევის პრიორიტეტებსა და მიმართულებებს; 6) ინტერსექციონალურობა, ისევე როგორც ფემინისტური პოზიცია, ორიენტირებულია ტრანსფორმაციაზე, განსხვავებული ჯგუფებს შორის კოალიციის შექმნასა და სოციალური სამართლიანობაზე.³⁴

სწორედ ამ პრინციპების გამოყენებით შევძელით ყველანაირი ტიპის რესპონდენტის მოსაზრების შეგროვება და შესწავლა, ხოლო შემდეგ მათი გამოყენება ინტერპრეტაციისა და რეკომენდაციების შექმნისას.

რესპონდენტის ტიპების შექმნისას გავითვალისწინეთ შემდეგი მახასიათებლები: რესპონდენტის პარტიული კუთვნილება, პარტიული პოზიცია, ასაკი, სქესი, განათლების დონე, ოჯახური სტატუსი, გეოგრაფია და სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

რესპონდენტის პარტიული კუთვნილების მიხედვით, რესპონდენტები დაიყვნენ სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებად; პარტიული პოზიციის მიხედვით: მაღალი, საშუალო რგოლის მენეჯერებად და ქვედა რგოლის ქალ აქტივისტებად;

ასაკის მიხედვით: 25 წლამდე, 45 წლამდე და 65 წლამდე რესპონდენტებად; სქესის მიხედვით: ქალ და კაც რესპონდენტებად;

განათლების დონის მიხედვით: უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე რესპონდენტებად;

³⁴ O. Hankivsky, PhD, “Intersectionality 101”, The Institute for Intersectionality Research & Policy, SFU, 2014, pp. 2-3.

ოჯახური სტატუსის მიხედვით: დაქორწინებულ, განქორწინებულ და დაუქორწინებულ რესპონდენტებად;

გეოგრაფიის მიხედვით: აღმოსავლელ, დასავლელ და თბილისელ რესპონდენტებად;

და ბოლოს, სოციალური, სიმბოლური და კულტურული კაპიტალის მიხედვით: სოციალური, სიმბოლური და კულტურული კაპიტალის მქონე და არმქონე რესპონდენტებად.

შედეგები

პოლიტიკური პარტიები შევარჩიეთ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარმატებულობის მიხედვით. ამ მიდგომის გამოყენებით, შევისწავლეთ და გავაანალიზეთ პოლიტიკური კულტურა და დაუნერვლი სოციალური მოვლენები ოთხ ქართულ პოლიტიკურ პარტიაში: “ქართული ოცნება”, “გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობა”, “საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” და “ევროპული საქართველო”.

კვლევის გეოგრაფიული საზღვრები: შევარჩიეთ სამი მთავარი და ყველაზე პრობლემური რეგიონი, რომელთაც ჰქონდათ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი, ან შეიცავდა ეთნიკურ უმცირესობებს, სადაც არ არსებობს პოლიტიკური ასპარეზის საშუალება ქალებისათვის. ეს რეგიონებია თბილისი, კახეთი და სამეგრელო, ხოლო ქალაქები: თბილისი, თელავი, დედოფლისწყარო, ფოთი და ზუგდიდი.

რესპოდენტების შერჩევა: გამოვიყენეთ თოვლის გუნდის პრინციპი. თბილისში შევხვდით პარტიების მაღალი რგოლის მენეჯმენტს და შემდეგ, მათი დახმარებით, რეგიონებში შევხვდით საშუალო რგოლის მენეჯმენტსა და ქვედა რგოლის ქალ აქტივისტებს.

კვლევის შედეგების გამოყენების სივრცე

შეგროვებული პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის გაანალიზების თანადროულად, ინფორმაცია დავახარისხეთ მონაცემებად, რომელიც შეიძლება გასაჯაროვდეს და კონფიდენციალურ მონაცემებად, რომელიც უშუალოდ პარტიებს უნდა მიენოდოს, ინდივიდუალურად, რეკომენდაციების სახით. წინამდებარე კვლევა არის სწორედ მონაცემების შედეგად შექმნილი

ცოდნის საჯარო ვერსია, ხოლო, პარტიებს ცალკე, ინდივიდუალურად მიენოდემათ მათ პარტიაზე მორგებული დასკვნები და რეკომენდაციები. კვლევის დაგეგმვის, განხორციელების: საველე სამუშაოების, მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესში, აქტიურად იყო ჩართული UNDP-ისთან არსებული სამუშაო ჯგუფი. ასევე, მასთან ერთად დაიგეგმა, თუ როგორ გამოვიყენებდით კვლევის შედეგებს და შემდგომში როგორ მოვახერხებდით ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობასა და გაძლიერებას.

საველე სამუშაოები, ინტერვიუების ჩანწარის პროცესი, მონაცემების შეგროვება

სულ ჩატარდა 35 პირისპირი ინტერვიუ. ცხრილებში N1 და N2 ნაჩვენებია ქალაქები და პარტიები, ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობების მიხედვით.

ადგილი	ინტერვიუების რაოდენობა
თბილისი	10
თელავი	6
დედოფლისწყარო	5
ფოთი	7
ზუგდიდი	7

პარტიები	ინტერვიუების რაოდენობა
ქართული ოცნება	15
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	11
პატრიოტთა ალიანსი	2
ევროპული საქართველო	7

კვლევის პროცესში სულ გამოვიკითხეთ ზედა რგოლის 10 მენეჯერი ცენტრალური პოლიტიკიდან, 9 - საშუალო რგოლის მენეჯერი - რეგიონებიდან და 16 ქვედა რგოლის პარტიული ქალი რეგიონებიდან.

ეთიკური საკითხები:

საველე სამუშაოების, შეგროვებული ინფორმაციის ანალიზისა და ანგარიშის განხორციელების დროს, დაცული იქნა კვლევის ეთიკური საკითხები. თავდაპირველად, პარტიებს გავუგზავნეთ წერილი, სადაც ვატყობინებდით კვლევის მიზანსა და ამოცანებს, ხოლო შემდეგ უშუალოდ ინტერვიუების განხორციელებისას, რესპონდენტებს ვახსენებდით, რომ ინტერვიუს პროცესის აუდიო ჩანაწერი ხორციელდებოდა, ხოლო, შემდეგ მოვახდენდით მათი მოსაზრებების გამოყენებას კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

რესპონდენტების სახელი და გვარი ანონიმურობის პრინციპის დაცვით კვლევაში არსად ნახსენები არ არის. იგი ჩანაცვლდა რესპონდენტის ტიპით. გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც რესპონდენტები გვიყვებოდნენ ამბებს, მაგრამ გვთხოვდნენ, არ გამოგვეყენებინა ეს მონაცემები კვლევის ანგარიშში. ეს მონაცემები კვლევის ფარგლებში არ გამოგვიყენებია, დავიცავით გამორთული დიქტოფონის პრინციპი.

ტრანსკრიპტების მომზადება და ტექსტის კოდირება (გაანალიზება თეორიული კატეგორიების შექმნა)

საველე სამუშაოების დასრულების შედეგად, მომზადდა 35 ინტერვიუს ტრანსკრიპტი. შემდეგ, ტრანსკრიპტების წაკითხვის თანადროულად, შეიქმნა მემოები³⁵ დაფუძნებული თეორიის პრინციპების მიხედვით³⁶. თითოეული ტრანსკრიპტიდან, ინდუქციური მეთოდის გამოყენებით, ჯერ მოვახდინეთ რესპონდენტების ფრაზების დალაგება და კოდირება. ამის შემდეგ, ფრაზების შერჩევის თანადროულად, იქმნებოდა ოდნავ უფრო დიდი თეორიული კატეგორიები, მაგალითად, ფრაზა: **“*ეხლა რა არის, მობილობას რაც შეეხება, აქ ისეთი მცირე რაოდენობის ხალხია ჩართული პოლიტიკაში, რომ ვინც ვართ, ესენიც ვყოფნით და რაიმე დაწინაურება ან ცვლილება იშვიათად ხდება*”** და შესაბამისი თეორიული კატეგორია: **“*შიდა მობილობა და დაწინაურება*”** და ამავე დროს, მემოებზე ხდებოდა მონაცემების ინტერპრეტაციისა და სამომავლო რეკომენდაციების მიწერა.

³⁵ პატარა ჩანაწერები

³⁶ H. R. Bernard, “Research Methodology in Anthropology”, Altamira Press, 2006, pp. 492-493.

გაკეთდა გაფართოებული დოკუმენტი, სადაც ეს ყველაფერი ჯერ ქაოსურად, ხოლო დროთა განმავლობაში მონესრიგებულად დალაგდა და საბოლოო ჯამში მივიღეთ ოდნავ დიდი თეორიული კატეგორიები, რომლებიც დროთა განმავლობაში და მონაცემების გადამუშავების შემდეგ კიდევ უფრო დიდ კატეგორიებად დაწყვილდა და ინტერპრეტირდა. თეორიული კატეგორიები და ინტერპრეტირებული კატეგორიები ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის დროს რამდენჯერმე შეიცვალა. მომავალში, ეს თეორიული კატეგორიები შესაძლებელია რომელიმე თეორიული ჩარჩოს ფარგლებში მოთავსდეს, ან შეიქმნას ახალი თეორიული ჩარჩო, ან კიდევ შეიცვალოს და სხვა კატეგორიებად გადაკეთდეს.

კვლევის მთავარი ამოცანა იყო ანალიზის შედეგად გამომჟღავნებული თეორიული კატეგორიების შექმნა, მათში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშემშლელი მიზეზის პოვნა, ინტერპრეტირებულ კატეგორიებად დალაგება და შექმნილი მიზეზის დეკონსტრუქცია. თითოეულ გაანალიზებულ ან ინტერპრეტირებულ თეორიულ კატეგორიას თან ერთვის ციტატები რესპონდენტთა ნაამბობიდან, რომელიც ცხადყოფს ანალიზისა და ინტერპრეტაციის მონაცემებზე დაფუძნებულობას.

თეორიული კატეგორიები

ტრანსკრიპტების გაანალიზების შედეგად, შეიქმნა რამდენიმე დიდი თეორიული კატეგორია. ისინი დაიყო შედარებით პატარა კატეგორიებად, რომლებიც შემდეგ კიდევ ჩაიშალნენ ქვეკატეგორიებად. ქვემოთ გთავაზობთ თეორიული კატეგორიების განხილვას, რომელსაც თან ერთვის “ციტატები” სხვადასხვა ტიპის რესპონდენტების მონაყოლიდან.

პირველი დიდი თეორიული კატეგორია არის: შიდაპარტიული კატეგორიები. პირობითად დავარქვათ მას A.

ეს კატეგორია მოიცავს სამ შედარებით პატარა კატეგორიას, რომლებიც მოიცავენ ქვეკატეგორიებს. ესენია:

A1. შიდაპარტიული დემოკრატია:

- A1.1. რეკრუტმენტი;
- A1.2. შიდა მობილობა და დაწინაურება;
- A1.3. ცენტრალიზაცია და ელიტულობა.

A2. შიდაპარტიული შრომის გენდერული დანაწილება:

- A2.1. პარტიული სამუშაოს გენდერი;
- A2.2. “ფსევდომზრუნველობა”;
- A2.3. შრომის ეთიკისა და პასუხისმგებლობების გენდერი.

A3. შიდაპარტიული კულტურული შფოთვები და სტერეოტიპები:

- A3.1. “პატრიარქალური ინერცია”;
- A3.2. შიდაპარტიული კონფორმიზმის გენდერი;
- A3.3. ქალის სხეულის კონტროლი:
 - A3.3.1. “ქალი როგორც არასაიმედო პოლიტიკური პარტნიორი”;
 - A3.3.2. “პროვინციელი ქალი” (ბუნება vs აღზრდა);
 - A3.3.3. “ოჯახი/ქმარი/ნათესავები.”;
 - A3.3.4. “დედის გასაჭირი” (“ორსულობა/დეკრეტი/დედობა”);
 - A3.3.5. “პარტიული ქალის ვიზუალი, იმიჯი, სექსუალობა და ასაკი”;
 - A3.3.6. “პოლიტიკა ბინძურია”;
 - A3.3.7. “ქალი კანდიდატის კონფლიქტურობა.”

მეორე დიდი თეორიული კატეგორია არის: **გარეპარტიული კატეგორიები:** პირობითად დავარქვათ მას B.

ეს კატეგორია შედგება შემდეგი ქვეკატეგორიებისგან:

B1 პარტიაში მოსვლის ალტერნატივები:

- B1.1. სამუშაო და სასწავლო მიგრაცია პატარა ქალაქებიდან;
- B1.2. დაქორწინება;
- B1.3. ანაზღაურებადი სამუშაო.

B2. გარეპარტიული კულტურული შფოთვები და სტერეოტიპები ქალის პარტიულობაზე:

B2.1

“ოჯახი/ქმარი/დედამთილი/ნათესავები/მეზობლები/ოპონენტი პარტია.”

ეს თეორიული კატეგორიები ზოგჯერ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ხშირად ერთი და იგივე რესპონდენტის ცხოვრებაში თანადროულად მნიშვნელობს,

მეტობითა და ნაკლებობით. მაგალითად, რეკრუტმენტის პარტიული წესი და პარტიის გარეთ არსებული პოლიტიკაში მოსვლის ალტერნატივები შეიძლება ერთნაირად იკვეთებოდეს პარტიული ადამიანის ცხოვრებაში, თუმცა ამაზე მონაცემების საფუძველზე თეორიული ინტერპრეტაციის ქვეთავში ვისაუბრებთ.

პარტიებში არსებული სიტუაციის მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი

განვიხილოთ თეორიული კატეგორიები, რომლებიც დავაფუძნეთ რესპონდენტების მონაცოლს. დავიწყოთ A კატეგორია “შიდაპარტიული კატეგორიებით”, რომელიც იწყება **“A1. შიდაპარტიული დემოკრატის” კატეგორიით**. შეგროვებული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ შესწავლილ პარტიებს არ აქვთ თანმიმდევრული შიდაორგანიზაციული სტრუქტურა და მათ შიდაპარტიულ საქმიანობებში არ გვხვდება ე.წ. შიდაპარტიული დემოკრატია.

საინტერესოა სახელისუფლებო პარტიის, მაღალი რგოლის მენეჯერის, 45 წლამდე, უმაღლესი განათლების მქონე, დაქორწინებული, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე მამაკაცის მოსაზრება ამასთან დაკავშირებით:

“ზოგადად, ქართულ პარტიებში და მათ შორის ჩვენ პარტიაში, შიდა პარტიული დემოკრატია არ არის დღეს იმ დონეზე განვითარებული, როგორც დასავლეთის ქვეყნებში, რასაც აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. ანუ პარტიები არ არის საკმარისად ძლიერი. პარტია, როგორც ორგანიზაცია უნდა გაძლიერდეს და მერე აქვს იმის ფუფუნება, რომ შიდა პარტიული დემოკრატია დაუშვას, იმიტომ რომ შენ თუ სუსტი ხარ, შიდადემოკრატიული პარტია, გარე თავდასხმებისგან ვეღარ იცავ თავს. ეს არის ყველა ქართული პარტიის საერთო პრობლემა, ამიტომ შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში ძალიან სუსტად არის განვითარებული და ჩვენი პარტიისთვისაც არის ეს დამახასიათებელი”.

მსოფლიოში საინფორმაციო ტექნოლოგიების, სოციალური ქსელების განვითარებამ პარტიების შიდაორგანიზაციულ მონაცემებზე იქონია გავლენა და თანამედროვე ვითარების შესაბამისად მის სტრუქტურირებას

ითხოვს, ასევე, თანდათან წარსულს ბარდება მასობრივი ტიპის პარტიები, რომელთა წარმატება წევრთა რაოდენობასა და მათ იდეოლოგიურ მომზადებაზე იყო დამოკიდებული, ნელ-ნელა ჩნდება ახალი ტიპის პარტიები, მაგალითად ელექტორალურ-პროფესიონალური, რომლებიც მცირერიცხოვანია, მაგრამ აქვთ ამომრჩევლებთან კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობისა და პოლიტიკურ თანამდებობებზე მუშაობისათვის საჭირო პროფესიული უნარები³⁷, მიუხედავად ამისა, საქართველოში ეს პროცესი, როგორც მონაცემების შესწავლამ დაგვანახა, ჯერჯერობით მაინც ვერ განხორციელდა და ქართული პარტიები ისევ მასობრივი ტიპის არიან, რომელთა წარმატებაც სწორედ წევრების რაოდენობასა და იდეოლოგიურ მზადყოფნაზეა დამოკიდებული. ეს გარემოება აისახება რეკრუტმენტზე, შიდა მობილობასა და პარტიის მართვის სტილზე.

A თეორიული კატეგორიის ქვეკატეგორიები შემდეგია:

A1.1. რეკრუტმენტი

გამოკითხული რესპონდენტების მოსაზრებებზე დაყრდნობით აღმოჩნდა, რომ შესწავლილ პარტიებში რეკრუტმენტის ბუნდოვანი და არათანმიმდევრული წესია დამკვიდრებული. ახალი წევრის მიღება დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: **რეკომენდაცია/ნაცნობობა, კანდიდატის ცნობადობა, გენდერი, ფინანსური შესაძლებლობა, ძალაუფლების სურვილი, იდეოლოგიური თანხვედრა პარტიასთან და ისეთი კატეგორიები როგორც არის: გულისძახილი, პატრიოტიზმი, გულანთებულობა, იდეალიზმი.**

ყველა რგოლის გამოკითხული პარტიული რესპონდენტი ამბობს, რომ მათ პარტიებს არ აქვთ რეკრუტმენტის წესი, სადაც განერილი იქნება, თუ რა მოთხოვნები აქვს პარტიას ახალი წევრის მიმართ, რა კონკრეტული საქმისთვის ჭირდება ახალი კადრი და სად გამოიყენებს მას. რესპონდენტების მიერ დასახელებული უნივერსალური რეკრუტმენტის ინსტრუმენტი არის - "რეკომენდაცია".

ოპოზიცია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე მამაკაცი, უმაღლესი განათლებით დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულ-

³⁷ "პოლიტიკა და პარტიები, დამხმარე სახელმძღვანელო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის.", თბილისი 2015, გვ. 24.

ტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“პარტიაში ახალი კადრის რეკრუტმენტის მიზებია იდეოლოგია და ადამიანის გულისძახილი. <...> გვინდა გულანთებული ადამიანები, თვითონ თავიანთი პატრიოტიზმით, თავიანთი ნიჭით და თავიანთი მსოფლმხედველობით მოვიდეს და შემოუერთდეს გუნდს.”

სახელისუფლებო პარტია, მაღალი რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე მამაკაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ისეთი მკაცრად სტრუქტურირებული პროცესები ჩვენ არ გვაქვს, რეკრუტირების და დანინაურების, როგორც დავუშვათ ევროპულ პარტიებს აქვთ და ამ მიმართულებით რა თქმა უნდა, ბევრი არის სამუშაო. ჩვენთან რაც შეეხება რეკრუტირებას, დანინაურებას, საბოლოო ჯამში, პერსონალურ ფაქტორებზეც ბევრი არის, რა თქმა უნდა, დამოკიდებული. არ არსებობს რაღაცა მკაცრი, სტრუქტურირებული პროცესები ამისათვის.”

სახელისუფლებო პარტია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, სიმბოლური და კულტურული კაპიტალის არმქონე:

“მსურველმა ბლანკი უნდა შეავსოს, მერე იმ ბლანკს განიხილავს ვინც უნდა გაუკეთოს რეკომენდაცია “ის”. თუ “ის” ჩათვლის საჭიროდ, რომ ეს ადამიანი ნამდვილად იმსახურებს რეკომენდაციის განევას, იმ შემთხვევაში უწევს რეკომენდაციას და ხდება პარტიის წევრი.”

ოპოზიცია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, ქვრივი, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“რეკომენდაციით, რა თქმა უნდა. განათლებაც, რა თქმა უნდა, უნდა ქონდეს. სისტემატიზებული არ არის, რა თქმა უნდა. ერთგული ადამიანები, ვისაც უყვარს სამშობლო, ვინც რაღაცას გაიღებს.”

მონაცემებიდან ირკვევა, რომ შესწავლილი პარტიებში, ახალი წევრების რეკრუტმენტისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება **“ნაცნობობასა”** და **“კანდიდატის ცნობადობას.”**

სახელისუფლებო პარტია, მაღალი რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაქორწინებული, თბილისი, სოციალური, სიმბოლური და კულტურული კაპიტალის მქონე:

“წინა წლის დასაწყისში ახალმა პრემიერ-მინისტრმა დაიწყო პარტიის რეფორმირება და საპარლამენტო, ან მომავალი საპარლამენტო გუნდის, ან იმ სიის, რომლითაც აპირებდა მონაწილეობას არჩევნებში, განახლებაზე ფიქრი და მაშინ რაღაც რამდენიმე ადამიანს, ბევრს პრინციპში შესთავაზა, რომ შეერთებოდა ამ პროცესს. მე მქონდა მანამდე წინა ორ პრემიერ მინისტრთან მუშაობის გამოცდილება, ასევე ვიცნობდი მოქმედ პრემიერ-მინისტრსაც რა თქმა უნდა და მათ შორის ერთ-ერთი მეც ვიყავი, ვინც ეს შემოთავაზება მივიღე.”

სახელისუფლებო პარტია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაქორწინებული, აღმოსავლეთი, სოციალური, სიმბოლური და კულტურული კაპიტალის მქონე:

“თუ ქალი ცნობადია, ამავე დროს კარგი ავტორიტეტითაც სარგებლობს. მიმაჩნია, რომ ცნობადობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამავე დროს რითია ცნობადი, როგორი ტიპია, თვითონ პარტიას რა ფასეულობები აქვს, რისი წამოწევა უნდა წინ. მაგრამ ცნობადობა პლიუსია.”

სახელისუფლებო პარტია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაქორწინებული, თბილისი, სოციალური, სიმბოლური და კულტურული კაპიტალის მქონე:

“ახალი წევრი, ან კანდიდატი რომ მივიღოთ, ნუ ის რომ ყველა, თითოეული მათგანი თავიანთი საქმიანობაში, ანუ პოლიტიკამდე წარმატებული ადამიანები უნდა იყვნენ.”

პოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაქორწინებული, თბილისი, სოციალური, სიმბოლური და კულტურული კაპიტალის მქონე:

“მთავრობებში ვმუშაობდი 2004-დან 20012-მდე, და მერე 2012-დან ენჯეო მქონდა და... მიცნობდნენ”

მსგავსი დასკვნები გვხვდება ქეთევან ჩხეიძის ნაშრომშიც: “ქალი პარლამენტარების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი პოლიტიკაში მონაწილეობის მთავარი ბიძგი იყო “მეგობრობა და ხანგრძლივი კავშირი/ნაცნობობა პარტიის ლიდერებთან”³⁸. იგივეს გვეუბნება 2010 წელს ეკატერინე გეჯაძის მიერ ჩატარებული კვლევა: “დიდი როლი აქვს არაფორმალურ მოლაპარაკებებს, სოციალურ კონტაქტებსა და პატრონაჟს, რომელიც სელექციურია და იწვევს კონკრეტული ქალების ან კაცების ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში.”

საინტერესოა განსხვავებული შეხედულება რეკრუტმენტთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ოპოზიციური, 65 წლამდე, ზედა რგოლის პარტიული მენეჯერი კაცის თქმით, რეკრუტმენტის დროს გადამწყვეტია პარტიაში განვვრდიანების მსურველის ე.წ. “ძალაუფლებისკენ ლტოლვა”, რომელიც უკავშირდება ეკონომიკურ კეთილდღეობას. თუმცა ეს კანდიდატის მოტივაციას ეხება და არა პარტიის ხედვას, თუ ვინ შემოყავს საკუთარ სივრცეში და რატომ.

რეკრუტმენტის მოვლენას საინტერესოდ ხსნიან პატარა ქალაქებში, სადაც რეკრუტმენტს ართულებს მოსახლეობის მცირე რაოდენობა. შესაბამისად, რესპონდენტების მოსაზრებით, მცირეა პოლიტიკით დაინტერესებული ადამიანების რაოდენობაც.

სახელისუფლებო პარტია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე მამაკაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“რეკრუტმენტს რაც შეეხება: აქ ისეთი მცირე რაოდენობის ხალხია ჩართული პოლიტიკაში, რომ ვინც ვართ, ესენიც ვყოფნით და რაიმე შემოღინება იშვიათად ხდება”

სანამ იმაზე გადავიდოდეთ, თუ რატომ არის რეკრუტმენტის არსებული პრაქტიკები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშემშლელი, მანამდე ვისაუბროთ მობილობისა და დანინაურების შიდაპარტიულ პრაქტიკებზე.

³⁸ K. Chkheidze, “Women’s Political Participation During Democratic Transformation: The Case of Georgia”, International PhD Program in Gender Studies, CSS, Tbilisi, 2014;

A1.2. შიდა მობილობა და დანინაურება

შესწავლილ პარტიებს არ აქვთ შიდაპარტიული მობილობისა და დანინაურების სტრუქტურა. პარტიული ადამიანის დანინაურება ძირითადად ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს: რამდენ ხმას მოიტანს არჩევნებზე, სოციალური კავშირები და აქტიურობა, ე.წ. პარტიული ლიდერების “თვალში მოხვედრა”, რის საფუძველზეც საბოლოოდ, ცენტრალური პარტიიდან ლიდერი/ზედა რგოლის მენეჯერი წყვეტს, თუ ვინ დაანინაუროს პარტიაში. არ არსებობს უნარების, კომპეტენციის ინდიკატორები, რომელიც პარტიას სჭირდება და რომლითაც პარტია გაზომავს დანინაურების მოვლენას.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე მამაკაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ვნახეთ, რომ ამ ქალბატონმა თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს იმდენად აქტიურად წარმოაჩინა თავი მისი ურთიერთობების, ადამიანური ურთიერთობების კუთხით, ვთქვათ, პარტიის იდეოლოგიის მიტანა რამდენად შეეძლო თვითონ ადამიანებთან... ეს რომ ყველაფერი დავინახე, ჩავთვალეთ, რომ ამის შემდეგ რასაც ჰქვია მცხეთა-მთიანეთი, აი ეს დუშეთი, ყაზბეგი, თიანეთი და მცხეთის თემა უკვე ამ ქალბატონისთვის მიგვენდო მთლიანად, იმიტომ რომ მას შეუძლია აქტივობის გამომჟღავნება.”

პარტიამ არ იცის, რა სჭირდება. იცის მხოლოდ ის, რომ წარმატებული პარტიული წევრისგან ითხოვს საარჩევნო ხმებს, მაგრამ როგორ - ამაზე არ აქვს ნაფიქრი. ერთადერთი მკაფიო ინდიკატორი არის პარტიული წევრის ე.წ. სოციალური კავშირები.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე მამაკაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ნეთვორქინგი ვისაც შეუძლია. <...> რომელიც არჩევნებშიც წამოგვყვება, რომელიც ასეთი ადამიანია, ასეთი ავტორიტეტი აქვს. ანუ ფოლოვინგის რაოდენობა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი, არჩევნებს რომ თავი დავანებოთ და ვის შეუძლია რომ თვითონ მიზიდულობის ცენტრი გახდეს, მაგალითად ახალგაზრდობაში ხო ვთქვათ, თუ

სტუდენტობაზე ვლასპარაკობთ ზოგადად, აქტივისტი, რომელიც ჩემთან მოდის, მეუბნება რომ მე შემიღია ამდენი სტუდენტი მოვიყვანო, რომელიც მოტივირებულია, აი, ამ შემთხვევაში არაცინიკური გზით ვლასპარაკობ, რომელსაც აქვს რაღაც შეხედულებები, რომლებიც მერე განტოტდება, მე მაგით შევაფასებ და დანიშნაურდება.”

ასევე, მნიშვნელოვანია იმის დამატება, რომ ისევე, როგორც ახალი წევრის მიღების შემთხვევაში, პარტიის წევრის დანიშნაურებასა და მაჟორიტარად დასახელებაშიც, რეკომენდაციისა და ნაცნობობის გარდა, დიდ როლს თამაშობს კანდიდატის ზოგადი **წარმატებულობა/ცნობადობა**, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება მაჟორიტარობის კანდიდატის დასახელებას.

სახელისუფლებო პარტია, მაღალი რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე მამაკაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“მაჟორიტარი ცოტა განსხვავებული ტიპაჟია, ვიდრე პარტიული. მაჟორიტარზე როდესაც ხდებოდა აქცენტის გაკეთება, ცნობადი უნდა ყოფილიყო თავის რაიონში. უნდა ყოფილიყო წარმატებული. შეიძლება ის პოლიტიკოსი არ ყოფილიყო, მაგრამ თავისი განვლილი ცხოვრებით და იმ საქმიანობაში სადაც ის მოღვაწეობდა, უნდა ყოფილიყო წარმატებული, პატივსაცემი ადამიანი. ასე ხდებოდა მაჟორიტარის შერჩევა და რა თქმა უნდა, მის პოლიტიკურ ხედვებსაც მნიშვნელობა აქვს.”

განვიხილოთ კიდევ ერთ თეორიული კატეგორია:

A1.3. ცენტრალიზებული მართვა და ელიტურობა

მონაცემების გაანალიზებისას, გამომჟღავნდა, რომ პარტიული პროცესები იმართება თბილისიდან, ცენტრალიზებულია და ატარებს ელიტურ ხასიათს.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“პარლამენტარები, წინა პარლამენტში ... არიან ვაკე-საბურთალო - 80%. ეგრე არის. საქართველოა, საქართველო იმართება ეგრე. დეცენტრალიზაციის პროექტები რაც გვქონდა, ზუსტად აქედან გამომდინარე იყო, რომ შეუძლებელია რეპრეზენტატული იყოს დემოკრატია, რომლის შედეგადაც მართო ვაკე-ვერა არის გადანყვებილების მიმღები. ეგ არ არის დემოკრატია, ეგ არ არის რეპრეზენტაცია, ეგ არის მთავარი პრობლემა, რაც ჩვენს ქვეყანას აქვს და ეგ არის შესაცვლელი. შეცვლის გზა, არის შიდა დემოკრატია პარტიაში. როდესაც არის შიდა დემოკრატია, ოღონდ არა საჩვენებლად, რო აი რაღაც 3 fake (“ყაღები” - ავტ. შენიშვნა) კანდიდატი გამოვიყვანე და ზუსტად ვიცი რო X უნდა იყოს გამარჯვებული, ეგ არის ერთი მიდგომა და მეორე არის როცა რეალურია კონკურენცია, რეალური გუნდებია ვინც იბრძვის გამარჯვებისთვის და უმრავლესობა იღებს გადანყვებილებას, რომელიც უმრავლესობას სწორი ჰგონია, შეიძლება ეს არ იყოს ობიექტურად ყველაზე სწორი გადანყვებილება, მაგრამ ეს არის უმრავლესობის აზრი და უნდა დავემორჩილოთ ამ აზრს, ბუნებრივია რაღაც ფილტრით”.

ელიტურობასა და ცენტრალიზებულ მართვაზე გვესაუბრა ადმოსავლეთ საქართველოში, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ვაცი.

ოპოზიცია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 40 წლამდე ვაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, ადმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ელემენტარულს ვიტყვი, რუსთავი ორის გაფიცვები რო იყო ეხლა დავდიოდით ჩვენ ეხლა რეგიონებიდან დასაცავად, ელემენტარული არ მოვიდოდა ის შენი ლიდერი და არ დაგიდგებოდა. ისევ ერთად იყვნენ აეგ იყო რა აი ძნ დიდი მინუსი იყო.”

ცენტრალიზაციასა და ჩაკეტილობას შეეხო კიდევ ერთი მამაკაცი რეს-პონდენტი ოპოზიციური პარტიიდან და ისაუბრა ზოგადად პარტიების ჩაკეტილობაზე საქართველოში.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე მამაკაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე

“ჩვენთან ხომ ამ “ბელადომანიას” კიდევ არ ვეშვებით, ვთქვათ ერთი ათეული ადამიანისგან დაფუძნდა პარტია, წლები გადის, და ამ პარტიაში პრობლემა ექმნებათ, იმიტომ რომ აი მე ვთქვი რომ პარტია ძნელად აღწევს იმას, რომ პარტია მაღალი რიცხოვნებით წარმოადგეს საკანონმდებლო ორგანოში. არადა მიზანი ხომ პარტიისა ის უნდა იყოს, რომ ხელისუფლებაში მოდიოდეს, საკანონმდებლო ორგანოში მოდიოდეს, გარკვეულწილად რომ მართვაზე ჰქონდეს ეს ბერკეტები. და ეს 10, 9 თუ 8 ადამიანი თავში ვინც არის, ამათგან უდიდესი ნაწილი ეწინააღმდეგება სხვების ასე მარტივად შემოსვლას, რომ მისი ადგილი არ დაიკავოს იქ და ასეთ ჩაკეტილ სივრცეებში ვართ.”

შეჯამებისთვის შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგადად პარტიისა და ადგილობრივი ორგანიზაციისათვის ლიდერის ან უბრალოდ წევრის შერჩევა და დანინაურება საქართველოში დღეს მოქმედი პოლიტიკური პარტიებისათვის „აქილევსის ქუსლია“, რამდენადაც მათ ადგილობრივ ორგანიზაციებს მცირერიცხოვანი ერთგვაროვანი ჯგუფები წარმოადგენენ, რომელთა შიგნით კონკურენცია და ახალი ლიდერების ზრდა ან გამოვლენა არსებულ პირობებში თითქმის წარმოუდგენელია. ამის განმაპირობებელი დიდწილად თავად პარტიების ცენტრალური ორგანოების დამოკიდებულებაა ადგილობრივი ორგანიზაციების მიმართ, რამდენადაც, პრაქტიკულად ცენტრალურ ოფისში შერჩეული პირი ინიშნება ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარედ, ეს კი ორგანიზაციაში ფორმალურად ჩატარებული არჩევნებით ფორმდება. მუნიციპალურ დონეზე ადგილობრივი პოლიტიკური თანამდებობების კანდიდატების შერჩევას არ უნდა განსაზღვრავდეს თბილისური პარტიული ელიტა, როგორც ეს იყო აქამდე, ვინაიდან შიდაპარტიული დემოკრატია გულისხმობს კონკურენციას ადგილობრივი ორგანიზაციის შიგნით – წამყვანი პოზიციებისთვის ღია ბრძოლას.³⁹

ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ქალის კომენტარი ამტკიცებს ზემოთ განხილულ მოცემულობას.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე, ეროვნული უმცირესობა:

³⁹ “პოლიტიკა და პარტიები, დამხმარე სახელმძღვანელო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის.”, თბილისი 2015, გვ. 26.

“ბოლო პერიოდის აბსოლიტურად სხვა ეტაპზე გადავიდა მუშაობის პარტია, იმ თვალსაზრისით რომ გახდა ბევრად უფრო ღია და ბევრად უფრო ხელმისაწვდომი ნებისმიერი მოქალაქისთვის. იმიტომ რომ მანამდე იყო სამწუხაროდ ეს რაღაც გაუცხოება, ალბათ შიდაპარტიული არასწორი მენეჯმენტის ბრალიც იყო, იმ თვალსაზრისით, რომ პარტია მთლად ბოლომდე ვერ იყო გახსნილი და თუნდაც მათ შორის მეც მქონდა რაღაც ცოტა შიდაპარტიულ პროცესებში ინტეგრირების პრობლემა. <...> ვიღაცეები იყვნენ პარტიაში ვინც არ აძლევდა იმის საშუალებას ბოლომდე რეალურად გახსნილიყო პარტია და ეს უბრალოდ ერთი ან ორი ადამიანი იღებდა გადაწყვეტილებას იმაზე, თუ ვისთვის იქნებოდა პარტია და ვისთვის არა. ეს პრობლემა იყო. <...> დღეს ნამდვილად ჩვენ ვმუშაობთ ახალ სტრატეგიაზე რომელიც სწორედ ღიაობის და ჩართულობის პრინციპზე არის მიმართული. შეიძლება საერთოდ აპოლიტიკური ან ნეიტრალური ადამიანები ჩავრთოთ თვითონ ამ სტრატეგიის დაგეგმვაში, რომ იმათმა გამოთქვან, თავიანთი მოსაზრება თუ როგორ წარმოუდგენიათ.”

რესპონდენტის თხრობა ნათლად გვიჩვენებს შესწავლილი ქართული პარტიების ელიტურ ბუნებას, რომელიც მის შიდადემოკრატიულობასა და თანაბარი მონაწილეობის პრინციპებს სპობს და სხვადასხვა ტიპის პოლიტიკით დაინტერესებულ ადამიანებს ქართული პოლიტიკის მიღმა ტოვებს.

საბოლოოდ, შეგვიძლია, განვმარტოთ შესწავლილი პარტიების ტიპაჟი. პარტიის ლიდერებსა და წევრებს შორის ურთიერთობის სტილის მიხედვით, შესწავლილი პარტიები 2 ტიპად იყოფა: დემოკრატიულებად და არადემოკრატიულებად. როგორც გამგებლობის/მერობის, ასევე პარტიული სიის კანდიდატა შერჩევის თვალსაზრისით, ქართული პარტიების ცხოვრებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ **მათი უდიდესი ნაწილი სწორედ არადემოკრატიული შიდა მოწყობის მოდელს ამჟობინებს**. როცა თავად პარტიული ცხოვრებაა არადემოკრატიული და ცენტრიდან მართული ტოტალიტარული მართვის მეთოდზეა აგებული, ძნელი წარმოსადგენია, ასეთმა პარტიებმა შეძლონ მთლიანად ქვეყნის, საზოგადოების წარმატებული ტრანსფორმაცია სრულყოფილ დემოკრატიად. ამდენად, ჩვენს ქვეყანაში არსებული „ნახევარ-დემოკრატიის“ თუ „ჰიბრიდული დემოკრატიის“ მახინჯი ფორმების ერთ-ერთი საწყისი სწორედ პარტიული ცხოვრების არადემოკრატიულობაშია საძებნელი.⁴⁰

⁴⁰ “პოლიტიკა და პარტიები, დამხმარე სახელმძღვანელო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის”, თბილისი 2015, გვ. 24.

სანამ განვიხილავდეთ, თუ რატომ არის შიდაპარტიული დემოკრატიის არარსებობა ქალებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი, მანამდე განვიხილოთ შემდეგი მსხვილი კატეგორია, რომელიც კვლევის მონაცემების დაფუძნებით შეიქმნა:

A2. შიდაპარტიული შრომის გენდერული დანაწილება:

25 წლამდე მდედრობითი სქესის რესპონდენტების თხრობისას აღმოჩნდა, რომ ისინი ხშირად ამბობდნენ ფრაზას: “ჩვენ არ ვამბობთ უარს ნებისმიერი სამუშაოს შესრულებაზე, ვაკრავთ პლაკატებს, დავდივართ აქციებზე..” თითქოს ამით ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ისინი მდედრობითი სქესის/ქალურობის გამო “უნარონი” არ არიან და კაცური სამუშაოების შესრულებაც შეუძლიათ.

პარტიაში შესრულებულ საქმიანობებს აქვს გენდერი.

A2.1. პარტიული სამუშაოების გენდერი

შესწავლილ პარტიებში ქალები ასრულებენ შემდეგი სახის სამუშაოებს: რუტინული სამუშაოები: წერა და ბუღალტერია, აგიტაცია და პროპაგანდა, დროებითი სამუშაოები არჩევნებისთვის, მხოლოდ არჩევნების დღეს მუშაობა, დაბალანაზღაურებადი პარტიული სამუშაოების შესრულება, ურთიერთობა მედიასთან, ხშირად არიან პარტიის მაჟორიტარი კანდიდატის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები.

ამ სამუშაოების შესრულების საფუძვლად სახელდება ის მიზეზი, რომ კაცები თავილობენ ასეთი სამუშაოების შესრულებას, დაბალი ანაზღაურების გამო, ხოლო, ქალები - არა. მხოლოდ ახალგაზრდა სტუდენტი ბიჭები არ თავილობენ ქალების მსგავსი სამუშაოს შესრულებას პარტიებში, ისიც მხოლოდ თბილისში.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებელი, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ყოველდღიური რუტინული საარჩევნო კამპანია გადადის ქალებზე. პირველი ამის მიზეზი ის არის, რომ ქალები არ თაკილობენ კარდაკარ სიარულს. ჩემი გამოცდილებით, რომ აილო კარდაკარ მომუშავე 1000 ადამიანიდან 950 იქნება ქალი და 50 იქნება ახალგაზრდა ბიჭი, სტუდენტი, ისიც ქალაქში. რუტინული, შრომატევადი, დამღლევი სამუშაო, რომელიც არ არის მაღალანაზღაურებადი, ქალებისთვის მისაღებია, კაცებისთვის - მიუღებელი. როდესაც საქმე ეხება შავ სამუშაოს, ეს სამი თვის განმავლობაში, მაგალითად, დილის 10-დან 6 საათამდე უნდა აკეთო ერთი და იგივე საქმე. კაცებისთვის ეს არის მოსაბეზრებელი. ქალებს შეუძლიათ, დღეს რასაც აკეთებდნენ, ხვალაც ის აკეთონ. იგივე საარჩევნო ადმინისტრაცია რომ ნახოთ, ძალიან კარგი მაგალითია სტატისტიკის: მთლიანად საქართველოში არის 3600-დან 3700-მდე საუბნო საარჩევნო კომისია. თითოში არის 13 წევრი. აი, რომ გავამრავლოთ დაახლოებით 42000 გამოდის. ეს სტატისტიკა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ თანაფარდობას გეტყვით: თითოეულ უბანზე, საუბნო კომისიაში, არის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. თავმჯდომარე არის უფროსი. მოადგილე არის უსაქმური, იმიტომ რომ კანონში უნერია, რომ თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს, თორემ ისე ყოველდღიურად, საქმე არა აქვს. მდივანი არის ადამიანი, რომელსაც ხელმძღვანელობიდან ყველაზე მეტი საქმე აქვს, იმიტომ რომ ყველა დოკუმენტი მისი მოსამზადებელია. გენდერულ ჯრილში რომ ნახოთ ეს თანამდებობები, თავმჯდომარეების 80% არის კაცი, მოადგილეების 99% არის კაცი, და მდივნების 99% არის ქალი - ოქმები, რუტინა, აღრიცხვა, ყველაფერი. სადაც არის რუტინა, იქ არიან ქალები. საუბნო კომისიაში, მაგალითად 3600 ადამიანი მეყოლება დასანიძნი ახლა ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე და შემოძლია გითხრათ, რომ აქედან 3500 იქნება ქალი, და ეს 100 კაცი აუცილებლად იქნება ქალაქებში - ახალგაზრდა სტუდენტები.”

პარტიული შრომის დანაწილება კარგად ჩანს რაიონულ პარტიულ შეხვედრებზე.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“არჩევნების დროს როცა სამუშაოა საჭირო, იქ ქალები ჭარბობენ და მშვიდობიანობის და არა-დაძაბულ პერიოდში კაცები 90% არიან. აი, ხო არის კითხვა-პასუხი, არც ერთი ქალი არ დგება და არაფერს ამბობს პარტიული განხილვების დროს, მარტო კაცები ლაპარაკობენ. ქალები მოდიან და “ყავა ხო არ გინდათ?” ესე არის ძალიან ბევრგან, რეგიონებში. დაყოფა ხდება ფუნქციების. მე ვეუბნებოდი, რომ მე აქ ჩამოვდი, რომ თქვენ მოგისმინოთ, ყავა არ მინდა. ქალები მპასუხობდნენ: “აი, აგერ კაცები არიან, ისინი კარგად ილაპარაკებენ.”

შესწავლილი მონაცემების საფუძველზე, კიდევ ერთი საინტერესო თეორიული კატეგორია გამოვლინდა:

A2.2 “ფსევდომზრუნველობა”

აღმოჩნდა, რომ შესწავლილ პარტიებში, მდებდრობითი სქესის მქონე პარტიული ადამიანებისათვის მტკივნეულია ე.წ. ფსევდომზრუნველობა, რომელიც სქესის ნიშნით სამუშაოს დაყოფას ეფუძნება და მიჩნეულია, რომ ზოგიერთი საქმე ქალმა არ უნდა გააკეთოს, იმიტომ რომ ნაზია და სუსტი. როგორც ჩანს, ამას პარტიული კაცები შემდეგში უთანასწორობის გასამყარებლად იყენებენ. რამდენიმე ქალმა რესპონდენტმა საინტერესოდ ისაუბრა ამ მოვლენაზე.

სახელისუფლებო პარტია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 25 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებელი, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“დანაწევრებული არ იყო ერთნაირად ვაკეთებდით ყველა საქმეს, მათ შორის, მიუხედავად იმისა, რომ მე ქალი ვიყავი, ყველა ქუჩაზე დავყვებოდი და ყველგან ერთად დავდიოდით. სააგიტაციო მასალა თუ მოქმედი კანდიდატის პლაკატები, გამეთები რაც იყო და ფლაერები, რაც ჩამოდიოდა, ერთად ვარიგებდით და ერთად ვაკრავდით პლაკატებსაც”.

სახელისუფლებო პარტია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 25 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებელი, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“თავიდან იყო მცდელობა, რო, აი, გოგოა და მოდი იყავი ოფისში, ძაან ელემენტარული რო ავიღოთ - პლაკატების გაკვრა. მერე უკვე მიხვდნენ, რომ შემოიძლია მეც იგივეს გაკეთება რაც ბიჭებს. შეგვიძლია. სამი ოთხი თვის მერე აღარ ყოფილა პრობლემა, სხვა გოგოებს უთქვამთ რომ, აი, ბიჭებმა გააკრან პლაკატები, ცოტა ნაზი გოგოები გვყავს ჩვენ, საკუთარ თავშივე ჩაგრავს საკუთარ მეს. მე სადაც საქმეა ყველგან ნავალ და გავაკეთებ”.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, განქორწინებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“პლაკატების გაკვრიდან დაწყებული ყველაფერი გაგვიკეთებია ქალებს. გუნდი გვქონდა ჩამოყალიბებული და ფაქტიურად ჩვენ ვაკეთებდით ყველაფერს, ფიზიკური შრომაც გავგინევია.”

შიდა პარტიული შრომის დანაწილება და გენდერირება ცდილობს ქალები ჩასვას ისტორიულად განმტკიცებულ გენდერულ სტერეოტიპებსა და როლებში. თუმცა, ამაზეც ოდნავ მოგვიანებით ვისაუბროთ.

A2.3. შრომის ეთიკისა და პასუხისმგებლობების გენდერი

როდესაც საქმე ეხება შრომას, წესრიგსა და პასუხისმგებლობას, ყველა-ნაირი ტიპის რესპონდენტი თანხმდება, რომ ეს უნარები ქალებს უკეთ აქვთ განვითარებული, ვიდრე კაცებს.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ყოფილა ისეთი კრიტიკული დღეები, რომ ძალიან ბევრი ხალხი მიეღოთ და დაუბარებიათ 10 საათზე პარტიაში და აქედან წასასვლელი გავმხდარვარ 1 საათზე. იმასაც გეტყვი, რომ ქალები, ვინც ათ საათზე ყოფილან დაბარებული არავინ არ დაკლებია ქალი, შეიძლება კაცი არ მოსულა ვიღაცა, მაგრამ ქალი არასდროს. როცა უბნები გვაქვს დანაწილებული და სიას ამოიკითხავს ხელმძღვანელი, ყოფილა, რომ ვინმე კაცი არ ესწრებოდა. ქალის შრომითი პასუხისმგებლობა უფრო დახვეწილია.”

სახელისუფლებო პარტია, მაღალი რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე მამაკაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“რალაც განსაკუთრებული თვისებებით ქალები სწორედ გამოირჩევიან, ეს შეიძლება ითქვას. ანუ ისეთ პოლიტიკაში, როგორც ჩვენ გვინდა, ქალები შეიძლება უფრო წარმატებულებიც კი იყვნენ, ვიდრე კაცები, გამომდინარე მათი პიროვნული თვისებებიდან: აკურატულობა, პრაგმატული დამოკიდებულება, რალაცა მიზანსწრაფულობა, შრომის-მოყვარეობა, ეს ყველაფერი ახასიათებს ქალებს.”

სახელისუფლებო პარტია, მაღალი რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ზოგადად რაც არის დამახასიათებელი ესეთი, გენდერულად დამახასიათებელი, გენდერული დინამიკა არის ის, რომ გამიმბრამდებიან კაცი კოლეგები ალბათ, მაგრამ მგონია, რომ ქალები არიან ბევრად უფრო აქტიურები და მოტივირებულები და პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს, ნუ, ყოველ შემთხვევაში მე ასეთი განცდა მაქვს, მაგრამ მათ ბევრად უფრო უჭირთ წინ წაიწიონ მნიშვნელოვანი პოზიციებისკენ.”

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“რა თქმა უნდა ეხლა კოორდინატორი ქალები - ჩვენ დავდიოდით 12 საათი, იქ მამაკაცებს გაუშვებდნენ? ხან სად დაპატიუებდნენ ხან სად, სამუშაო ძირითადი გადადიოდა ქალებზე.”

სანამ განვიხილავდეთ, თუ რატომ არიან, ერთი შეხედვით, უფრო პასუხისმგებლიანი და შრომისმოყვარე პარტიული ქალები პარტიულ კაცებთან შედარებით ნაკლებად წარმატებულები, მანამდე ვისაუბროთ A კატეგორიის მესამე პატარა თეორიულ კატეგორიაზე.

A3. კულტურული შფოთვები და სტერეოტიპები პარტიის შიგნით

მონაცემებზე დაფუძნებით, ვასკვნით, რომ კაცების პოლიტიკური/პარტიული საქმიანობების მიმართ რესპონდენტებს არანაირი კულტურული შფოთვა ან სტერეოტიპი არ გააჩნიათ, მაშინ, როდესაც ქალების მიმართ რამდენიმე ასეთი თეორიული კატეგორია გამოვლინდა, როგორც პარტიის შიგნით, ასევე - გარეთ.

A3.1 “პატრიარქალური ინერცია” (“ამომრჩეველს სურს კაცი კანდიდატები”)

გამოკითხული პარტიული კაცები ამბობენ, რომ ქალ მაჟორიტარობის კანდიდატს ამომრჩეველი უპირატესობას არ ანიჭებს, ხმას არ აძლევს და ამიტომ, იძულებულნი არიან, კანდიდატებად ისევ მამაკაცები დაასახელონ. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ეს იმიტომ ხდება, რომ ამომრჩეველის აღქმაში ქალს ძალაუფლების სახე არ აქვს.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე მამაკაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“მე მაინც თუ უცებ მკითხავ, ასევე აბსოლუტურად არამცოდნე და არაპროფესიონალი ადამიანისთვის, პირველი ამბავი მაინც არის რო, ის ტრადიცია რომ (ქალი) არ უნდა აღიქვას ძალაუფლების წყაროდ. ანუ ძალაუფლება ის არ შეიძლება იყოს, ეს არის მთავარი ამბავი. მთავარი შემაკავებელი, რატო არ ხდება ქალის დასახელება ეს არის კონსერუსი იმაზე, რომ, ნუ, აბსოლუტური კონსერუსი არა, რა თქმა უნდა, რო ვერ უხელმძღვანელებს ქალი რაღაცას. ეს ძალიან Blur (“ბუნდოვანი” - ავტ. შენიშვნა) ამბავია, ანუ არა აქ მას ამის უნარი და ეს მერე ედება ყველას ვინც გარშემო არის, ანუ ვინც გადაწყვეტილებას იღებს, ის არ შეიძლება იყოს ქალი.”

აღმოჩნდა, რომ ქალი მაჟორიტარობის კანდიდატი, რომელმაც გადალახა ეს პატრიარქალური ინერცია და დაასახელებს კანდიდატად, ბევრი წინააღმდეგობის წინაშე დადგა, რომელსაც პარტიული კაცები “საზოგადოების მზად არყოფნის” მოვლენად ფუთავდნენ.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე, ეროვნული უმცირესობა:

“არგუმენტები იყო, რომ საზოგადოება არ არის მზად, არ დაუჭერს ქალს მხარს. იმიტომ რომ სისულელეა, ყოველთვის კაცები იყვნენ კანდიდატები, თან მითუმეტეს ასაკის ფაქტორი. რატომღაც ჰგონიათ, რომ ასეთი სტერეოტიპია დღესაც სამწუხაროდ, რომ მხოლოდ შეიძლება კაცს დაუჭირონ მხარი, მხოლოდ კაცს მისცემენ ხმას. მაგრამ ყოველთვის გვაზიანებდა ის, რომ რეალურად იმ კანდიდატსაც აქვს დიდი მნიშვნელობა, რაღაც თვისებები გააჩნია ადამიანურად. შეიძლება ქალს ბევრად უკეთესი თვისებები გააჩნდეს, ამას ხშირ შემთხვევაში არ ვიცი რატომ ივიწყებენ. ჩემი კანდიდატი დაყენება-არდაყენების საკითხი როდესაც იყო, ბევრად უფო მეტი ადამიანი იყო ისეთი ვინც იყო წინააღმდეგი და ძალიან მცირე ჯგუფი იყო, რომელიც მემხრობოდა”.

საინტერესოა, რა ამყარებს “პატრიარქალურ ინერციას”? მაგრამ, ჯერ განვიხილოთ მესამე კატეგორიის მეორე ქვეკატეგორია.

A3.2. შიდაპარტიული კონფორმიზმის გენდერი

საინტერესოა კატეგორიაა პარტიის შიგნით კონფორმიზმის მოვლენა. აღმოჩნდა, რომ ეს პარტიულ კაცებში უფრო გვხვდება, ვიდრე ქალებში. ქალები უფრო ნონკონფორმისტები და კრიტიკულები არიან. შიდაპარტიულ კონფორმიზმს აქვს გენდერი.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე,

“რამდენადაც ლოიალური და კონფორმისტული ხარ პარტიის შიგნით, არ გამოხატავ პროტესტს, მით უფრო მიდიხარ წინ. მე ვისაც ვიცნობ [პარტიაში] ქალები გაცილებით უფრო ნაკლებად კონფორმისტები არიან, ვიდრე კაცები”

საინტერესოა კაცი რესპონდენტის მოსაზრება შიდაპარტიულ კონფორმიზმზე, რომელიც წინა რესპონდენტის მოსაზრებას ამყარებს.

სახელისუფლებო პარტია, სამუალო რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“პირველ რიგში ემორჩილებოდეს პარტიის შინაგანანხეს და არ შეიძლება, რომ პარტიასთან შეუთანხმებელი თვითინიციატივით რაღაცეები გააკეთო, თუ პარტიის სახელით გინდა იმოქმედო, პარტიის გარკვეულ სისტემას უნდა დაემორჩილო.”

“შიდაპარტიული კონფორმიზმის” შესახებ თითქმის ყველანაირი ტიპის რესპონდენტის ნაამბობში ამოვიკითხეთ ექსპლიციტური ან იმპლიციტური შინაარსები.

მონაცემების გაანალიზების დროს, შიდაპარტიული შფოთვებისა და სტერეოტიპების საინტერესო ქვეკატეგორია აღმოჩნდა, შიდაპარტიული დამოკიდებულებები ქალის სხეულთან დაკავშირებით. შესაბამისად შეიქმნა გაანალიზებული თეორიული კატეგორია:

A3.3. ქალის სხეულის კონტროლი/ სტიგმატიზაცია

ეს კატეგორია კიდევ ჩაიშალა უფრო პატარა კატეგორიებად:

A3.3.1. ქალი როგორც არასანდო პოლიტიკური პარტნიორი (ევა)

აღმოჩნდა, რომ პარტიის შიგნით ქალები განიხილებიან, როგორც არასაიმედო პარტნიორები.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“მახსოვს, ეს ხდება 2008 პარლამენტში, მაშინ პირველად გავიგე ეგეთი რაღაც და შოკში ვიყავი. რაღაც ლაპარაკი იყო და ერთმა ქალმა ჩვენი პარტიიდან თქვა, რო მე ვიბრძოლე რო ეს ქალები არ ყოფილიყვნენ ამ პარლამენტში, თორე ჩვენ რაღაცაზე შევთანხმდებოდით და მერე გარბოდნენ და X-ს უყვებოდნენო. <...> ეს ქალები საფრთხედ იყვნენ აღქმულები, ეგ იყო.”

ეს კატეგორია “შიდაპარტიული კონფორმიზმის” კატეგორიას ეხმიანება და კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ კაცები “საფრთხედ” არ აღიქმებიან პარტიისთვის, იმიტომ რომ ისინი პარტიას “ემორჩილებიან”, ხოლო, ქალები უფრო არასაიმედონი და არამყარები არიან. სინამდვილეში რატომ ხდება ამ მოვლენის ასე შეფუთვა, მონაცემების ინტერპრეტაციისა და თეორიული კატეგორიების ახსნისას ვისაუბრებთ.

შემდეგი მნიშვნელოვანი ქვეკატეგორია არის:

A3.3.2. “პროვინციელი ქალი” (ბუნება vs აღზრდა)

კიდევ ერთი საინტერესო კატეგორია, რომელიც აქამდე დასახელებული კატეგორიებიდან ეხმიანება: “ცენტრალიზაციისა და ელიტურობის” კატეგორიას, არის პოლიტიკურად აქტიური, არათბილისელი, პროვინციელი ქალების უხეშად ჩამოცილება ცენტრალური პოლიტიკიდან. ამაზე საინტერესოდ გვესაუბრება ზედა რგოლის მენეჯერი ქალი თბილისიდან:

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“მანდ იყო რამდენიმე მომენტი: ის რო ჰქონდა აქცენტი, იმერული - დასაცინი. მაშინ, როცა კაცების იმერული აქცენტიც არის და ამის გამო დასაცინი არ ყოფილა. <...> საინტერესო ფაქტი იყო, აქტივიზმში ხალხი როგორ ხვდება და რა ნიშნით ხვდება. ბიჭები იყვნენ უმრავლესობა, გოგოები შედარებით ნაკლები, მაგრამ კარგი იმიტო იყო, რომ ეს არ იყო რაღაც თბილისის ვაკე-ვერის სასტავი. <...> აქედან გამომდინარე, ვაკურ-ვერულ ხალხს, ჰქონდათ აგრესია, “ფუუ ეს გოიმები” და “ამათთან რა გვინდა”. “შენ მრგვალ ბაღთან არ ცხოვრობ? რა გინდა მაგ გოიმებთან”. საოცარი შეფასებები იყო. მე მგონი მაგ შემთხვევაში გოგოები, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ უფრო აქტიურები, ზუსტად მაგიტო ვერ იყვნენ.”

შემდეგი პატარა კატეგორია არის ოჯახის ფაქტორი პარტიული ქალების ცხოვრებაში. მათთვის ეს დამაბრკოლებელია და ხშირად შიდაპარტიული მანიპულაციის საფუძველიც ხდება. ძირითადი აქცენტი კეთდება პარტიული ქალების ორსულობასა და დედობაზე, ასევე მშობლებისა და ნათესავების შფოთვაზე, რომლებიც განიცდიან მათი ოჯახის წევრის პოლიტიკაში

ყოფნას. თუმცა ამაზე მოგვიანებით. ჯერ მხოლოდ ის გავაანალიზოთ, რომ ოჯახი და ორსულობა ხელს უშლის პარტიულ ქალებს პარტიულ მოღვაწეობაში.

A3.3.3 “გათხოვება”/“ქმარი”/“ოჯახი”/“ნათესავები”/“პასუხისმგებლობის გენდერი”

შესწავლილი პარტიული ქალები, რომელთაც ჰყავთ ოჯახი და შვილები, ერთხმად აღიარებენ, რომ ქალებს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა აქვთ ოჯახის მიმართ, ვიდრე ვაცებს, რაც ხშირად ერთი მხრივ შიდაპარტიული დაბუღინგების საფუძვლად ვლინდება, ხოლო მეორე მხრივ იწვევს ქალების სტიგმატიზაციას, რომელსაც განიცდის ოჯახი.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“აი ოჯახის ამბავი, ის რო ბევრი ქალი ერიდება სტიგმატიზირებას, რას მოიცავს ეს სტიგმა - ჩემ მაგალითზე რაც მოგყევი, არ უნდა ბევრს, რომ ვილაცამ გამოაჭენოს და ილაპარაკონ მასზე, რომ ნათესავია, საყვარელია ვინმესი. ჩემი ოჯახისთვისაც არ იყო ეს სასიამოვნო, მიუხედავად იმისა, რომ არ უთქვამთ ამის გამო არ ჩაერთო პოლიტიკაში”.

სახელისუფლებო პარტია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ჩვენს შემთხვევაშიც ანუ, არის ეს გარკვეული გენდერული, გარკვეული კულტურული ასე ვთქვათ და ისტორიული მოცემულობაც, ამის გარდა არის და ამის ნაწილია ალბათ ის, რომ მაგალითად ქალებს, მე მგონია რომ ბევრად უფრო მეტი პასუხისმგებლობა ადევთ, როგორც პერსონალური, ანუ პირადი, მაგალითად როგორიც არის ოჯახში, ასე ვთქვათ, სხვადასხვა პასუხისმგებლობები, შვილებთან მიმართებით და ა.შ. ოჯახის სხვა წევრებთან მიმართებით, რომელთაზეც და ქალებისთვის, მე მგონია, რომ პირადად, მე ესეთი განცდა მაქვს, და დარწმუნებული ვარ ბევრი ქალისთვის ეს არის პრობლემა. მე მყავს შვილი მაგალითად და ძალიან დიდ დროს ვატარებ მისგან

მოშორებით. ასევე ძალიან ცოტა დრო მაქვს მასთან გასატარებლად და ძალიან დიდი სირთულეა ეს ჩემთვის და მე მაქვს ფუფუნება, რომ სხვა ოჯახის წევრები მომეხმარონ, მაგალითად, და ხელი შემინყონ და ამ პირობებშიც ვი არის ძალიან რთული ჩემთვის, რომ ვაკეთო ის, რასაც ვაკეთებ, რაც მამაკაცებს, როგორც წესი, შეფერხებას და სირთულეს არ უქმნის და ეს უკვე ძალიან დიდი უთანასწორობა არის პრინციპში და უკვე ძალიან დიდი დამატებითი ტვირთია, რომელთან გამკლავებაც მარტივი არ არის.”

ზედა კატეგორია ქმნის შიდაპარტიული დაოჯახებული და შვილიანი “დედის გასაჭირის” ქვეკატეგორიას:

A3.3.4. “დედის გასაჭირი” (“ორსულობა/დეკრეტი”)

როგორც ერთ-ერთი დაოჯახებული და შვილიანი პარტიული ქალი გვიყვება:

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ორსულობის დროს რაღაც პერიოდი მქონდა წოლითი რეჟიმი, ძან ცუდი ორსულობა, მერე ბავშვს ჰქონდა ისეთი საჭიროება, რომ სახლში უნდა ვყოფილიყავი, რეალურად, მართლა წინაღობა იყო ჩემთვის. მაშინ, როცა კაცებს ესეთი რაღაც არასოდეს არ აქვთ, ხო? თავისთავად ორსულობა არ აქვთ და დეკრეტულს არასდროს აიღებენ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არის. 1 კაცი არის ასეთი, თუ ორი. მე კიდევ უნდა გავანანილო დრო ბავშვსა და სამსახურს შორის, მაშინ როდესაც კაცისთვის ეს არასდროს არ არის კალკულაციაში.”

მონაცემების გაანალიზების პროცესში აღმოჩნდა, რომ არსებობს შიდა-პარტიული შფოთვები პარტიული ქალების ვიზუალზე, სექსუალურობასა და ასაკზე და შეიქმნა კიდევ ერთი თეორიული ქვეკატეგორია:

A3.3.5. “ვიზუალი/იმიჯი”, “სექსუალობა” და “ასაკი”

როგორც აღმოჩნდა, პარტიული ქალების ჩაცმულობასა და იმიჯზე პარტიის შიგნით არსებობს შფოთვები.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“უფრო ახალგაზრდა რო იყო, ეგ კიდე დამატებითი ფაქტორი იყო მისი შევინროების და დაბუღინების - შიგნითაც და გარეთაც. აი თმა, რომ შეიღება, შიგნითაც მოხდა ისეთი ამბავი, როო. რაღაცა მთელი ამხანაგური სასამართლო ჩაუტარეს, მეგობრულად. ანუ ის კი არ გაიპრანჭა, თავისი თავი დაიმკვიდრა, როგორც სხვანაირი, როგორც თვითონ მოსწონს, რომელიც საზოგადოებისთვის არ არის მისაღები, ასეთი ტიპაჟის ადამიანების ნახვა. ანუ ამ შემთხვევაში, მის ამ საქციელს ნუ, მოყვა დიდი ამბავი. ყველა იღებავს თმას, ქალიც და კაციც, შეღებილ კაცზე არავის არ გაუკეთებია დიდი განხილვა და შეღებილ ქალზე, დიდი ამბავი მოჰყვა, მართლა დიდი ამბავი, და რაღაც შენიშვნები, რომ ჯობია ასე ჩაიცივა და არა სხვანაირად ჩაიცივა.”

სახელისუფლებო პარტია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 25 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ერთი გოგო იყო და მოკლე კაბებით სიარული უყვარს და შიდაპარტიულ განხილვებში თქვეს, რომ ამას თუ ვინმე ხმას მისცემს, მხოლოდ მოკლე კაბის გამოო.”

გარდა ამისა საინტერესო იყო პარტიული ქალების შეფასებით, როგორ უნდა გამოიყურებოდეს პარტიული ქალი, ზოგადად. აღმოჩნდა, რომ ისინი ამჯობინებენ პოლიტიკოსი ქალი არ იყოს სექსუალური, ახალგაზრდა და ფემინური, იმიტომ რომ “საქმეს” ეს მახასიათებლები არ სჭირდება და პლუს, პარტიული კაცების თვალში ისინი არასერიოზულებად აღიქმებიან.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, განქორწინებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“მგონია, რომ სექსუალური არ უნდა იყოს, მკვეთრად ვულგარული, ქალბატონი. მისი გონებრივი შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა იყოს შესწავლილი. ასაკი ალბათ 30 წლიდან ზევით 55 წლამდე ალბათ, საუბარიც უნდა შეეძლოს, დამაჯერებლობა უნდა ჰქონდეს, პირველ რიგში, მას უნდა სჯეროდეს, რომ რაღაცას აკეთებს.”

სახელისუფლებო პარტია, სამუალო რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, გდასაოჯახებელი, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“სექსუალობისგან დაცლილი უნდა იყოს ქალი პოლიტიკოსი. <...> სექსუალობა უნდა გაიტანო პარტიის გარეთ, იმიტო რომ ვიღაც ნაშაა და მას არ მოვუსმინოთ, ნაშა საქმეში არ გამოდგება, ნაშა ერთგული ვერ იქნება და პრინციპული, მე ესე მგონია, თუ ნაშაა და ნაშაა სხვა ფუნქციები აქვს. მე რო მამაკაცი ვიყო, გულწრფელად, კაი ქალი მოვიდეს, ლამაზი ჰაბიტუსითა და გულმკერდის შემონეროლობით, - შევხედავ, ნაშა არ მჭირდება საქმეში, მინდა ერთგული, პრინციპული ადამიანი საქმეში.”

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ვფიქრობ, რომ არ უნდა იყოს სექსუალური. ქართველი კაცებისთვის ეს რომ სექსუალური იყოს, არასერიოზულ მიდგომას იწვევს. მაყურებელი კაცი და საერთოდ საზოგადოება ამ ქალის ლაპარაკს კი არ მოუსმენს, არამედ მის ვიზუალს უყურებს. ის შეიძლება ძალიან საინტერესოდ საუბრობდეს, მაგრამ ვიღაც კაცი არ დაინტერესდეს და ლადაობა დაიწყოს. ეხლა, მთლად უმაკიაჟოდ და პირდაუბანელი არ უნდა გამოხვიდე. <...> ყველაფერი ნორმებში უნდა იყოს. მე მაინც ვფიქრობ, რომ გასათხოვარი უნდა იყოს, სამუალო ასაკის.”

კიდევ ერთი საინტერესო კატეგორია, რომელიც მონაცემების გაანალიზების თანადროულად შეიქმნა, არის:

A3.3.6. “პოლიტიკა ბინძურია”

აღმოჩნდა, რომ კაცი რესპონდენტები ხაზს უსვამენ ქართული პოლიტიკის „სიბინძურეს“ და ფიქრობენ, რომ სწორედ ამის გამო შეიძლება თქვას უარი ქალმა პოლიტიკაში წინსვლასა და აქტიურად მონაწილეობაზე.

სახელისუფლებო პარტია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე კაცი, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე, გადანყვეტილების მიმღები:

“კი, ქალი ერიდება. ერიდება იმიტო რომ უყურებს, აი, მოდი ჩავრთო ტელევიზორი და ყველაზე კაი მაგალითია რა. რა ხდება ტელევიზორში, როდესაც მიდის დებატები? არანაირი კულტურა, არანაირი ურთიერთპატივისცემა. დაწყებული დედის გინებით, ჭიქების სროლებით და ბორჯომის ბოთლებით და თვითონაც ისა აქვს რა, ჰგონიათ, რომ პოლიტიკა არის სიბინძურე.”

ამ ქვეკატეგორიას, პოლიტიკის „სიბინძურეს“, მოსდევს შემდეგი კატეგორია, რომელიც მასვე ეხმიანება და ებმის.

A3.3.7. “ქალი დეპუტატობის კანდიდატი/კონფლიქტური ქალი”

გამოკითხული კაცი რესპონდენტები ქალ დეპუტატობის კანდიდატის შესახებ ამბობდნენ, რომ არ არის სასურველი ქალი მაჟორიტარობის კანდიდატის დასახელება, იმიტომ რომ ის მშიშარაა და დამთმობი, გაუჭირდება კარდაკარ სიარული, ასევე გაუჭირდება კონფლიქტებში შესვლა და თუ ქალს უნდა პოლიტიკაში მოვიდეს და შეძლოს თავის დამკვიდრება, ის აუცილებლად კონფლიქტური, ე.წ. მებრძოლი ქალი უნდა იყოს. სილამაზე, სექსუალობა და განათლება შეიძლება მხოლოდ ამ მებრძოლი ხასიათის დანამატად მივიჩნიოთ. წარმატებულობის საზომად გამოიყენება “კონფლიქტურობა.”

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე კაცი, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე, გადაწყვეტილების მიმღები:

“კი, შეიძლება კონფლიქტურად აღიქვან, მაგრამ ჩემს საქმეში ეგ ხელს არ შემიძლის. პირიქით ქალის კონფლიქტურობა მე დამეხმარება დარწმუნებაში ჩემი გუნდის.. <...> ამიტომ დარწმუნებაში ქალის კონფლიქტურობაც კი პლუსი იქნება, <...> ქალის შემთხვევაში ეს ძაან დამეხმარება იმ სტერეოტიპის დასამარცხებლად, რომელიც ყველას თითქმის აქვს საარჩევნო თვალსაზრისით (ქალი სუსტია და მშიშარა), აი ნორმალურ, აბსოლუტურად ჩემი შეხედულების ადამიანს, რომელიც სხვა ყველა საკითხში გულწრფელად წამომყვება, როგორც კი საარჩევნო თემა შემოვა, ათიდან ცხრა შემთხვევაში შეიქმნება არგუმენტი, რომ ქალი მაინც არი პრობლემა. <...> ეს არის საკმაოდ უნივერსალური.”

ოპოზიცია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე კაცი, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“მაჟორიტარი ქალი, აქტიური უნდა იყოს. <...> ბოლომდე უნდა გაიყვანოს თავისი დასახული მიზანი, თუნდაც პოლიტიკაში თუ რაიმე იდეაა, უშიშარი უნდა იყოს. აი ქალი თუ უშიშარია, ის ყველაფერს გააკეთებს.”

სახელისუფლებო პარტია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე კაცი, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“კი და მე ვფიქრობ, მშიშარა ქალბატონს ცოტა გაუჭირდება საარჩევნო კამპანიის ჩატარება, იმიტო რო მაჟორიტარობა არის ისეთი თემა, რომ 24 საათის განმავლობაში ყოველდღე უნდა იყო ქუჩაში გადავარდნილი. უნდა გქონდეს შეხვედრები შენ ამომრჩეველთან. უნდა დადიოდე ტალახში, ტყეში, ღრეში. არ ვიცი რა, მთელი დღის განმავლობაში ხარ ამ პროცესში და ამით ხარ დაკავებული.”

როგორც ვხედავთ, პარტიის შიგნით კაცები ითხოვენ ქალის “კონფლიქტურობას.”

აქამდე ვისაუბრეთ მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლენილი თეორიული კატეგორიების შესახებ პარტიის შიგნით, ახლა კი მოკლედ მიმოვიხილოთ პარტიის გარეთ არსებული თეორიული კატეგორიები, რომელიც გავლენას ახდენს ქალების პარტიულ ცხოვრებაზე.

B. ბარეპარტიული კატეგორიები

B1 პარტიაში მოსვლის ალტერნატივები

მონაცემების ანალიზისას, აღმოვაჩინეთ გარეპარტიული კატეგორიები, რომლებიც ქალების პარტიულ მოღვაწეობაზე ახდენს გავლენას. პირველი ასეთი კატეგორია არის პარტიაში მოსვლის ალტერნატივები, რომელიც თავის თავში მოიცავს მიგრაციას პატარა ქალაქებიდან, დაქორწინებასა და ანაზღაურებად სამუშაოს. აღმოჩნდა, რომ შესწავლილი მონაცემების

მიხედვით, პატარა ქალაქებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გარემოებების გამო, ახალგაზრდა ქალები პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმის ნაცვლად, ამჯობინებენ: სასწავლად და სამუშაოდ შიდა/გარე მიგრაციას და ადგილობრივად დაბალ, ან მაღალანაზღაურებად სამსახურებში დასაქმებას.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

B1.1. მიგრაცია პატარა ქალაქებიდან:

B1.1.1. სასწავლო და სამუშაო მიგრაცია

როგორც ერთ-ერთი ქალი რესპონდენტი გვიყვება, პარტიაში ქალები არ რჩებიან, მაგრამ ამისთვის არც პარტია აკეთებს რამეს. ახალგაზრდა ქალებს ურჩევნიათ ანაზღაურებადი სამსახურების მოძებნა, სადაც მათ შრომას დაათმობენ და მხოლოდ აგიტატორობითა და საარჩევნო აქტივობებით არ დაიკავებენ მათ დროს.

სახელისუფლებო პარტია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“მე რაც დავაკვირდი, გარდა იმისა, რომ ცალკე ეს კულტურული ბარიერები და რაღაცეები, გოგოებს ურჩევნიათ, რომ განათლება მიიღონ და სამსახური იშოვონ. საკრებულოში და იმეებში არავინ არ გაჩერდება. მივადექით ანაზღაურებას. პარტიაში ახალგაზრდა ნიჭიერი ქალი შეიძლება იმ შემთხვევაში დააკავო, თუ ექნება კარგი ანაზღაურება, მაგრამ ჭირდება პარტიას ასეთი ქალი? არ ჭირდება, რადგან ქალებს აკეთებინებს მხოლოდ აგიტაციურ სამუშაოს, რომელიც არის დაბალანაზღაურებადი.”

პარტიული კაცები ამას თბილისის ფაქტორით ხსნიან, რომ თბილისი ცენტრია და იქ ნასვლა ურჩევნია ყველა გოგოს.

სახელისუფლებო პარტია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ცენტრია თბილისი, ყველანაირი, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, ფინანსური და საგანმანათლებლო <...> თუ უკეთესი პერსპექტიკვა და პირობები აქ ქალს, ბევრი შეიძლება წავიდეს.”

საინტერესო იყო ერთ-ერთი რესპონდენტის ნაამბობში აღმოჩენილი სამუშაო ემიგრაციის პრობლემა.

ოპოზიცია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“უმუშევრობაა, ახალგაზრდების ძირითადი ბირთვი გასულია თურქეთში სამუშაოდ. ყველა წასულია თითქმის. პირობითად ციფრსაც მოგიყვანთ: 10-დან 6 ქალი წასული., ქალბატონები ძირითადად, ვინც მომვლელებად მუშაობენ.”

პარტიაში მოსვლის ალტერნატივებიდან გამოსაყოფია შემდეგი კატეგორია:

B1.2 დაქორწინება

როგორც რესპონდენტები ყვებიან, პატარა ქალაქებში, ახალგაზრდა ქალებს ურჩევნიათ დაქორწინება, ვიდრე პოლიტიკური აქტიურობა, ან პარტიული ცხოვრება.

სახელისუფლებო პარტია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“პერიფერიებში გოგონა მომავალს ვერ ხედავს, გარდა იმისა სამსახური მოიწყოს თავისთვის და მეტ პერსპექტივას ვეღარ ხედავს, აქაც რომ ექმნება რაღაცა ბარიერი, წყვეტს აქტიურობას და ფიქრობს, რომ ქალისთვის გათხოვება უფრო შემდგარობას ნიშნავს, ვიდრე ბოლომდე მიწოლა და აქტიურობა პოლიტიკაში”

შემდეგი ქვეკატეგორია არის:

B1.3 ანაზღაურებადი სამუშაო

ეს ქვეკატეგორია იყოფა ორ მიმართულებად: პატარა ქალაქებში მცირე ანაზღაურებადი სამსახურით დაინტერესებული ქალები და თბილისში მსხვილ ორგანიზაციებში, საჯარო სამსახურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებით დაინტერესებული ქალები.

მაგალითად, რეკონდენტები პატარა ქალაქიდან ყვებიან:

ოპოზიცია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ახლაგაზრდამ შეიძლება დატოვოს პარტია, თუ ანაზღაურებად საქმეს შესთავაზებენ. ეხლა ყველასთვის მნიშვნელოვანია ანაზღაურებადი საქმიანობა, ვიდრე, აი, ესე, ენთუზიამზე. შეიძლება ფიზიკურად არ დატოვოს პარტია, მაგრამ დრო აღარ ჰქონდეს და ვეღარ ასწრებდეს.”

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“შეიძლება მაღაზიაში მუშაობა ამტობინოს ახლაგაზრდა გოგომ, ვიდრე პოლიტიკაში, რა თქმა უნდა, იქ სტილისტად, გამყიდველად, თუ რაღაც ხელმისაწვდომია და მერე ის პოლიტიკური და თუნდაც სოციალური აქტივობები გადაინევს, როცა ლუკმა-პურზე გინევს ფიქრი.”

რაც შეეხება თბილისს, ერთ-ერთი სახელისუფლებო პარტიის ზედა რგოლის მენეჯერი მამაკაცის აზრით, ქალები მიდიან უფრო არასამთავრობო ორგანიზაციებში, ერთი მხრივ, მაღალი ხელფასის გამო და, მეორე მხრივ, უფრო ადვილია, გარედან აკრიტიკო ქართული პოლიტიკა, რაც ნაკლებ-საპასუხისმგებლო საქმეა, ვიდრე თავად პოლიტიკის კეთება.

სახელისუფლებო პარტია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე კაცი, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ქალები მიდიან არასამთავრობო ორგანიზაციებში. დღეს არასამთავრობოს როლი რა არის, აი, მოდი გულწრფელად ვთქვათ: უფ-

რო ადვილია, რა თქმა უნდა, არანაირი პასუხისმგებლობა არ გაქვს. აკეთებ განცხადებებს, აკრიტიკებ, და დღეს ისე ფინანსდება არასამთავრობო მიმართულებები, იღებენ გრანტებს, დაფინანსებებს სხვადასხვა ევროპული ქვეყნებიდან და, ნუ, პრობლემა არ აქვთ. იგივე ხელფასი შეიძლება მიიღოს, ვიდრე მაგალითად რომელიმე სამინისტროში დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში, მას არ აქვს პასუხისმგებლობა.”

B კატეგორიის, მეორე პატარა კატეგორია არის:

B2. გარეპარტიული შფოთვები ქალის პარტიულობაზე

რომელიც კიდევ ერთ ქვეკატეგორიას შეიცავს:

B2.1 ოჯახი, ნათესავები, მეგობრები და მეგობლები

აღმოჩნდა, რომ პარტიული ქალების შიდაპარტიულ წარმატებაზე დიდი გავლენა აქვს ოჯახსა და გარემოცვას. ხშირ შემთხვევაში, ოჯახი და გარემოცვა მრავალი სახის კულტურული შფოთვით ხასიათდება, ხოლო ის რესპონდენტები, ვისი მშობლებიც თავად ემხრობოდნენ ქალის პოლიტიკურ აქტიურობას, ან ვისაც არ ჰყავს ოჯახი, ქართულ პოლიტიკაში უფრო მეტად წარმატებულები არიან, ვიდრე ისინი, ვისაც ქმარი ჰყავს, ან მშობლები და სანათესაო არ ედგნენ გვერდში პოლიტიკური საქმიანობების განხორციელების თანადროულად.

ოჯახის მნიშვნელობაზე საუბრობენ პარტიული ქალები, როგორც ქვედა რგოლებიდან და რაიონებიდან, ასევე ზედა რგოლებიდან და თბილისიდან. აღმოჩნდა, რომ ოჯახის ფაქტორი უნივერსალური თეორიული კატეგორიაა ყველა ტიპის რესპონდენტის ნაამბობის მიხედვით.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ოჯახი მნიშვნელოვანია. ალბათ იმიტო, რომ არ მოეწონება ქმარს

პარტიული ქალის კარდაკარ სიარული. სხვას ვერ ვხედავ ცუდს. როცა მენ თავში ხარ დარწმუნებული, რომ რა წარსული გქონდა, რა გაქვს გაკეთებული, მხოლოდ ოჯახმა და ქმარმა შეიძლება დაგაბრკოლონ.”

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“დედამთილებს იმის პრობლემაც აქვთ, რომ ქალი გვიანობამდე არ უნდა მუშაობდეს. ჩემ დედამთილს ჩემი საჯარო სამსახურში აყვანის შემდეგ ეშინოდა, რომ დილიდან გვიანამდე სამსახურში ვიქნებოდი.”

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ქმარი არ მყავს, გათხოვილი არ ვარ, მე ისეთ ოჯახში გავიზარდე, გარდაცვლილები არიან, დედა იყო ფილოლოგი, მამა იყო ეკონომისტი, მე იმიტომ ვარ წარმატებული, ყველა ინდივიდუალურია, ალბათ მიზანდასახული უნდა იყო, პრინციპები მიზნები, გარემომაც უნდა შეგინყოს ხელი, რაღაცა დაამტკიცო. ჩემი მშობლები ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულები და ეროვნული სულისკვეთებით ვიყავით ჩართულები,”

რაიონებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ნათესაობის ფენომენს და იმას, თუ, რომელი პარტიის წევრია კონკრეტული პარტიული ქალი. აღმოჩნდა, რომ ოპოზიციური პარტიების ქალების მიმართ უფრო მეტი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს, ვიდრე სახელისუფლებო პარტიის წევრი ქალების მიმართ.

სახელისუფლებო პარტია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 25 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“გეტყვი რა შემთხვევაში შეიძლება თქვას უარი: პატარა ქალაქია, პარტიები მაინც დაყოფილები არიან, ეს აქ ყველა ვილაც-ვილაცის ნათესავია და აქვთ ახლობლობა, მეგობრობა და მაინც ცდილობენ, რომ, აქ სხვანაირად არ გამოდის, იმდენად იკრძალება ხოლმე,

წინასაარჩევნოდ ნათესაობა და მეგობრობა განზე გადის. ეს ზუსტად ერთადერთია რაც კონკრეტულ პიროვნებებს უშლის ხელს, მე ვიცი ასეთი ბევრი, ნათესავის გამო რომ არ მიიღებს მონაწილეობას, მე ყველასთან მაქვს გაფრთხილება თემასთან და პოლემიკაშია რომ შევდივართ, მაგრამ სხვა ადამიანებთან, უმრავლესობასთან აქვს ამას მნიშვნელობა”

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ყველაზე მთავარია ალბათ რომელი პარტიიდან ხარ. <...> ალბათ ბურგი უნდა გქონდეს პოლიტიკური პარტიიდან. პატარა ქალაქში ეს დაუმძრახების თემაც შეიძლება იყოს ხელის შემშლელი. რო დაქალი, მეზობელი და ვილაც ქალი ვარ და ეს ხალხი უმძრახად მადგება და შენი გარიყვა ხდება ხო, ეგეც არის ხელის შემშლელი ფაქტორი და ქალი რო ხარ, შეიძლება შენი თავი უკან დანო რათა მეზობლებთან გქონდეს კარგი ურთიერთობა.”

მნიშვნელოვანია პარტიული ქალის ასაკი და მისი სამეგობროს დამოკიდებულება ამ ქალების პარტიულობისადმი. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდების პარტიული აქტიურობა დაბუღინგებისა და დაცინვის საგანია, განსაკუთრებით რაიონებში.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 25 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ახალგაზრდა ხარ და რატომ უნდა გაინტერესებდეს პოლიტიკა?” მეც მქონია ასეთი შემთხვევა, პირადად მეგობრებისგან რო “რატომ დადიხარ? რატომ უნდა იყო ახალგაზრდა გოგო პარტიაში?” მაგრამ არ მაინტერესებს საერთოდ რას ფიქრობენ გარშემო მყოფები, იმიტო რომ ამას ვაკეთებ, იმიტომ რომ მე მინდა ასე, თავს ვთვლი ვალდებულად და არა რაღაცის გამო. ჩემი ოჯახის წევრებიც თვლიდნენ, რომ თავი უნდა დამენებებინა და ასე აქტიურად არ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მე მაინც ჩემს აზრზე ვიყავი. გაიზიარეს ბოლომდე და მხარშიაც დამიდგნენ და ვფიქრობ, რომ ეს არის ის, რასაც ბოლომდე გავყვები.”

მონაცემების გაანალიზების შედეგად მივიღეთ ის თეორიული კატეგორიები, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ და დანვრილებით მიმოვიხილეთ. კვლევის შემდეგი ნაწილი წარმოადგენს მონაცემებზე დაფუძნებულ ინტერპრეტაციას. გაანალიზდება გამოვლენილი თეორიული კატეგორიების მიერ შექმნილი ქალის პოლიტიკაში მონაწილეობის ხელისშემშლელი სირთულეები და მითები.

მონაცემებზე დაფუძნებული ინტერპრეტაცია. მითები და მათი დეკონსტრუქცია

მონაცემების გაანალიზების შემდეგ, განხორციელდა მათზე დაფუძნებული თეორიული ინტერპრეტაცია. შექმნილი თეორიული კატეგორიები ინტერპრეტირდა ისევე შეგროვებული პირველადი სოციოლოგიური მონაცემების საფუძველზე. შეიქმნა ქოლგა ინტერპრეტირებული თეორიული კატეგორია, რომელსაც დავარქვით: **“ტრანსფორმაციულ საქართველოში მამაკაცურობისა და ქალურობის რეპროდუქციის კრიზისი პარტიებში და პარტიებს გარეთ.”**⁴¹

ქვემოთ განხილულია თუ რა შინაარსის მატარებელია ქოლგა თეორიული კატეგორია, თუმცა, მანამდე განვმარტოთ ძირითადი ცნებები.

სოციალური რეპროდუქცია (კვლავნარმოება) და ტრანსფორმაცია.⁴²

საბჭოთა კავშირის დაშლისა და გლობალიზაციის შედეგად, მრავალი ახალი ცოდნისა და ინფორმაციის შემოჭრის შემდეგ, ქართული საზოგადოება ბევრი სირთულის წინაშე დადგა. შეიცვალა ტრადიციული გენდერული როლები, რომელიც გამოიწვია, ერთი მხრივ, ტრადიციული ინსტიტუტების ეროზიამ

⁴¹ ამ ეტაპზე შეუძლებელია გაცდე გენდერის ბინარულ დაყოფას და სცენაზე შემოიყვანო სხვა გენდერული იდენტობები. მონაცემებმა ამის საშუალება არ მოგვცა. არც კვლევის მიზანი ყოფილა მსგავსი მონაცემების დამუშავება და ინტერპრეტაცია.

⁴² სოციოლოგიის ამოცანაა, შეისწავლოს სოციალურ რეპროდუქციასა და სოციალური რეპროდუქცია მიუთითებს, თუ როგორ “ინარჩუნებენ სვლას” დროთა განმავლობაში საზოგადოებები; სოციალური ტრანსფორმაცია კი აღნიშნავს იმ ცვლილებებს, რომელთაც ისინი განიცდიან. სოციალური რეპროდუქცია მიმდინარეობს, ვინაიდან არსებობს უწყვეტობა იმისა, რასაც ადამიანები ყოველდღიურად და ყოველწლიურად აკეთებენ, და სოციალური პრაქტიკა, რომელსაც ისინი მისდევენ. ცვლილებები ხდება ნაწილობრივ იმიტომ, რომ ადამიანები აპირებენ მათ მოხდენას, და ნაწილობრივ იმ შედეგების გამო, რომლებსაც არავინ განჭვრეტს თუ ითვალისწინებს.

(რელიგია, ოჯახი, მეცნიერება) და, მეორე მხრივ, ქართულ სივრცეში გენდერული პოლიტიკის დაბადებამ. ქალურობისა და მამაკაცურობის ცნებების ბიოლოგიურობით, რელიგიურობით ან ზებუნებრივი მოვლენებით ახსნები სოციალური კონსტრუქცივიზმის ცოდნას შეერია და საბოლოო ჯამში მივიღეთ მოცემულობა, რომ ტრანსფორმაციულ პერიოდში ახალი “ქალურობებისა” და “მამაკაცურობების”⁴³ რეპროდუქცია გართულდა. სახეზე გვაქვს კრიზისი. გიდენსის მიხედვით, ეს კრიზისი, სწორედ საზოგადოებრივი ტრანსფორმაციით არის გამონწვეული. მამაკაცების პოზიცია ბევრ სფეროში დომინანტური აღარ არის. ოჯახის მარჩენლად, ძველებურად, მხოლოდ მამაკაცი აღარ ითვლება. ბიჭები, წარსულთან შედარებით, ნაკლებად არიან დარწმუნებულნი იმაში, თუ რა არის მათი სამომავლო ცხოვრებისეული მიზანი⁴⁴ ამიტომ, ქალებისა და ვაცების ქცევა თანამედროვე საზოგადოებაში, ნაწილობრივ, არის პასუხი თანამედროვე საზოგადოებებში “მასკულინობისა და ფემინურობის კრიზისზე.”

მოკლედ განვმარტოთ კრიზისის ცნება. იგი გამოიგონეს ძველ საბერძნეთში და გამოიყენებოდა ექიმების მიერ, როდესაც აღწერდნენ პაციენტის მნიშვნელოვან შემობრუნებას ავადმყოფობიდან უკეთესობისკენ. ეს ნიშნავს, რომ ცნება კრიზისი, რომელიც ხშირად რაიმე ცუდთან დაკავშირებული გვგონია, სინამდვილეში ნიშნავს, მნიშვნელოვან შემობრუნებას ახლისა და უკეთესისკენ”⁴⁵.

რომ განვავრცოთ, ადამიანები არ ვარდებიან გასაჭირში უბრალო სიძნელეების გამო. ისტორია სავსეა წინააღმდეგობებისა და სიძნელეების წინაშე დამარცხების დრამატული მაგალითებით. ჩვენი პრობლემა ის კი არ არის, რომ ჩვენ კონფრონტაციაში ვართ სიძნელეებთან, არამედ არის ის, რომ ჩვენ შემოსაზღვრულნი ვართ ისეთი სიძნელეებით, რომლების **გაგებაც** არ შეგვიძლია. ჩვენ არ შეგვიძლია, თავი გავართვათ მათ, იმიტომ, რომ არ ვიცით როგორები არიან ისინი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ არ შეგვიძლია თავი გავართვათ სიძნელეებს იმიტომ, რომ არავის აქვს შესაძლებლობა, განმარტოს ისინი ყველანაირი ბუნდოვანების გათვალისწინებით და დაგვარწმუნოს თავის სიმართლეში.

⁴³ საზოგადოებები მოცემულ ისტორიულ მომენტში თანხმდებიან, თუ რა ითვლება ქალურობად და მამაკაცურობად და შემდეგ ეს გარდაიქმნება გენდერულ როლებად და საფუძველმდებარე მოლოდინებად, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ამა თუ იმ გენდერული როლის მატარებელი ადამიანები.

⁴⁴ O.Koefoed, “Masculinity in Crisis”, Roskilde University, 2012, pp. 10;

⁴⁵ იქვე, 83. 10.

კვლევა ფემინისტურ ხედვას ეფუძნება და მისი მიზანია, ვაღიაროთ ამ კრიზისის შედეგად გამონვეული რეალობა, რომელიც პარტიული ქალების ჩაგვრას ანარმოებს პარტიებში. ასევე, ჩვენი მიზანი იყო, რესპონდენტების ნამაბობში გვეპოვნა ისეთი ინფორმაცია, რომელიც ქალთა ჩაგვრას არ ხსნის მათი ბიოლოგიური, რელიგიური ან მოძველებული ფუნქციონალისტური შეხედულებებით („ქალი იმიტომ უნდა იყოს ოჯახში, რომ საზოგადოების კვლავანარმოება არ ჩავარდეს და ეს მისი ბიოლოგიით არის განპირობებული. მან უნდა მოუაროს ბავშვებს, ხოლო მამაკაცებმა უნდა მოიპოვონ სარჩო“) და დაგვედგინა, რომ პირიქით, შიდაპარტიული მჩაგვრელობითი პრაქტიკები სოციალურად კონსტრუირებულია, გადაიქცევა მითებად, რომლებიც შემდეგ რეალობაში ხორციელდება და იწვევს ქალების გარიყვას პარტიული ცხოვრებიდან, ან მათ “ჩაქრობას” პარტიის შიგნით.

მონაცემების შეგროვების, გაანალიზების, თეორიული კატეგორიების შექმნისა და ინტერპრეტაციის დროს აღმოჩნდა, რომ პროცესები ქართულ პარტიებში კრიზისულია. ერთი მხრივ, ზემოთ შექმნილი შიდა და გარე პარტიული თეორიული კატეგორიები (რომლებიც ქალისა და მამაკაცის გენდერული როლების ძველ მოდელს ემყარება, კაცი - საჯარო და პოლიტიკური, ქალი - კერძო და აპოლიტიკური), მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული პოლიტიკის კეთებისას და, მეორე მხრივ, ისინი აღარ არის პროდუქტიული და სხვადასხვა რესპონდენტების მიერ შეფასებული იქნა, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორები ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხში.

აღმოჩნდა, რომ ბევრი მითი და სტერეოტიპი არსებობს, რომელიც ქართულ პარტიულ სივრცეში ტრადიციული გენდერული როლების შენარჩუნებას ცდილობს. იგი ტრანსფორმაციული და გლობალიზებულია და განახლებასა და უკეთესობისკენ შემობრუნებას საჭიროებს. სწორედ ეს იყო კვლევის მიზანი, - შეგვეგროვებინა ინფორმაცია და ანალიზისას გამოვლენილი თეორიული კატეგორიები აღგვექვა, როგორც სირთულეები, რომლებზეც ინფორმაცია არ გვქონდა. ამ მონაცემების საშუალებით, შევავრთვეთ ეს უხილავი ცოდნები, რომელთა გაანალიზების შემდეგ შევძლებთ უარესობიდან უკეთესობისკენ შემობრუნებას - ცვლილებას.

რაც შეეხება ინტერპრეტაციას, მის შედეგად შეიქმნა ინტერპრეტირებული კატეგორიები, რომელიც დაეფუძნა ანალიზისას გამოვლენილ **შიდა** და **გარე პარტიულ თეორიულ** კატეგორიებს.

წარმოიქმნა დიდი ინტერპრეტირებული თეორიული კატეგორია: **“ტრანსფორმაციულ საქართველოში მამაკაცურობისა და ქალურობის რეპროდუქციის კრიზისი პარტიებსა და საზოგადოებაში”**, რომელიც თავისთავად დაიყო შედარებით პატარა სირთულის ორ ინტერპრეტირებულ თეორიულ კატეგორიად: **“მამაკაცურობისა და ქალურობის კრიზისი პარტიაში”** და **“მამაკაცურობისა და ქალურობის კრიზისი პარტიის გარეთ.”**

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

“მამაკაცურობისა და ქალურობის კრიზისი პარტიებში”/გამოქვეყნებული მითები

ეს კატეგორია იყოფა შედარებით მცირე კატეგორიად: **“მამაკაცების შიში, დაკარგონ პრივილეგია/ძალაუფლება”**. ამით, ისინი დაკარგავენ “მამაკაცურობასაც”, ვინაიდან პრივილეგიას/ძალაუფლებას მამაკაცის სახე აქვს; “ქალების შიში, რომ აღარ იქნებიან კარგი ქალები”, რომელიც გულისხმობს, შეინარჩუნონ ფემინურობა, დედობა, ცოლობა, მეზობლობა, მეგობრობა და ნათესაობა პარტიული ცხოვრების პირობებში, იმიტომ, რომ ამ ყველაფერს ქალის სახე აქვს. ეს კატეგორიები ერთმანეთს არის შერეული და ერთნაირად მნიშვნელობს პარტიული ქალების ცხოვრებაში.

კატეგორია: **“მამაკაცების შიში, დაკარგონ პრივილეგია/ძალაუფლება”**, მოიცავს შემდეგ ქვეკატეგორიას: **“ქალის კომპეტენტურობის საჯაროდ აღიარების სირთულე და “კონფლიქტურობისკენ” გადამისამართება”**. ერთი მხრივ, კაცები პრივატულად საუბრობენ იმაზე, რომ ქალებს კარგი სამუშაო უნარები და პასუხისმგებლობის შეგრძნება აქვთ განვითარებული, მეორე მხრივ კი, “კომპეტენტურობის” ნაცვლად, ქალი პოლიტიკოსის მთავარ პლუსად მაინც “კონფლიქტურობას” ასახელებენ, ანუ, იმ თვისებას, რაც სინამდვილეში პარტიულ კაცებს აქვთ, ან უნივერსალურ „კაცურ“ თვისებად მიიჩნევა ისევ კაცების მიერ.

სავარაუდოდ, საქმე გვაქვს პროექციასთან და ჩანაცვლებასთან, რომ პოლიტიკა „კაცური“ და მის “კეთებას” მხოლოდ “კაცური” მახასიათებლები სჭირდება და თუ ქალებს პოლიტიკაში წარმატების მიღწევა სურთ, უნდა გამოიყენონ მამაკაცური თვისებები, ხოლო ქალის უნარები და კომპეტენციები უარყოფილია. ადგილი გვაქვს მამაკაცურობის ისტორიულად და სოციალურად შექმნილი თვისების, “კონფლიქტურობის” გამოთვლასთან.

ამას გვიდასტურებს ზედა რგოლის ერთ-ერთი მენეჯერი პარტიული კაცის ნაამბობი ოპონენტ პარტიულ ქალზე, რომელიც წარმატებულ ქალ პოლიტიკოსად ითვლება.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“თავდაჯერებულია. როგორ მოახერხა ეგ?! ეს მან წლების განმავლობაში მოახერხა, ბევრ კონფლიქტებში შესულა და ამ კონფლიქტებში დემონსტრირება რომ არ ერიდება და, ასე ვთქვათ, სტანდარტს ერთი ტონალობით მაღლაც კი სწევს, იმიტომ, რომ ვთქვათ, შეიძლება ქალი იმიტომ ერიდებოდეს პოლიტიკაში შესვლას, რომ კონფლიქტის ენერჯია არ ჰქონდეს, ან, კონფლიქტი არ იყოს წახალისებელი, როგორც ქალის საქმიანობა, იმიტომ, რომ “ჩხუბი” არის კაცის საქმე.”

მივიღეთ წარმატებული პოლიტიკოსის სტანდარტად ჩამოყალიბებული მითი: **“კონფლიქტურობა”**.

ამ მოვლენაზე გამოკითხულ პარტიულ ქალებს განსხვავებული პასუხი აქვთ. ისინი თვლიან, რომ კაცები “კონფლიქტურობის” გამოთებით საკუთარი არაკომპეტენტურობის შეფუთვის ცდილობენ და როდესაც არ აქვთ უნარი, იყვნენ კომპეტენტურები, ცოდნაზე დაფუძნებულები, პასუხისმგებლიანები და მშრომელები, მხოლოდ “კონფლიქტით” მანიპულირებენ და “კონფლიქტი” მიაჩნიათ წარმატებული პოლიტიკური საქმიანობის ძირითად შემადგენელ ნაწილად.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“კონფლიქტზე ვერ დაგეთანხმებით. დავინყებ იმით, რომ ეს არის უბრალოდ თავის მართლება უგუნური კაცების მხრიდან, რომლებსაც არა აქვთ არგუმენტი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და გადადიან ხოლმე სექსისტურ, გენდერულ მიმართვაზე, კონფლიქტზე, ანუ მე ველაპარაკები კონკრეტულად, რომ ამ კანონპროექტში ეს მუხლი რო არის კონსტიტუციის საწინააღმდეგო და არგუმენტირებულად ველაპარაკები, სამართლის ენით, და მისგან პასუხს ვიღებ: “ქალი რო ჭკუის სწავლებას დამინყებს..”

“პროფესიული კომპეტენციის არალიარება და გადამისამართება კონფლიქტისკენ” მყარდება პარტიის შიგნით **“შრომის გენდერული დანაწილების ფენომენითაც”**. ეს ქალებს აჯაჭვებს ისეთ სამუშაოებზე (საწერი სამუშაოები, აგიტაცია), რომელიც მათი უნარების ისეთი გზით გამოყენებისკენაა მიმართული, რაც ნაკლებ დროს ტოვებს “კონფლიქტისთვის” და ვინაიდან, კონფლიქტია პოლიტიკური ქმედებისა და აქტრობის ჰეგემონური სახე, ქალები აღარ არიან აქტორები, ძალაუფლების მქონენი და არიან მხოლოდ “შავი მუშები.”

კატეგორია: **“პრივილეგიების დაკარგვის შიში” ქმნის: “რეკრუტმენტის, დანინაურებისა და ცენტრალიზაცია/ელიტურობის ქართულ ხასიათს”**. მონესრიგებული რეკრუტმენტისა და დანინაურების სისტემა პარტიაში შემოიყვანს არაელიტურ, კომპეტენტურსა და პასუხისმგებლიან ადამიანებს, ეს მახასიათებლები კი, მონაცემების გაანალიზების შედეგად, უფრო მეტად ქალების მახასიათებლებად დასახელდა⁴⁶, ვიდრე კაცებისა. ასეთი ქალების პარტიაში შემოყვანა ელიტურ, კონფლიქტურ და ჰეგემონურ მამაკაცებს პარტიაში ძალაუფლების გადანაწილების საქმეში საფრთხეს შეუქმნის. ამიტომ ხდება “პროფესიული უნარების”, როგორც რეკრუტმენტისა და დანინაურების ინდიკატორად წარმოჩენის დაკნინება და “კონფლიქტის”, როგორც პოლიტიკური წარმატების ყველაზე ღირებულ თვისებად წარმოება. ამ მიდგომით, მამაკაცები ინარჩუნებენ შიდაპარტიულ პრივილეგიებს და ივინყებენ საკუთარ “არაკომპეტენტურობას”. ისინი ამბობენ: “ქალი არ არის კონფლიქტური და რა ქნას? ვერ იქნება წარმატებული პოლიტიკოსი. ნავიდეს სახლში, მოუაროს ბავშვებს. მერე რა, თუ უფრო მშრომელი და კომპეტენტურია?”.

გარდა იმისა, რომ “კონფლიქტურობის” მითი ხელს უშლის პარტიულ ქალებს, დამკვიდრდნენ პოლიტიკაში, ეს შესაძლოა ქართული პოლიტიკიდან დევნის კომპეტენტურ, პოლიტიკის მცოდნე, მაგრამ მშვიდობიან არაელიტურ კაცებსაც.

⁴⁶ ერთ-ერთი პარტიული ქალის ნაამბობიდან: “კი. სამსახურშიც ეხა მქონია რო კაცებიც ყოფილან მასწავლებლები და იმათ უფრო უცვლელუტიათ და რაღაც მენიშვნა გამოუცხადებია. ქალები ავნითლებულვართ, კაცებს ღიმილი აქვთ სახეზე. ქალში უფრო მეტი თავმოყვარეობაა თითქოს”;

ასევე, პარტიული ქალის წარატივიდან: “კაცები მეტნი არიან, მაგრამ წინა არჩევნებზე სამი ქალი ვიყავით და უფრო მეტ საქმეს ვაკეთებდით, ვიდრე ის 40 კაცი.”

მშვიდობიანობა vs კონფლიქტურობა, მართო ქართული ფენომენი არ აღმოჩნდა.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეგრეთა, მაგალითად, აი, სამშვიდობო მოლაპარაკებებს რომ შევხედოთ, აღარ მახსოვს რამდენი პროცენტი, მგონი 30, ნუ, მეტი პროცენტი არის ქალების თვითონ მოლაპარაკებების დროს, მაგრამ უკვე ხელმომწერების დროს არის სადღაც 1 თუ რაღაც. მაგრამ ყველგან ეგრეთა კომპანიებშიც, ხო, მენეჯმენტის დონეზე, იგივე ტრენდის ნაწილია სამწუხაროდ ესეც.”

გარდა ამისა, მამაკაცები ცენტრალური პოლიტიკიდან ცდილობენ, რეკრუტმენტისა და დანიშნულების სისტემა “რეკომენდაციებსა” და “ნაცნობობას” დააფუძნონ, რათა კიდევ უფრო გაამყარონ თავიანთი ძალაუფლება პარტიის შიგნით. ნაცნობობითა და რეკომენდაციებით პოლიტიკაში “მოყვანილი” ქალი აღარ წარმოადგენს დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტს/აქტორს, ის არ წარმოადგენს ქალებს პოლიტიკაში, ის წარმოადგენს იმ კაცებს, რომლებმაც პოლიტიკაში მოიყვანეს. გარდა ამისა, ხდება პოლიტიკოსი/პარტიული ქალების “დემონიზაცია” ამ მიმართულებით: “კაცის მოყვანილი ქალი”, “კაცის საყვარელი”, “კაცის გამოა ახლა პარლამენტში”, “სექსუალობის გამოა პოლიტიკაში, რომელსაც კაცი მოიხმარს” და ა.შ. რომელიც დამატებით ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება ქალების პოლიტიკაში მოღვაწეობის დროს და გარდაიქმნება მითად, რომელიც რეალობაში მნიშვნელობს.

აღმოჩნდა, რომ პარტიის შიგნით და პარტიის გარეთ ეს **“კაცის მოყვანილი ქალის”** ფენომენი/მითი თავად პარტიული ქალების დაბუღინგების საუკეთესო საშუალებაა და პლუს სხვა ქალებს უკარგავს პოლიტიკაში მოსვლის სურვილს.

საინტერესოა ის, რომ ბუღინგის ამ ხერხს ის პარტიული ქალებიც იყენებენ, რომლებიც თავად “ნაცნობობითა” და “პატრონობით” მოყვანილებლად მიიჩნევიან სხვა რესპონდენტების მიერ. ეს ქალები მოვიდნენ პოლიტიკაში და მათი პოლიტიკური წარმატებაც კაცების მიერ არის “შექმნილი.” წარმოიქმნა “ურთიერთსტიგმატიზაციის” ფენომენი, რომელიც, შესაძლოა,

დანაშაულის განცდის პროეცირება იყოს სხვაზე, იმ დანაშაულის განცდის, რომელსაც რეკრუტმენტისა და დანინაურების მოუწესრიგებელი სისტემა აწარმოებს. იქმნება “განტევების ვაცის” შექმნის ფენომენი.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ეგენი რო ყოფილიყვნენ დამოუკიდებელი კანდიდატები, არ ეყარათ კენჭი X სახელით და ფული და ა.შ და მათ პირისპირ დამდგარიყო ვაცი მაუორითარი კანდიდატი, სიტყვაზე ყველა დამოუკიდებელი კანდიდატი იყო, ყველანაირი პოლიტიკური სარჩული ჩამოაშორე, ჩემი აზრით მაინც ყოველთვის ვაცს მიანიჭებდნენ უპირატესობას სამწუხაროდ.”

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“აბსოლუტურად არ ვგულისხმობ, იმას რომ X-ს მაინცდამაინც რაღაცა სექსუალური ის ჰქონდა, გადარევა ჰქონდა, აზრზე არა ვარ რა ჰქონდა, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც ქალური ნიშანი ამაში იყო და ამის ყველაზე ისეთი ანეგდოტურ ტრაგიკომიკული ეგ მახსენდება. მე მგონია, რომ მანდ ფაქტორი იმისი, რომ “ლამაზი გოგოა”, ბრტყალებში რომ ვთქვათ, ეგ ფაქტორი მუშაობს. ყოველ შემთხვევაში, აღქმა ამ მოვლენის ესე იყო.”

კაცებიც საუბრობენ ამ ფენომენზე, რა თქმა უნდა, ყოველთვის მონინააღმდეგე პარტიის პარტიული ქალების განხილვისას, თუმცა, გაანალიზებული და ინტერპრეტირებული მონაცემების მიხედვით აღმოვაჩინეთ, რომ ეს მოვლენა, სხვა პარტიის ქალების “ვაცის მოყვანილი ქალის” მითით დაკნინება ყველა პარტიულ მამაკაცს ახასიათებს.

ოპოზიცია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ერთი ქალი არის თითმმართველის თემის გამგებლის მოადგილის საყვარელი, მაგიტომ დანინაურდა, თანაშემწედაც წაიყვანა მერე. უფრო აქცენტი ეთმობა ამას, ვიღაც რაღაცასთან გაიგივებულია, აი, პროფესიონალური თვალსაზრისით ნაკლებად.”

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ნუკრი ქანთარია გამოდიოდა სიტყვით, მიმართა ნაც. მოძრაობის წევრებს, თქვენი საქმე წასულია და არაფერი გეშველებათ, მაგრამ ჯერ კიდევ ნათელი თვალეებით ახალგაზრდა გოგოები ზიანო, ესენი დაიხსენით პოლიტიკური სუნიიორობისგანო.”

როგორც ქალი რესპონდენტები ამბობენ **“რეკრუტმენტის, მობილობისა და დანინაურების ქართული ხასიათი”** საზოგადოებაში აღვიძებს, ახალისებს და აწარმოებს ისეთ დამოკიდებულებას, რომ ადამიანები ინტერესდებიან ქალი პოლიტიკოსების პირადი ცხოვრებით და მათზე განხორციელებული ძირითადი ზეწოლა მიემართება ამ მიმართულებით. პარტიული ქალების საჯარო და კერძო/პირადი სივრცეები ერთმანეთში ირევა.

ასევე, კომპეტენტური ქალი პოლიტიკოსები ზიანდებიან და უწევთ თავის მართლება, რომ “ნაცნობობის” გარდა, ისინი პარტიაში კომპეტენციებისა და უნარიანობის ხარჯზე მოხვდნენ. “ნაცნობობა” და “კაცის მოყვანილი ქალი” დამატებითი ხელისშემშლელი ფაქტორია და უარყოფითად მოქმედებს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობის ზრდაზე. ამ მოვლენაზე ქალები უფრო მეტ ენერგიას ხარჯავენ და შესაბამისად უფრო მეტად ეშვებათ ხელი პარტიულ საქმიანობებში, ვიდრე პარტიულ კაცებს. ამიტომ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს მითიც კაცების მიერ არის შექმნილი, ქალების “ჩაქრობისა” და ძალაუფლების განმტკიცების მიზნით.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე, ეროვნული უმცირესობა:

“ძალიან ცუდია, რომ ზოგადად ასეთი დამოკიდებულება არის საერთოდ. ჩვენ გვაკინძვება ერთი მნიშვნელოვანი რაღაც, შეიძლება

ქალი პოლიტიკოსი გააკრიტიკო მისი საქმიანობიდან გამომდინარე და არა პიროვნულად... ჯერ ჩვენ საქართველოში ეს ტენდენცია ვერ დავამყარეთ."

სახელისუფლებო პარტია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

"შენით როგორ?" აი, ბუსტად ეგ არის: "შენით როგორ?" ან "რა სისულელეა ახლა", თუ სადღაც რაღაცა პოზიციაზე აღმოჩნდი, ავტომატურად ჩნდება, მაშინვე ჩნდება ხოლმე ეს და ქალებიც დგანან, სხვათა შორის, ეს მართო კაცებს არ ეხება. ქალებისგანაც ჩნდება ის, რომ "ვინც შენ მანდ დაგსვა" და "ვიღაცამ დაგსვა" და ა.შ. ანუ ის, რომ შენ შენთვის უნარი არ გაგაჩნია, რომ რაღაცა გზა გაიზრო და რაღაცეები გადალახო და გარკვეულ რაღაცა წარმატებებს მიაღწიო."

აღმოჩნდა, რომ ზოგიერთმა ქალმა პოლიტიკოსმა ამ წნეხს ვერ გაუძლო და პოლიტიკიდან წავიდა.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

"აი ესე ფორმალურად აღარ არის, პარტიაში კი დადის ხოლმე და რაღაცეებში ჩართულია, მაგრამ პოლიტსაბჭოს წევრი არ არის და პარლამენტის წევრი არ არის, ერთმა პარლამენტარმა უთხრა, წინა მონვევის პარლამენტში, რომ "ესეთ რა განსაკუთრებულ უნარებს ფლობო" რომ... არა - "ესეთ რა ტექნიკებს ფლობო, რომ პარტიაში მოგიყვანესო."

გამომჟღავნდა კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია შიდაპარტიული კატეგორიების ინტერპრეტირებისას, რომელიც ეხება რეგიონებს. პარტიის ცენტრალიზებული მართვა რეგიონელი ქალებისათვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა. იმიტომ, რომ პარტიების ელიტური ნაწილი რეგიონელ ქალებს კარგად არ იცნობს, საერთოდ არ აქვს კონტაქტი და ახლოს გაცნობის სურვილი. ელიტური მამაკაცები ცენტრალური პოლიტიკიდან მხოლოდ თბილისელ ქალებს იცნობენ და ცენტრალურ პოლიტიკაშიც "ნაცნობი" ან "სასურველი" თბილისელი

ქალები მოჰყავთ. ხოლო რეგიონში, მხოლოდ პარტიულ კაცებს იცნობენ ან ცდილობენ გაიყნონ ახალი კაცები. ამ მამაკაცური კავშირებითა და რაიონულ დონეზე ქალების სრული იგნორირებით, კაცები ინარჩუნებენ პრივილეგიებსა და ძალაუფლებას ცენტრიდან პერიფერიაზე, და ზოგადად პარტიაში. დამატებით, როგორც აღმოვაჩინეთ, რაიონებში განსაკუთრებით აქვთ კაცებს განვითარებული ე.წ. “შიდაპარტიული კონფორმიზმი”, სწორედ იმიტომ, რომ ადგილობრივად მათი პრივილეგიებულობის შენარჩუნება და რეპროდუქციაც ამ უნარის გამო ხდება.

დავარქვათ სახელი: “რაიონებშიც მამაკაცები ცდილობენ, შეინარჩუნონ პრივილეგიები შიდაპარტიული კონფორმიზმისა და მამაკაცური კავშირების საშუალებით.”

ცენტრალიზაცია, კონფორმიზმი და მამაკაცური კავშირები რაიონულ დონეზე რაიონულ პარტიულ კაცებს საშუალებას აძლევს, მიმართონ მანიპულაციას და შექმნან ახალი მითი: **“თბილისს ასე უნდა”**, ხოლო თბილისის სრულიად მამაკაცურია და გამოდის, რომ კაცებს უნდათ ასე.

ამ მოვლენაზე საუბრობენ ქვედა რგოლის აქტივისტი პარტიული ქალები და საშუალო რგოლის მენეჯერი რაიონელი პარტიული კაცები, ხოლო ზედა რგოლის მენეჯმენტისთვის, ქალებისთვისაც და კაცებისთვისაც, ეს მოვლენა უხილავია.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ჩვენ გვქონდა ასეთი შემთხვევები, როცა შიდაპარტიული არჩევნები იყო მაგალითად ქუთაისში და მე ვენსრებოდი და რომ მივედი, მარტო კაცები არიან არჩეული. რამდენი ადგილი არის, იმდენი კანდიდატია. ეს არის არჩევნები-თქო? ვიბრძოლეთ, რომ ყველას გქონოდათ კანდიდატის დაყენების შესაძლებლობა, შეჯიბრის შესაძლებლობა. გგონიათ, რომ ეს კაცები თქვენ გჯობიათ თქო? პირდაპირ ვუთხარი. არაა ეგრე, არ გგონია, მაგრამ ანგარიში გავუწიეთო, თბილისში ასე იყო მისაღები და ჩვენ ხომ არ წავიდოდით პარტიის საერთო ხედვის საწინააღმდეგო, ანუ ვილაცამ იქ თქვა, რომ თბილისს ასე უნდა და ასე უნდა იყოს, მეტი კანდიდატურა არ უნდა იყოს და მოდით ეხლა პრობლემები არ შევუქმნათ პარტიას, გუნდურობას და ნუ გვექნება

რეალური არჩევნები. მაგრამ უბრალოდ ამას დრო და გამოცდილება სჭირდება და შემოდან სჭირდება ჩარევა პარტიის მენეჯმენტიდან.”

კაცური კავშირების, კონფორმიზმისა და **“თბილისს ასე უნდა”**, განსაკუთრებით კარგად ჩანს, რაიონელი კაცი საშუალო რგოლის მენეჯერის კომენტარში:

“პირველ რიგში უნდა ემორჩილებოდეს პარტიის შინაგანანებს და არ შეიძლება, რომ პარტიასთან შეუთანხმებელი თვითინიციატივით რადაცეები გააკეთო, თუ პარტიის სახელით გინდა იმოქმედო, პარტიის გარკვეულ სისტემას უნდა დაემორჩილო.”

პარტიას კი, როგორც ვნახეთ, თბილისის სახე აქვს, თბილისს კი - კაცების.

რაიონელი ქვედა რგოლის აქტივისტი პარტიული ქალის მხრიდან ეს სხვანაირადაც ფასდება და გარდა იმისა, რომ ეთანხმება ცენტრალიზაციითა და თბილისური ელიტურობის ბერკეტებით პარტიების მართვას, ყურადღებას ამახვილებს ასევე ადგილობრივ ელიტებზეც და მას **“კახურ ფეოდალიზმდაც”** კი მოიხსენიებს.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

*“მე თბილისში წლები ვმუშაობდი და ყველას ეგონა, რომ ვიყავი თბილისელი. მიმაჩნია, რომ ადამიანის წარმომავლობა და საცხოვრებელი ადგილი არ არის განმსაზღვრელი, თუმცა იმ წრეს, კავშირებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე, მამამისი პარლამენტის ვიცე-სპიკერი იყო. სხვა წრე აქვთ, მე სხვა წრე მაქვს, თანაბარი ასაკის რომ ვყოფილიყავით და მასზე უფრო ნიჭიერი, მე გამიჭირდებოდა. თუნდაც ჩვენგან ვინც არიან დეპუტატები, რიგითი ოჯახიდან არიან. ხშირად მიფიქრია, რომ **“კახური ფეოდალიზმია”** მეთქი. მე დავარქვი ეს სახელი.”*

ასევე, პარტიული მმართველები თბილისიდან, რაიონებთან დისტანცირებითა და ელიტურობით ინარჩუნებენ პარტიულ ჩაკეტილობას, რომლის შედეგადაც პარტიული ადამიანები ცენტრალურ პოლიტიკას უყურებენ: **“ფილმივით”** და ცენტრალური პოლიტიკის მკეთებელი პარტიული

ადამიანები მათთვის ფილმის რეჟისორებისა და მთავარი გმირებივით არიან. იქმნება მითი, რომ **“პოლიტიკის კეთება მხოლოდ თბილისურ ელიტას შეუძლია.”** ამ ჩაკეტილობით ნარჩუნდება რეკრუტმენტის, დაწინაურების ცენტრალიზაცია, რომლითაც რეპროდუქცირდება “კაცური პრივილეგიები” და ძალაუფლებრივი იერარქია პარტიის შიგნით.

ოპოზიცია, აღმოსავლეთი, კაცი, 65 წლამდე, სოციალური და კულტურული კაპიტალის არმქონე, საშუალო დონის პარტიული მენეჯერი:

“თვითონ მიდგომა იყო ისეთი, რომ, აი, ელემენტარულს ვიტყვი, რუსთავი ორის გაფიცვები რომ იყო ეხლა, დავდიოდით ჩვენ ეხლა რეგიონებიდან დასასცავად. ელემენტარული არ მოვიდოდა ის შენი ლიდერი და არ დაგიგდებოდა. ისევ ერთად იყვნენ ავგ იყო რა, აი, ძაან დიდი მინუსი იყო.”

ქვედა რგოლის აქტივისტი პარტიული ქალი რაიონიდან ამბობს, რომ სანამ ცენტრალური პოლიტიკიდან წარმომადგენლებს უშუალოდ არ შეხვდა, ისინი ფილმის გმირებივით იყვნენ მისთვის, შორს და განყენებულად მდგომნი.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, განქორწინებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“სანამ პარტიაში მოვიდოდი და ამ ადამიანებს გავიცნობდი, მეც მქონდა ესეთი დამოკიდებულება, რომ ესენი რაღაც მიუწვდომელი ადამიანები იყვნენ. ეს ალბათ ადამიანის ფსიქიკაა ასეთი. მეც მიკვირდა ხოლმე, ამათ რომ შევხვდით ჯერ ზუგდიდის დონებზე. არანაირი ურთიერთობა არ გვქონდა ჩვენ მანამდე და რომ გამოვედი ოთახიდან, ეს იყო სიამოვნების შეგრძნება რომ მე ადამიანებთან შემეძლო საუბარი.”

ამას კიდევ ორი ქვედა რგოლის რაიონელი პარტიული ქალის ნაამბობიც ამყარებს, რომლებიც ამბობენ, რომ “ჩაკეტილობა”, “ელიტურობა” ქალებში კომპლექსად ყალიბდება და ადგილობრივ ქალებს არ სჯერათ პოლიტიკაში საკუთარი მონაწილეობის. იმიტომ, რომ პოლიტიკა “თბილისური ფილმია”, რომელშიც მათ “თბილისელი რეჟისორები” არასოდეს დაამტკიცებენ მთავარ როლებზე, იმიტომ რომ ქალები არიან, და არც ახლოს იცნობენ სცენარისტებსა და პროდიუსერებს. მთავარ

როლებზე ადგილობრივი კონფორმისტი კაცები მტკიცდებიან, რომელთაც მეტი შეხება აქვთ თბილისურ ელიტასთან.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ახლოს წესით უნდა იყვნენ, მაგრამ არ არიან. მე ვფიქრობ, რომ თვითონ პოლიტიკოსები არ შემოდიან პარტიულ ადამიანებთან ახლო კონტაქტში ზოგადად. ამიტომ, აღქმა ჩემი მხრიდანაც ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ შეიძლება პირადი შეხება მქონოდა, მაინც ვფიქრობ, რომ ეს არ არის ახლოს, ეს არის სადღაც შორს, მიუწვდომელია.”

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“საჭიროა კონტაქტი პარტიის წევრებთან, შეხვედრები, რომ დავაძლევინოთ ეს კომპლექსი ქალებს, ნებისმიერი კლასობრივი ნოდებიდან წამოსულ ქალთან, ელემენტარულად შეიძლება ყავა დალიონ, ან მწვადი შეწვან, ერთმანეთთან ილაპარაკონ ქალებმა რაიონიდან და ქალებმა ან კაცებმა თბილისიდან და შეიძლება რომ ეს კომპლექსი დაძლეულ იქნას, რომ, აი, ეს ფილმივით პოლიტიკა რეალურია,; ფილმი რომ ახლოს მოვიდეს”

ელიტურობის, ცენტრალიზებულობისა და რევრუტმენტი/დანინაურების კატეგორიებს ებმის კატეგორია **“ქალის სხეულის კონტროლი/სტიგმატიზაციის”** კატეგორიის ქვეკატეგორია: **“პროვინციელი ქალი” (ბუნება vs აღზრდა)**. როგორც აღმოჩნდა, იქმნება: **“პროვინციელი ქალის”** მითი, რომელსაც პოლიტიკაში “არაფერს” პატიობენ, არც პარტიის შიგნით და არც პარტიის გარეთ. ხორციელდება პროვინციელი ქალების გარიყვა, მათ მიანერენ თავხედობას, რაღაც “ზღვრების” გადაკვეთას და შიდაპარტიულ ნონკონფორმიზმს. სინამდვილეში, ამ მითს ასულდგმულებს “ბუნება vs აღზრდის” დებატები, რომელიც გულისხმობს, რომ ყველაფერი რაც ქალაქის გარეთ არსებობს, არის „უკულტურო და განათლებელი“ და მხოლოდ ქალაქის შიგნით თავსდება კულტურული და განათლებული მოცემულობები, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების სრულყოფის

საფუძველია.⁴⁷ პროვინციელი ქალების განდევნა ისევ ელიტურობისა და კაცების ძალაუფლებისა და პრივილეგიის სანარმოებლად იქმნება. დავიწყებულია ის, რომ ასეთი ქალი შეიძლება იყოს პარტიისთვის კომპეტენტური, ერთგული და საჭირო. მთავარია, არ დაირღვეს ელიტურობა და შესაბამისად, მამაკაცური პრივილეგიები და ძალაუფლება, რომელიც კიდევ ერთხელ “მამაკაცურობის კრიზისის” მაჩვენებელია.

საინტერესოა, როგორ საუბრობს ერთ-ერთ “გარიყულ” პროვინციელ ქალზე ქალი რესპონდენტი:

ოზობიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, ქვრივი, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ყველაფერს აქვს თავისი ჩარჩო, დემოკრატიადაც. კანონის დაცვა არის დემოკრატიაო. ყველაფერის უფლება საკუთარ თავს არ უნდა მისცე. რაღაცა ხაზების გადაკვეთას არ გაპატიებს არავინ. არაფერ შუაში არ არის ის იმერეთიდან იყო თუ ჭალადიდან იყო, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოდ, იმ იდეას, იმ ხაზს, მოფრთხილება რასაც სჭირდება. არ შეიძლება, იმიტომ რომ ეს პარტიას ავნებს. შენი საქციელით მიანი არ უნდა მიაყენო.”

ერთი შეხედვით, სახეზე გვაქვს შიდაპარტიული ნონკონფორმში გარიყული ქალის მხრიდან და არა “პროვინციელობა”. თითქოს, პროვინციელობას ხაზს არ უსვამს რესპონდენტი. თუმცა, სინამდვილეში, თუ სხვა რესპონდენტების მონაცემებს დავეფუძნებით, “პროვინციელი ქალი”, როგორც ქალაქს გარეთ მყოფი ადამიანი - ველურია, კუთხური აქცენტი აქვს და გაუნათლებელია, შესაბამისად - დაუმორჩილებელი. შემდეგ ეს განწყობა რეალობაში იფუთება პარტიის “მტრის ხატად”, რომელსაც პარტიისთვის საზიანო საზღვრები გადაკვეთა შეუძლია და ამიტომ ხორციელდება მისი პოლიტიკიდან მოკვეთა. არადა საქართველოში ძალიან ბევრი კაცი გვახსოვს, რომელმაც უამრავი ზღვარი გადაკვეთა და დღემდე ცენტრალური პოლიტიკის უცვლელი წარმომადგენელია.

კრიტიკული პარტიული ქალის “პარტიის მტრად” წარმოჩენის ფენომენს ქვემოთ კიდევ შევხებით.

⁴⁷ B. Turner, “The Body and Society”, Third Edition, SAGE, 2008, pp. 1-17.

მანამდე, ამ მსჯელობების შემდეგ, კიდევ ერთი საინტერესო დაუნერვლი პრაქტიკა გამომჟღავნდა. აღმოჩნდა, რომ მაშინ, როდესაც კაცები “კაცური კავშირებისა” და “შიდაპარტიული კონფორმიზმით” გამოირჩევიან და მუდმივად ერთმანეთს უდგანან გვერდში, ქალები ასე არ არიან, ისინი ერთმანეთს გვერდში არ უდგანან. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქალები პარტიებში ამის გამო უნდა დავაკნინოთ. შესაძლოა, მათ არ აქვთ იმის გამოცდილება, რომ ქალური კავშირები შედეგის მომტანია და ამიტომ ცდილობენ ისევ კაცებთან გარიგებასა და დამეგობრებას, ვიდრე ქალებთან, რომლებსაც ძალაუფლება არ აქვთ და რაოდენობრივად ცოტანი არიან პარტიაში.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“კიდევ ერთი რამე მინდა გითხრათ, ყველაზე მეტად რაზეც მტკივა გული და არ მომწონს ქალების პოლიტიკაში ჩართულობის თვალსაზრისით: კაცი ლობიერებს ახალ კაცს ყოველთვის, უნდა რომ გაქაჩოს, მაგრამ ქალებს ეს სოლიდარობა არა აქვთ. ქალები იმდენად ცოტანი არიან, რომ თავს ერთმანეთის კონკურენტებად აღიქვამენ, კაცები კი ერთმანეთის კონკურენტებად თავებს არ აღიქვამენ.”

მონაცემების ინტერპრეტაციის შედეგად “პარტიული ქალის უპრინციპობის” მითი დაინგრა და აღმოჩნდა, რომ “შიდაპარტიული კონფორმიზმი” ქალებს იმიტომ კი არ აქვთ, რომ უპრინციპოები, მოღალატეები და არასანდონი არიან, არამედ პირიქით, იმიტომ, რომ უფრო პრინციპულები, კრიტიკულები და მეზრძოლები არიან პარტიის შიგნით.

სახელისუფლებო პარტია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ქალები პოლიტიკაში ვერ ხედავენ თავიანთ თავს და რატომ ვერ ხედავენ, არ ვიცი. ადაპტაცია ქალებს უფრო მეტად შეუძლიათ, ვიდრე კაცებს, მაგრამ ქალები უფრო მეზრძოლები არიან და რაღაც-რაღაცეებს უფრო არ გაატარებენ შიდაპარტიულად, ვიდრე კაცები და უფრო პრინციპულები არიან და რაღაცეებს თავისებურად აკეთებენ.”

ქალის “თვითნებურობა” ის მოვლენაა, რომელიც შფოთვას იწვევს როგორც პარტიის შიგნით, ასევე ზოგადად ქართულ საზოგადოებაში, იმიტომ, რომ ქალი უნდა იყოს “მორჩილი” და “დამყოლი”, როგორც ამას ტრანსფორმაციულ პერიოდამდე არსებული გენდერული ნუსერიგი მოითხოვს.

რაც შეეხება გაანალიზებულ თეორიულ კატეგორიას “ცნობადობას”, ამ შემთხვევაში პარტია ქალს მხოლოდ იმიტომ ირჩევს, რომ ის ცნობადია და არა იმიტომ, რომ ის ქალია, და/ან კომპეტენტური ან განათლებული. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთი მითი იქმნება საზოგადოებაში: **“თუ ქალი იწყებს აქტიურობას და ხდება ცნობადი, ე.ი. აუცილებლად პოლიტიკაში მოსვლა უნდა”⁴⁸**. არადა, ერთ-ერთი ქალი რესპონდენტის მტკიცებით, “ცნობადობის” გამო პარტიაში მოსული ადამიანი, შეიძლება სულაც არ იცნობდეს ადგილობრივ სიტუაციას და პირიქით, უარყოფითი რეზონანსი ჰქონდეს მის კანდიდატად დასახელებას, თუნდაც მოსახლეობაში. ერთ-ერთი პარტიული ქალი რესპონდენტის მიხედვით, “ცნობილი” სახეების მიმართ უფრო მეტი აგრესია აქვს ამომრჩეველს, ვიდრე “უცნობი”, მაგრამ საქმიანი და კომპეტენტური ადამიანების მიმართ. თუმცა, აქ სხვა ამბავია. “ცნობადობის” ფენომენის გამოყენებით, კაცები ისევ ინარჩუნებენ და აწარმოებენ შიდაპარტიულ პრივილეგიებსა და ძალაუფლებას, ასევე რეკრუტმენტისა და დანიინაურების ქართულ ხასიათს, ვინაიდან პარტიაში მოყვანილ “ცნობად” ქალებს ახასიათებენ, როგორც პრინციპულებს, დამკვიდრებულებსა და “კონფლიქტურებს”, თავისთან მიმსგავსებულებად აღიქვამენ. პლუს, ეს “ცნობადი ქალებიც” მათი მოყვანილია და მათ იდეოლოგიურ გაგრძელებებს წარმოადგენენ და არა ქალებს პოლიტიკაში. გარდა იმისა, რომ ეს მდგომარეობა დამატებით ბარიერს ქმნის “არაცნობადი”, მაგრამ კონპეტენტური ქალების პარტიაში დასამკვიდრებლად ან ზოგადად პოლიტიკაში შემოსასვლელად, “ცნობად”, მაგრამ საკუთარი უნარებისა და კომპეტენტურობის, ან თუნდაც ნაცნობობის ხარჯზე პოლიტიკაში მოღვაწე ქალების, მაგრამ კომპეტენტურების ღვანლსაც აკნინებს.

მონაცემების გაანალიზებისას შექმნილი შიდაპარტიული შფოთვების კატეგორიის ერთი მიმართულება: **“ქალი როგორც არასანდო პოლიტიკური პარტნიორი (ევა)”**, რომელიც ინტერპრეტირებულ თეორიულ

⁴⁸ როგორც ერთერთი პარტიული ქალიამბობს, ეს მოვლენა შესაძლოა კაცებზეც გავრცელდეს. პარტიები თავად კი არ ცდილობენ კადრების გამომწვრთნასა და მომზადებას, მათ პოლიტიკურ აქტორებად ჩამოყალიბებას, არამედ ცნობადობის გაზრდაზე მუშაობენ, ან ცნობადებს იღებენ თავის რიგებში.

კატეგორიად **“ქალურობის შიდაპარტიულ კრიზისად ყალიბდება”** ზემოთ განხორციელებულ მსჯელობას ამტკიცებს. პარტიებში ხორციელდება პარტიული ქალების დემონიზაცია, “არასანდო პარტნიორებად” შერაცხვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან, სინამდვილეში კი პარტიული ქალები გაუაზრებლად კი არ იმეორებენ კაცების მიერ შემოთავაზებულ სქემებს, ქალებს უფრო მეტად აქვთ შეწინააღმდეგებისა და პარტიული საკითხების გაკრიტიკების უნარი, ვიდრე პარტიულ კაცებს და ეს “ნონკონფორმულობა” გადაითარგმნება მითად, თითქოს ისინი **“არასანდო პოლიტიკური პარტნიორები არიან.”**

მონაცემებზე დაყრდნობით ვარკვევთ, რომ ხშირად თავად პარტიული ქალები ახდენენ თავიანთი პარტიის წარმომადგენელი სხვა პარტიული ქალების დაბუღინებასა და დემონიზაციას, ვითომ “არასაიმედლობის” ქალური ბუნების ხაზგასმით.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“მახსოვს, ეს ხდება 2008 პარლამენტში, მაშინ პირველად გავიგე ეგეთი რაღაც და შოკში ვიყავი. რაღაც ლაპარაკი იყო და ერთმა ქალმა ჩვენი პარტიიდან თქვა, რო მე ვიბრძოლე რო ეს ქალები არ ყოფილიყვნენ ამ პარლამენტში, თორე ჩვენ რაღაცაზე შევთანხმდებოდით და მერე გარბოდნენ და X-ს უყვებოდნენო. ანუ, ქალს უფრო ეთქმოდა გაბედულად რაღაცა X-თან, ვიდრე ვიღაცა კაცს. ეს ქალები საფრთხედ იყვნენ აღქმულები, ეგ იყო.”

არადა, ისევე როგორც ბაგრატია-ბადაშვილის კვლევამ, ასევე ჩვენმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ქალები უფრო ერთგულნი არიან პარტიის, ვიდრე კაცები, როგორც პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ასევე მას შემდეგაც კი, როდესაც პარტია კარგავს ძალაუფლებასა და პოპულარობას. 2012 წელს, ერთერთი რესპონდენტის მონაცემიდან ვარკვევთ, რომ დასავლეთში, ერთერთ ქალაქში, ქართული ოცნების მოსვლის შემდეგ ნაციონალური მოძრაობის წევრმა კაცებმა დატოვეს პარტია და გადავიდნენ ქართული ოცნების მხარეს, ქალები კი დღემდე ერთგულები რჩებიან “ნაციონალური მოძრაობის.”

ანუ, “ქალების არასანდობად” შერაცხვა კიდევ ერთი მითია, რომელიც მათ “ჩასაქრობად” გამოიყენება პარტიებში. სინამდვილეში არასანდობად იფუთება შიდაპარტიული არაკონფორმულობა, რომელსაც ქალის სახე აღმოაჩნდა. **ქალები პარტიის შიგნით განხილულ საკითხებს უფრო კრიტიკულად ეკიდებიან და უფრო მეტი ერთგულებით ხასიათდებიან, ვიდრე კაცები.**

აქვე დაინგრა მითი, “თითქოს ქალები მშიშრები არიან” და აღმოჩნდა, რომ კაცებს უფრო ეშინიათ სიახლის, კრიტიკისა და ნონკონფორმიზმის პარტიის შიგნით, რომელიც “მამაკაცურობის კრიზისით” იხსნება, იმიტომ, რომ კაცებს უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახურები აქვთ პარტიაში და შესაბამისად, უფრო ეშინიათ არაკონფორმულობისა და კრიტიკული პოზიციების დაფიქსირების შიდაპარტიული განხილვების დროს, რომ არ დაკარგონ ეს მაღალანაზღაურებადი სამუშაოები.

სახელისუფლებო პარტია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ქალები არიან საკმაოდ ბევრნი, მაგრამ ეს ადამიანები არ არიან პოლიტიკურ პროცესებში ჩართულნი, ბუსტად იქიდან გამომდინარე, რომ თქვეს თავიანთი სიტყვა, მაგრამ არ გავიდა ერთხელ, ორჯერ, ათჯერ და გარდა იმისა, რომ იგნორი გაუკეთეს, ასეთ ქალებს რატომღაც აღიქვამენ პარტიის მტრად. როცა კრიტიკული აზროვნება გაქვს და შენს თავშიც ხედავ ცუდს, რატომღაც აღგიქვამენ, როგორც მტერს. ჭკვიანი ქალები უფრო მეტად გახსნილები არიან. კაცები მშიშრები არიან, უფრო მეტი აქვთ დასაკარგი. პასუხისმგებლობაც მეტი აქვთ ოჯახების წინაშე, ფინანსური თვალსაზრისით, რადგან უფრო მეტად ანაზღაურებადი სამსახურები აქვთ. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, ამიტომ იკავებენ თავს ბრძოლისგან. როდესაც რაღაც აქტიური პრობლემა წარმოიჭრება და იმისთვის იბრძვი, მერე რატომღაც გარშემო ყველა გეცლება და რჩები მარტო. როცა მარტო ხარ - ვერ გაიმარჯვებ და მიდიხარ.”

შიდაპარტიულმა კოფორმიზმმა წარმოქმნა კიდევ ერთი: **“ყველაფერს უნდა მოერგო პარტიის შიგნით”** - ინტერპრეტირებული თეორიული კატეგორია, მითი, რომელსაც ასევე კაცის სახე აქვს და ქალები ამას არ მიმართავენ.

სახელისუფლებო პარტია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“სიტუაციას უნდა მოერგოს, პოლიტიკაში ვინც არის. სიტუაცია კი არ უნდა შექმნა, უნდა მოერგო. საზღვარგარეთ არ ვიცნობ, რა სიტუაციაა, მაგრამ რაიონის პირობებში, ყოველ შემთხვევაში, სიტუაციას უნდა მოერგო. შენ კი არ უნდა შექმნა რაღაც და იდეები კი არ უნდა გქონდეს და რაღაცისთვის კი არ უნდა იბრძოლო, როგორც პიროვნებამ, უნდა უბრალოდ მოერგო. სიახლეების შეტანის, იდეების განხორციელების საშუალება არ გეძლევა.”

ახლა ვისაუბროთ **“კაცთან მიმსგავსების სურვილის”** ფენომენზე, რომელიც შიდაპარტიული შფოთვების კატეგორიიდან: **“ქალის სხეულის კონტროლი/სტიგმატიზაცია”** და უფრო კონკრეტულად: **“A3.3.3. “ვიზუალი/იმიჯი”, “სექსუალობა”** და **“ასაკის”** კატეგორიიდან ინტერპრეტირდა. ვინაიდან ძალაუფლებას კაცის სახე აქვს, პარტიული ქალები, მათ შორის საზგასმულად ფემინურები, ან ზოგადად ორივე სქესის პარტიული ადამიანები ამბობენ, რომ უმჯობესია, პარტიული ქალი არ იყოს სექსუალური, ახალგაზრდა და ქალური. ანუ საქმე გვაქვს **“ქალურობის კრიზისთან პარტიებში”**. “ლამაზი ქალის” (რაც ტრანსფორმაციამდე გენდერულ წესრიგში მხოლოდ ქალურ მახასიათებელს წარმოადგენს) ადგილი არ არის პოლიტიკა და თუ ის პოლიტიკაში იქნება, უმჯობესია, ან ქალური არ იყოს, ან იყოს მამაკაცური.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“არასერიოზულ მიდგომას იწვევს. მაყურებელი კაცი და საერთოდ საზოგადოება ამ ქალის ლაპარაკს კი არ მოუსმენს, არამედ მის ვიზუალს უყურებს. ის შეიძლება ძალიან საინტერესოდ საუბრობდეს, მაგრამ ვიღაც კაცი არ დაინტერესდეს და ლადაობა დაიწყოს. ესლა მთლად უმაკიაჟოდ და პირდაუბანელი არ უნდა გამოხვიდე. ყველაფერი ნორმებში უნდა იყოს. მე მაინც ვფიქრობ, რომ გასათხოვარი უნდა იყოს, საშუალო ასაკის.”

სახელისუფლებო პარტია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“კლასიკურად უნდა გამოიყურებოდეს, გამომწვევი და სექსუალური არ უნდა იყოს ქალი პოლიტიკაში, განსაკუთრებით ტელევიზორების წინ. რ ავიცი, რაღაცა მე ასე მიმაჩნია, არასერიოზულ დამოკუდებულებას გამოიწვევს. თვითონ პარტიის შიგნით განხილვებისას ნაკლებად მოუსმენენ, ჩემი ხედვა ასეთია და მე ვფიქრობ, რომ ეს მართო ჩემი ხედვა არ არის. როდესაც უყურებ ნებისმიერი მოკვდავი, ტელევიზორში გამოდის პოლიტიკოსი და ის საუბრობს თემაზე, აცვია გამომწვევად, ეს რაღაცა გონება გადადის იმ ფაქტორზე რა აცვია და როგორ გამოიყურება და არა იმაზე, რას ამბობს და ამიტომ აღარა აქვს მნიშვნელობა რას ამბობს.”

წინა ორ ციტატაში საუბარია, როგორი არ უნდა იყოს პარტიული ქალი, ხოლო მონაცემებში შეგვხვდა ასევე ის, თუ როგორი უნდა იყოს იგი: ზოგჯერ პარტიული ქალები ამჯობინებენ, გახდნენ „კაცურები“, რის დახმარებითაც შეძლებენ ძალაუფლების მოპოვებას კაცების საზოგადოებაში.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ქალებს ჰკონიათ, რომ კაცურობის ხაზგასმა უფრო მეტ გავლენას მოუპოვებს მათ კაცების საზოგადოებაში რა. ხო, თუმცა ტექნიკური ვიზუალურად ძალიან ქალური იყო.”

განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევიან 35 წლამდე პარტიული ქალები. ისინი აღარ ცდილობენ, იაზროვნონ ამ მიმართულებით და მათთვის სექსუალური და ლამაზი ქალი აღარ წარმოადგენს სუსტსა და მონყვლადს პარტიულ ცხოვრებაში.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 25 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“უნდა იყოს სექსუალური. ერთხელ ვუთხარი ჩემ მეგობარს, რომ ისიც პარტიაშია, X-ზე ვუთხარი, რომ ძალიან კარგი გოგოა თქო და ვიზუალურად კიო, გონებრივად არც კი შეუფასებია. ჩემი აზრით, X-ის სექსუალობა ძალიან კარგია და მომწონს კიდევაც. კაცების მხრიდანაც ასეთი შეფასება წამოვა ნელ-ნელა”

თუმცა, საინტერესოა ის, რომ მართალია, ერთ-ერთი ახალგაზრდა, ხაზგასმულად ფემინური პარტიული ქალი ამბობს, რომ ის ისეთი უნდა მიიღონ, როგორც არის, ანუ ქალური, კაბიანი და გრძელთმიანი, ბოლოს მაინც შემოაქვს თავის ხასიათში ის თვისებები, რომელიც კაცურ პოლიტიკაში სტანდარტად არის დამკვიდრებული, ასეთია: “სიხისტე”. ამით ის თითქოს თავის ფემინურობას თვითონვე მიიჩნევს სისუსტედ და აძლიერებს “სიხისტის” დამატებით. მივიღეთ ახალი მითი, რომ **“ლამაზი” პარტიული ქალი ხისტი უნდა იყოს.**”

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ზოგადად, ავტენტურია, ის რაც ხარ. მე ჩემი სურვილი იყო და არის რომ საზოგადოებამ მიმიღოს ისეთი, როგორც ვარ. იმიტომ რომ გრძელი თმა მაქვს და კაბის ჩაცმა მიყვარს, არ ნიშნავს, რომ სათანადოდ ხისტი ვერ ვიქნები, როც სიხისტეა საჭიროა და ზედმეტად ემოციური ვიქნები გადანყვეტილების მიღებისას და ა.შ მე არ ვთვლი, და ფუნდამენტურად არ ვიღებ, რომ ჩვენი ქალურობა უნდა დავკარგოთ იმისთვის, რომ ვიყოთ წარმატებული პოლიტიკოსები.”

ამის თანადროულად, გამომჟღავნდა მითი, რომ: **“წარმატებული პარტიული ქალი უნდა იყოს მამაკაციური.”**

დავუბრუნდეთ “შრომის გენდერული დანაწილებასა” და მის შემადგენელ თეორიულ კატეგორიას ე.წ. “ფსევდომზრუნველობას”, რომელიც ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ქალებს ახსენებს მათ “ადგილს” პარტიაში. ისინი სუსტები და ნაზები არიან, ანუ “კაცური საქმეები” მათი გასაკეთებელი არ არის. პარტიები ცდილობენ, შეინარჩუნონ ქალურობისა და კაცურობის ტრანსფორმაციამდელი გენდერული როლები. ამას თავისი ასაკი აქვს. როგორც ერთ-ერთი ზედა რგოლის მენეჯერი, ქალი რესპონდენტი ყვება, სამეგრელოში პარტიულ სხდომებზე კაცები საუბრობენ, ხოლო ქალები

ყავას და ჩაის არიგებენ, რომელთა ასაკიც 45 წლიდან 65 წლამდე მერყეობს, და პირიქით, ახალაზრდა პარტიული ქალები, 35 წლამდე, ინტერვიუებისას ცდილობდნენ მუდმივად იმის ხაზგასმას, რომ ისინი მზად არიან, ისეთი სამუშაოებიც შეასრულონ, რომლებიც მანამდე “ბიჭურ” ან “კაცურ” საქმეებად ითვლებოდა (პლავაკების გავკრა, გვიანობამდე სამუშაოდ დარჩენა, “კონფლიქტში” შესვლა). ახალგაზრდა პარტიული ქალები ხედავენ პარტიებში შრომის დანაწილების გენდერულ და შესაბამისად, მჩაგვრელ ხასიათს, და იწყებენ რეფლექსიას: ცდილობენ, დაემსგავსონ მამაკაცებს.

გამომუდავნდა მითი: “ქალი სუსტია და პარტიაში მამაკაცურ საქმეებს ვერ განახორციელებს” და გამყარდა მითი, რომ წარმატებული პარტიული ქალი უნდა იყოს მამაკაცური, ან ასრულებდეს მანამდე შიდაპარტიული გენდერული წესრიგით განსაზღვრულ მამაკაცურ საქმიანობებს.

გარდა ამისა, შრომის გენდერულ დანაწილებას რომ დავებრუნდეთ, ქალების შრომის გამოყენება სანერ და სააგიტაციო შრომაზე მიუთითებს არა იმას, რომ მათ ეს ძალიან უნდათ (ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავდა, “შავი სამუშაო” ქალებზე გადადის და შემდეგ ამით კაცები სარგებლობენ), არამედ იმას, რომ კაცებს ეს კომპეტენცია ძირითად შემთხვევებში არა აქვთ. შესაბამისად, მთლიანი სისტემა (რომელიც ამ სამუშაოებს ეფუძნება) ქალებზეა აწყობილი და თუ პარტიები ამ საქმიანობებზე კაცების დაშვებასაც გადაწყვეტენ, მაშინ კაცი ამას თაკილობს. როგორც ზედა რგოლის პარტიული ერთ-ერთი ქალი გვიყვება, **“კაცები არიან უმუშევრები, ეძებენ სამსახურს, მაგრამ როდესაც სთავაზობ, წადი და 2 ან 3 თვე გექნება 120 ლარი, გუუბნება, მოიცა კაცო, 120 ლარი რა ხელფასიაო, მიუხედავად ამისა, რომ ერთი თეთრი არ აქვს”**. ანუ, მივდივართ ისევ “მამაკაცურობის კრიზისამდე”. თითქოს, ამ საქმის განხორციელება კაცებს „კაცობას წაართმევს“ (ამიტომ არის, რომ კაცები აგიტაციასა და სანერ სამუშაოებს მხოლოდ მანამდე ასრულებენ, სანამ სტუდენტები არიან, ანუ სანამ კაცები გახდებიან⁴⁹ და ისიც თბილისში, რადგან ქალაქებში უფრო სათაკილოა პატარა ბიჭობა, ან „არაკაცური“ სამუშაოები, ვიდრე ურბანულ გარემოში, სადაც ნაკლები ნაცნობი შეგხვდება კარდაკარ სიარულისას და გამხელს “არაკაცობაში.”) კიდევ არის ერთი რამ: კაცებს ეს კომპეტენციები ხშირ შემთვევაში არ

⁴⁹ გარდა ამისა, ქალი რესპონდენტი ამბობს, რომ “იგივე სტუდენტი ახალგაზრდასთვის, თვეში ის 120 ლარი არის სერიოზული თანხა. მისთვის მიღწევაა ეს და „კაცურობის კრიზისს“ არ იწვევს, მაშინ როცა ზრდასრულისთვის ეს დამაკნინებელია და კრიზისს იწვევს.

აქვთ და არც იმის დაშვებას ახდენენ, არ აღიარებენ, რომ ქალი უფრო კომპეტენტურია, რადგან კულტურულად და სოციალურად, სტერეოტიპული ცოდნა გვიბიძგებს იმ დასკვნისკენ, რომ კაცი უფრო კომპეტენტურია როგორც გონებასთან დაკავშირებულ, ასევე გარე საქმიანობებში (არადა, აგიტაცია გარეთ ხდება და არა ოჯახში, სადაც ძველი წესით, კაცის „ადგილია“). თუ კაცი აღიარებს, რომ ქალი უფრო კომპეტენტურია, მაშინ უნდა აღიაროს საკუთარი დაქვემდებარებულობა, რადგან მიიჩნევს რომ კომპეტენტური იერარქიულად უფრო მაღლა დგას და თავად თუ არ იქნება კომპეტენტური, ქალები მას დაიქვემდებარებენ. სწორედ ეს არის “მამაკაცურობის კრიზისი პარტიაში.” ისინი იმიტომ არ აღიარებენ ქალების კომპეტენტურობას, რომ არ აღიარონ საკუთარი არაკომპეტენტურობა და სიზარმაცე, და არ დაკარგონ პრივილეგია.

აქვე შემოდის შიდაპარტიული შრომის გენდერული დანაწილების კიდევ ერთი საინტერესო ინტერპრეტაცია. აგიტატორებად პარტიული ქალების გამოყენებას, პარტიული კაცები, ქალების მშვიდობიან ბუნებას მიაწერენ და ამას მიუხედავად არ უთვლიან, პირიქით, ამბობენ რომ ეს პლუსია. ამავდროულად, არ დაგვავინწყდეს, რომ წარმატებულ პოლიტიკოს ქალს “კონფლიქტურობას” სთხოვენ და თან იმასაც ამბობენ, რომ მაჟორიტარობის შემთხვევაში, ქალის კარდაკარ სიარული შეიძლება ქალისთვის საფრთხის შემცველიც კი იყოს.

მაჟორიტარობის შემთხვევაში, ისინი გენდერული წესრიგის ძველ ვერსიას იმეორებენ, რომ “ქალი გარეთ არ უნდა დადიოდეს, რადგან საფრთხე შეექმნება”. კარდაკარ სიარულის დროს ქალებს შეიძლება ვინმემ რამე მიიძახოს, შეურაცხყოს, ან ვერ იაროს კარდაკარ, დაიღალოს, სუსტია. მაჟორიტარ ქალებთან მიმართებით ფიქსირდება “ფსევდომბრუნველობა” პარტიული კაცების მხრიდან. მაჟორიტარ ქალებზე “ფსევდომბრუნველობა” ეწინააღმდეგება ქალების შრომის აგიტატორებად გამოყენების შინაარსს. ქალები დადიან აგიტაციისთვის კარდაკარ და ეს შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი, ან დამღლევი, მაგრამ კაცებს ეს გარემოება მხოლოდ ქალი მაჟორიტარების შემთხვევაში ახსენდებათ. “ორაზროვნებას” პარტიული კაცების სახე აქვს.

ისევ შემოდის ე.წ. “ფსევდომბრუნველობა”⁵⁰, რომელიც სინამდვილეში პარტიებში ქალების შესრულებული სამუშაოს მიმართ სელექციურობას

⁵⁰ ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ბუფეტში კაცებს საჭმლის ფულს არასოდეს ახდევინებს, იმიტომ რომ ამან შეიძლება სხვა განზომილება შეიძინოს, ის რსაც ჩვენ ვუწოდებთ “ფსევდომბრუნველობა.”

აყალიბებს და ამ სელექციური მიდგომით კაცები ინარჩუნებენ ძალაუფლებასა და პრივილეგიას პარტიებში. ამას შიდაპარტიული გაანალიზებული თეორიული კატეგორიებიდან “პატრიარქალური ინერცია” ეხმიანება. პარტიული კაცები ამბობენ: **“ქალი მაჟორიტარი ვერ იქნება, იმიტომ, რომ ის ქალია და საზოგადოებას არ სურს ქალი მაჟორიტარობის კანდიდატი”**, მაგრამ, ქალ აგიტატორსა და ქალ მაჟორიტარს შორის დამოკიდებულების ერთმანეთთან შედარებამ გვიჩვენა, რომ მთავარი მოვლენა “პატრიარქალური ინერცია” და “ფსევდომზრუნველობა” და არა ის, რომ საზოგადოებას არ სურს ქალი კანდიდატი, ან პარტიული ქალის მშვიდობიანობა, კონფლიქტურობა თუ მონყვლადობა, რაც თავისთავად მიემართება რეკრუტმენტის სტრუქტურის და შესაბამისად, ძალაუფლების შენარჩუნებისკენ.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“კაცი უფრო სტრანჟია და მასაც მეტი რისკი აქვს, რომ აგრესია შეხვდეს და მერე ამან გამოიწვიოს კონფლიქტი და ეს, სხვათაშორის, მარტო რეგიონში კი არა, თბილისშიც. და ქალი ყველა ვარიანტში გირჩევნია რომ იყოს, იმიტომ რომ დაძაბული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი, ნაკლებად დრამატული განვითარება აქვს, სახიფათო განვითარების. აგრესიული ქალების მეტი რა არის, იქ კონფლიქტიც შეიძლება მოხდეს, ყვირილიც, მაგრამ ნაკლები რისკი გაქვს, რომ ეს დრამატულად განვითარდეს, ან ფიზიკურ დაპირისპირებაში, ან მითუმეტეს ტრამვაში.”

აქვედავანგრიოთ “პატრიარქალური ინერციის”, “ფსევდომზრუნველობისა” და “კონფლიქტურობის” მითი. ქალი რესპონდენტები ამბობენ, რომ ქალის მშვიდობიანი ბუნების გამო, მაჟორიტარ კანდიდატად ქალის დასახელება უფრო გაამართლებს. ქალი უფრო შეხვდება მოსახლეობას, მოუსმენს და არ გამოიწვევს კონფლიქტს. ეს ერთ-ერთი ქალი მაჟორიტარის შემთხვევაში სრულიად გამართლდა, როდესაც პარტიამ გარისკა, გადალახა “პატრიარქალური ინერცია” და “მამაკაცურობის კრიზისი” და ის მაჟორიტარობის კანდიდატად დაასახელა. ჯერ ერთი, მას არ გასჭირვებია კარდაკარ სიარული, მეორე: მან კონფლიქტის გარეშე შეძლო საკმაოდ კარგი შედეგის ჩვენება, და მესამე, სიმართლე არ გამოდგა “პატრიარქალური ინერციით” შექმნილი მითი, რომ თითქოს ამომრჩეველს არ სურს ქალი კანდიდატი.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე, ეროვნული უმცირესობა:

“მე ვთვლი, რომ ძალიან ბევრი ვიმუშავე, ძალიან ბევრი ვიარე. 9500 ხმა მაქვს მიღებული თითქმის და შემოძლია გითხრათ, აქედან რამდენ ოჯახში ვიყავი, ალბათ ერთი 7000 ადამიანს შევხვდი. ანუ სამი და ოთხი თვის საარჩევნო კამპანია, რაც იყო, მე არ გავჩერებულვარ არანაირად. მუდმივად დავიოდი. ეს იყო კარდაკარ, ეს იყო სოფელ-სოფელ. თითო სოფელში ვიყავი მინიმუმ სამჯერ. და იქ, სოფელში რომ შევდიოდი, არ არსებობენ ადამიანები, რომლებიც უცებ, მაშინვე არ გიცნონ.”

როგორც ქვედა რგოლის პარტიული აქტივისტი ქალი ამბობს, სულაც არ არის ეს გარეთ, კარდაკარ სიარული ქალისთვის დაბრკოლება და ეს შეიძლება, თანაბრად იყოს გამოწვევა როგორც კაცისთვის, ისევე ქალისთვის. ეს არგუმენტად არ გამოდგება, არადა, პარტიის შიგნით ქალი კანდიდატის დაყენების საკითხის განხილვაც კი არ ხდება. ამ მოვლენას, როგორც ვხედავთ, ისევე მივყავართ “პატრიარქალური ინერციასთან”, რომელსაც ქვემოთ კიდევ უფრო დაწვრილებით შევხებით და რომელსაც უფრო შორს მიმავალი მიზნები აქვს.

სახელისუფლებო პარტია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ალბათ მენტალიტეტია ასეთი, რომ ქალი ვერ ივლის ამომრჩეველთან შესახვედრად და ქალი უფრო ერიდება საჯარო შეხვედრებს. შესაძლოა, არც ოჯახმა მოსთხოვოს ეს, მაგრამ ასეთ სირთულეებთან შეჯახებას მოერიდოს. მიზეზი არ ვიცი. არჩევნები ისეთი სფეროა, რომ ბოლომდე თავის თავში დარწმუნებული ვერც მამაკაცი ვერ იქნება და ვერც ქალი. მე ვფიქრობ, შესაძლებელია, უბრალოდ რატომღაც არ უშვებენ ამას, ანუ ვინც აკეთებს სიას, - პარტიის ორგანიზაციული ნაწილი, - არ უშვებენ ამას, რომ ქალიც შეძლებს. ამის განხილვა არც კი მიდის, რომ მაჟორიტარი იყოს მაინცდამაინც ქალი.”

კიდევ ერთი მაგალითი, რომ პარტიულ ქალს უფრო შეუძლია მოსახლეობის მოსმენა, კონფლიქტური სიტუაციის დროს მოთმენა და მოსახლეობის

პრობლემების აღქმა, ვიდრე კაცებს, რაც შესაძლოა უფრო ნაყოფიერის კი გამოდგეს პარტიისთვის, შემდეგია:

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“მე X-ს დავყვებოდი, მაჟორიტარობის კანდიდატი რომ იყო და ყველა კარგად გვხვდებოდნენ, ერთ-ერთმა მესროლა ბუკლეტი. მე დავიხარე, ავიღე ბედნიერად, მადლობა ვუთხარი და წამოვედი და იქ თრი ბიჭი იყო და, აუ, როგორ და რანაირად და რაღაც... მათთვის ეს შეურაცხმყოფელი იყო.”

მიდაპარტიული შფოთვებიდან **“პატრიარქალურ ინერციას”** გარეპარტიული კატეგორიებიდან **“პარტიაში მოსვლის ალტერნატივები”** რომ შევეუროთ, აღმოვაჩინოთ, რომ რაიონში, პარტიული მამაკაცები ქალების პოლიტიკაში მოსვლის პრობლემებს განსხვავებულად ხედავენ: ახალგაზრდა ქალების შემთხვევაში, კაცებს მიაჩნიათ, რომ გოგოებს სასწავლებლად წასვლა ან დაქორწინება ურჩევნიათ; ხოლო შუახნის ქალების შემთხვევაში, კაცებს ჰგონიათ, რომ ქალები გადაჩვეულები არიან საჯარო სივრცეს და კომპლექსების გამო ხალხთან შეხვედრისაც კი რცხვენიათ. პრობლემებს განსხვავებულად ხედავენ პარტიული ქალები: ქალების პოლიტიკაში მოსვლის ბარიერად ისინი ცენტრალიზაციასა და ე.წ. **“პატრიარქალურ ინერციას”** მიიჩნევენ და ამბობენ, რომ რაიონში ბევრი ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდა ქალის რესურსის გამოყენება არ ხდება პარტიის მიერ.

გარდა იმისა, რომ ეს **“პატრიარქალური ინერციის”** მითი ინარჩუნებს რეკრუტმენტისა და დანინაურების ქართულ სახეს, ის პოლიტიკიდან რიყავს ახალგაზრდა, მოტივირებულ, კომპეტენტურსა და გამოცდილ ქალებს და ქმნის მითს, რომ რაიონში არ არიან კადრები და ვინც არის, მას არ სურს პოლიტიკაში მონაწილეობა და ურჩევნია სწავლა, ან დაქორწინება.

სახელისუფლებო პარტია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ძალიან ბევრ ახალგაზრდა გოგონას ვიცნობ ადგილობრივი უნივერსიტეტებიდან კურსდამთავრებულებს და სხვადასხვა პარტიებში არიან. ძალიან აქტიურები არიან და აქტიურად მუშაობენ. გარდა ამისა, 2012 წელს ქალთა ფონდმა ჩაატარა კვლევა ვახეთში, სადაც მამაკაცები გამოკითხეს. ისინი ამბობენ, რომ თანახმა ვართ, მოგვწონს, რომ ქალები იყვნენ არჩეული თუნდაც პარლამენტში და უმაღლეს თანამდებობებზე გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე და ძალიან ბევრი ამბობდა, რომ ჩემი ცოლი, ჩემი შვილი რომ იყოს, თანახმა ვარო. უმცირესი ამბობდა, რომ თანახმა ვარ, მაგრამ ჩემი ოჯახიდან ნუ იქნებაო. სხვათა შორის, ჩამოაყალიბეს მაშინ სტერეოტიპი, როგორ ქალს მისცემდნენ ხმას და როგორი ქალი უნდათ იხილონ პარლამენტში და მაშინ აღმოჩნდა, რომ ეს ქალი უნდა იყოს ქართველი, კარგი გარეგნობის, ნორმალური, კარგი რეპუტაციის, განათლებული, ქრისტიანი, კარგად მეტყველი, შრომისმოყვარე, ქარიზმატული და ა.შ. სხვათა შორის, ჩემ გვერდით ბევრი ასეთი ქალბატონია, მაგრამ არც ერთი პარტიის მიერ არ არიან რეკრუტირებულნი.”

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“პარტიაში პოტენციალი არის და მანსს ვერ გეტყვი. ძალიან ჭკვიანი, ძალიან კარგი წარსულის, განათლებული ქალები არიან ამ პარტიაში ბუგდიდში, მაგრამ რაღაცნაირად იბლოკებიან მერე.”

განანალიზებული თეორიული კატეგორია “პატრიარქალური ინერცია” იწვევს კიდევ დამატებით პრობლემებს. საუბარი მიდის იმაზე, რომ ქალი კანდიდატები არ სურს მოსახლეობას, რასაც აქარწყლებს ერთი მხრივ NDI-ს მიერ ჩატარებული რაოდენობრივი გამოკითხვა და მეორე მხრივ, კვლევის დროს შესწავლილი პარტიული ქალების დამოკიდებულება, მზადყოფნა, სურვილი და მაღალი მოტივაცია პოლიტიკაში მოსასვლელად. იქმნება კიდევ ერთი მითი: “ქალებს მოტივაცია არ აქვთ”, რომელსაც პარტიული კაცები ქმნიან და აბრალებენ საზოგადოებას შეფუთვით: “ამომრჩეველს ქალი კანდიდატი არ სურს”, რაც ინარმოება მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ დაკარგონ შიდაპარტიული ძალაუფლება და პრივილეგია და შეინარჩუნონ ჩაკეტილობა და ელიტურობა.

სახელისუფლებო პარტია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“არა, მე ჩემს ძალებს ვგრძნობ და კარგად ვიცი და მიმაჩნია, რომ იქ არ უნდა ვიყო, სადაც ვარ. ზედა ეშელონებში და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე შემიძლია მუშაობა. საზოგადოებასაც მიაჩნია, რომ შემიძლია, მაგრამ ვინც ამ სიებს ადგენს, ამ კანდიდატურებს განიხილავს, ასე არ ფიქრობს.”

საინტერესოა, ვიდევ ერთი გაანალიზებული კატეგორიის: **“დედის გასაჭირის” (“ორსულობის სტიგმატიზაცია/დეკრეტი”)** თეორიული ინტერპრეტაცია. აღმოჩნდა, რომ ორსულობა და დედობა ქალის სხეულის სტიგმატიზაციის, პარტიაში “ადგილის მიჩენისა” და დაბუღინგების საშუალებაა პარტიებს შიგნით. აქვე საინტერესოა დაოჯახებულ, შვილიან და დასაოჯახებელ, უშვილო ქალებს შორის ურთიერთმიმართება. აღმოჩნდა, რომ დასაოჯახებელი, უშვილო პარტიული ქალები, რომლებიც მამაკაცურ პოლიტიკას კარგად ერგებიან (იმიტომ რომ მათ ოჯახითა და შვილებით მანიპულაციას თავს ვერ მოახვევ და ვერ დააბუღინგებ), პარტიის შიგნით აბუღინგებენ დაოჯახებულსა და შვილიანს და ქმნიან ახალ მითს: **“დედას არ შეუძლია პარტიაში წარმატებული მოღვაწეობა.”** ხოლო, შვილიან პარტიულ ქალებს, მეტი ემპათია აქვთ სხვა შვილიანი პარტიული ქალების მიმართ. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ პარტიაში ორსული ქალის თანდასწრებით მწვეველი ადამიანები თავს არ იზღუდავენ და ამით კიდევ ერთელ მიანიშნებენ მას, რომ “დედის” ადგილი სახლშია და არა საჯარო ინსტიტუტებში/პოლიტიკაში.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“აი, ერთ პარტიულ ქალს დაემართა ეგ და ძალიან რთულად. ეს დავინახე მე იმიტო, რომ სხვას არ შევსწრებივარ, ჩემ თვალწინ რო დაორსულდა პოლიტიკაში და მერე ბავშვი გააჩინა. თან ქონდა წოლითი რეჟიმი, მოუწია გარკვეული დროით მიტოვება. ზოგადად პრობლემა იყო ისიც, რომ ჩვენი მწვეველი ადამიანები, არ იზღუდავდნენ თავს იმისგან, რომ ვთქვათ ის ფეხმძიმედ იყო და ამის გამო სერიოზული კონფლიქტები გვქონდა. ერთის მხრივ ერთად უნდა ვიმუშაოთ და

ორსული ქალიც უნდა ყოფილიყო ჩვენთან ერთად, და მეორეს მხრივ, ვილაცისთვის სიგარეტია აუცილებელი. ანუ როგორ მოვიქცეთ ხშირად შევწვდით ეს მუშაობა, რომ ხალხი გავიდეს მონიოს-შემოვიდეს, თუ ანუ ორსულმა ქალმა არ მიიღოს მონანილეობა ამ ყველაფერში საერთოდ. ელემენტარული რაღაცეებია, მაგრამ რეალური პრობლემებია. მერე როდესაც გავიდა დეკრეტში და წოლითი რეჟიმი ჰქონდა და ფიზიკურად ვერ დადიოდა საერთოდ, ინვა 6-7 თვე. მერე წავიდა ესეთი, სხვა პარტიული ქალის მხრიდან, ყველაფერი მე შეტენება ამის გასაკეთებელი, რაღაც ამაზე ხაზის გასმა, რომ ის ოჯახთან არის ნებივრობს თითქოს და მე აქ მის სამუშაოს ვაკეთებ, ანუ როგორ გითხრა. ასე პირადად ვერ უბედავენ მაგის თქმას, მაგრამ ზურგს უკან კი.”

ამის შედეგად იქმნება მითი, რომ თითქოს **“ორსულობა და დედობა ხელს უშლის პარტიულ საქმიანობებს”**. არადა, კანონმდებლობა საშუალებას გვაძლევს, რომ ვაციც იყოს ჩართული ბავშვის მოვლის პროცესში და აიღოს დეკრეტული შვებულება, თუმცა ამის პრაქტიკა შესწავლილი ქართული პოლიტიკური პარტიების ცხოვრებაში არ არსებობს.

აღსანიშნავია ის, რომ “ორსული პარტიული ქალის ჩაგვრას” პარტიები შემთხვევით არ ანხორციელებენ. მათ შორსმჭვრეტელი მიზნები აქვთ. ქალის ორსულობითა და დედობით მანიპულირება მიზნულია რეკრუტმენტთან და ჩანასახშივე გამორიცხავს ახალგაზრდა ქალების პარტიაში შემოყვანას, ვინაიდან ისინი ვითომ რისკს წარმოადგენენ პარტიებისათვის. ამას ამტკიცებს ერთ-ერთი რესპონდენტის ნაამბობი:

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებელი, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“მე ამას სხვა კუთხით ვუყურებ, იმ თვალსაზრისით, რომ პარტიული ლიდერებისთვის, ახალ ადამიანად, ახალგაზრდას შემთხვევაში, გაცილებით გამარტივებულია მიიღონ ბიჭი, იმიტომ რომ რისკი ნაკლებია, ანუ უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში ხედავენ ახალგაზრდა ბიჭის პოლიტიკაში მოსვლას, ვიდრე ახალგაზრდა გოგოსას.”

რეკრუტმენტთან კი იმიტომ არის მიბმული, რომ ბიჭების აყვანის ნახალისება ხდება “ქალის ორსულობისა და დედობის” მითის გამოყენებით. სინამდვილეში კი ეს სულ სხვა მიზნებისკენ არის მიმართული. თუ პარტიების ცხოვრებას და მათ მამაკაცურ პროფილს განაპირობებს კაცური კავშირები, მაშინ რეკრუტმენტის დროს უმჯობესია, ისევ კაცები იქნეს პარტიაში მიღებული, რომლებიც შემდეგ შიდაპარტიულად უფრო კონფორმისტები გახდებიან, ვიდრე ქალები და კიდევ უფრო გაამყარებენ, კვლავანარმოებენ ელიტური კაცებისა და ზოგადად კაცების ძალაუფლებებსა და პრივილეგიებს პარტიაში.

შიდაპარტიული მითები

შიდაპარტიული თეორიული კატეგორიებისა და ინტერპრეტირებული კატეგორიის “მამაკაცურობისა და ქალურობის შიდაპარტიული კრიზისის” გაანალიზება-ინტერპრეტაციის შედეგად, აღმოვაჩინეთ პარტიაში არსებული შემდეგი მითები:

- ✓ “პარტიული კაცი კომპეტენტურია”
- ✓ “პარტიული ქალი არაკომპეტენტურია”
- ✓ წარმატებული ქალი პოლიტიკოსი “კონფლიქტურია”
- ✓ “ქალები კონფლიქტურები არ არიან”
- ✓ “პოლიტიკაში ქალები კაცებს მოყავთ”, “ნაცნობობა”
- ✓ “თბილისს უნდა ასე”
- ✓ “პოლიტიკის კეთება მხოლოდ თბილისურ ელიტას შეუძლია”/“პოლიტიკა როგორც ფილმი”
- ✓ “პროვინციული პარტიული ქალი გაუზრდელია”
- ✓ “პარტიული ქალები არასაიმედონი/არაპრინციპულები/მშიშრები არიან” (ეგვას მითი)
- ✓ “პარტიული კაცები საიმედონი/პრინციპულები/უშიშარები არიან”
- ✓ “პარტიაში ყველაფერს უნდა მოერგო”
- ✓ “ძალაუფლების მქონე პარტიული ქალი კაცს გავს”
- ✓ “ხაზგასმულად ფემინური ქალი პოლიტიკაში მონყვლადია”
- ✓ “ფსევდომზრუნველობა”
- ✓ “მაჟორიტარი ქალი კარდაკარ ვერ ივლის, აგიტატორი - კი”
- ✓ “პატრიარქალური ინერცია” (საზოგადოებას ქალი მაჟორიტარი არ უნდა.)
- ✓ “დედობა პოლიტიკაში შეუძლებელია”
- ✓ “რაიონებში კადრები არ გვყავს”
- ✓ “ქალები პასუხისმგებლობას გაურბიან”

“მამაკაცურობისა და ქალურობის კრიზისი პარტიების გარეთ”/გამოქვეყნებული მითები

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ ის ინტერპრეტირებული თეორიული კატეგორიები, რომელიც პარტიის გარეთ აღმოჩენილ გაანალიზებულ თეორიულ კატეგორიებს დაეფუძნა. ამ კატეგორიას დავარქვით **“მამაკაცურობისა და ქალურობის კრიზისი პარტიის გარეთ”**, რომელიც პარტიის შიგნით იძენს მნიშვნელობებს და როგორც აღმოჩნდება, შიდაპარტიული დემოკრატიის არარსებობიდან იღებს სათავეს.

რესპონტენტების ნაამბობიდან გამოიყო თეორიული კატეგორია: **“პარტიაში მოსვლის ალტერნატივები”**, რომელიც მოიცავდა შემდეგ ქვეკატეგორიებს: **“სასწავლო და სამუშაო მიგრაცია”**, **“დაქორწინება”** და **“ანაზღაურებადი სამუშაო”**. ეს კატეგორიები თითქოს ობიექტურია და მართლაც პარტიის გარეთ არსებულ დაბრკოლებებზე გვიამბობს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, იგი გამონვეულია “შიდაპარტიული რეალობით” და სინამდვილეში ქალების პარტიებში ჩართვის ხელისშემშლელი ფაქტორების კვლავწარმოების შედეგია.

მაგალითად, განვიხილოთ პირველი კატეგორია: **“სასწავლო და სამუშაო მიგრაცია”**, რომელიც პატარა ქალაქებს უფრო ახასიათებთ. პარტიების ელიტურობისა და მამაკაცური კავშირების გამო, რაიონში მცხოვრები ახალგაზრდა ქალებისთვის პარტია დასაქმების საშუალებად არ განიხილება. გარდა ამისა, ქვედა რგოლის პარტიული ქალი რესპონდენტების თქმით, არ არსებობს პატარა ქალაქების განვითარების კონცეფცია, რომელიც ახალგაზრდებს მშობლიურ ქალაქებში დატოვებს და მათ შესაძლებლობებს რაიონული პარტიები, ან სხვა ორგანიზაციები გამოიყენებენ. ამის გარდა, პარტიული ქალი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პატარა ქალაქებში მაინც რჩებიან საკმარისი რაოდენობის ქალები და მიუხედავად ამისა, მაინც არ ხდება მათი პარტიაში განწევრიანება. ანუ, სასწავლო და სამუშაოდ წასვლა რეალობაა, რომელსაც მითის სახე აქვს და რომელსაც ისევ კაცები იყენებენ თავის გასამართლებლად და პრივილეგიების შესანარჩუნებლად (“აი, არავინაა მაინც და რა ვქნათ?”), რითიც ინარჩუნებენ ძველ კაცურ კავშირებსა და ჩაკეტილობას.

მეორე თეორიული კატეგორია: **“დაქორწინება”** თითქოს პარტიის გარეთ

არსებულ ობიექტურ დაბრკოლებას წარმოადგენს, მაგრამ როგორც უკვე ვნახეთ პარტიები ამჯობინებენ ბიჭების რეკრუტმენტს ვიდრე გოგონების და ამიტომ არის გოგონებისთვის “დაქორწინება” ცხოვრების გაგრძელების ალტერნატიული საშუალება და არა იმიტომ, რომ არ უნდათ პოლიტიკაში მოსვლა. “გათხოვების” მითი სხვა ფორმალურ და არაფორმალურ ორგანიზაციებზეც ვრცელდება და მანიპულაციის საშუალებად რჩება პარტიული კაცების მხრიდან. “გათხოვების” მითის კიდევ ერთი “გამამართლებელი” არგუმენტი კაცების მხრიდან: “ქალების გაუნათლებლობა” წარმოადგენს. კაცები აპელირებენ, რომ ქალები “გაუნათლებლები” არიან და ამიტომ “თხოვდებიან”, თუმცა რამდენიმე დაოჯახებული პარტიული ქალის ნაამბობის გაანალიზებისა და ინტერპრეტაციის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ უბრალოდ არ უსმენენ და ამიტომ ისლა დარჩენიათ, ნავიდნენ პოლიტიკიდან ოჯახში, მიუხედავად მათი განათლებისა და კომპეტენტურობისა. ამით მყარდება მითი: “ქალი არ არის კომპეტენტური.”

“გარეპარტიული კატეგორიის” მესამე ქვეკატეგორია: “ანაზღაურებადი სამუშაო”, რომელიც ასევე, ობიექტურ, გარედან მომდინარე ხელისშემშლელ ფაქტორად ჩანს. სინამდვილეში, არც ის წარმოადგენს გარე ფაქტორს და პარტიის შიგნიდან მომდინარეობს. პარტიები ქალის შრომას არ ანაზღაურებენ, ან ანაზღაურებენ ძალიან დაბალი თანხით და ძირითადად მხოლოდ არჩევნებამდე აგიტაციისა და მხოლოდ არჩევნების დღეს ეძახიან, ანუ პერიოდულად, ხოლო კაცები სრულად მუშაობენ პარტიაში და იღებენ ანაზღაურებას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა არჩევნები. ამიტომ, ქალები იძულებულნი არიან, სხვა, ანაზღაურებადი სამუშაო მოძებნონ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა საკვანძო სიტყვა, რომ ეს სხვა ანაზღაურებადი სამუშაოები ქალებისთვის ხელმისაწვდომია, რაც ნიშნავს იმას, რომ პარტიულობა და პარტიაში ინტეგრაცია ხელმიუწვდომელია, განსაკუთრებით რაიონელი ქალებისათვის.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“შეიძლება მაღაზიაში მუშაობა ამჯობინოს ახლაგამდა გოგომ ვიდრე პოლიტიკაში, რა თქმა უნდა, იქ სტილისტად გამყიდველად თუ რალაცა ხელმისაწვდომია და მერე ის პოლიტიკური და თუნდაც სოციალური აქტივობები გადაინევს როცა ლუკმა-პურზე გინევს ფიქრი.”

ერთ-ერთმა მამაკაცმა პოლიტიკოსმა გამოამჟღავნა კიდევ ერთი მითი, რომ თითქოს ცენტრალურ პოლიტიკაში “განათლებული ქალები არ მოდიან და ამჯობინებენ წავიდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებში, იმიტომ რომ იქ არის მაღალი ანაზღაურება და ნაკლები პასუხისმგებლობა.” ანუ ქალებს აქვთ დაბალი პასუხისმგებლობის გრძნობა, ვიდრე კაცებს? სინამდვილეში ეს მითი იმიტომ არსებობს, რომ ქალების შემომწვევას შეუშალოს ხელი პოლიტიკურ პარტიებში, რადგან განათლებული ქალი უფრო ნაკლებკონფორმული იქნება და მეტად კრიტიკული, ამიტომ ის უფრო “არასაიმედო” და “პარტიის მტერიც” კი შეიძლება გახდეს და შფოთი შეიტანოს კონფორმისტულ კაცურ კავშირებში, ხოლო აგიტატორებად იყენებენ ისეთ ქალებს, რომლებსაც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ასეთი დაბალანაზღაურებადი სამუშაოც აწყობთ და ეს სულაც არ ნიშნავს მათ პოლიტიკაში ჩართულობას და არც იმას, რომ ამ ქალებს პოლიტიკა აინტერესებთ, ან იციან. ისინი მხოლოდ საყოფაცხოვრებო პირობების გამო არიან იძულებულნი, ამ საქმიანობებში ჩაერთონ.

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“აღბათ ყოფითი პრობლემები კლავს ქალების აქტიურობას, აი ძალიან ისეთი ბანალურია, მაგრამ ესეც არის, როგორც მასლოუს პირამიდაში, წინაპლანში ყოფითი პრობლემებია, და სუსტდება ლიდერის თისებები, ცვლის სურვილი მძიმდება და წინა პლანზე რიგითი, ყოფითი ცხოვრება იწევს წინ. საჯარო უნარები ბლაგვდება, უკანა პლანზე, ვეღარ დადგები და ვეღარ ედებატები პოლიტიკოსებს.”

ოპოზიცია, საშუალო რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, აღმოსავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ახალგაზრდამ შეიძლება დატოვოს პარტია თუ ანაზღაურებად საქმეს შესთავაზებენ, ეხლა ყველასთვის მნიშვნელოვანია ანაზღაურებადი საქმიანობა ვიდრე ესე, ენთუზიაზმზე, შეიძლება ფიზიკურად არ დატოვოს პარტია, მაგრამ დრო აღარ ჰქონდეს და ვეღარ ასწრებდეს.”

კიდევ ერთი მითი, რომელიც გაანალიზებული გარეპარტიული თეორიული კატეგორიებიდან აღმოცენდა, არის: **“ქალი ერიდება პოლიტიკას იმიტომ, რომ პოლიტიკა ბინძურია”**, რომელიც მუდმივად იწარმოება სოციალური ინსტიტუტების, და განსაკუთრებით მედიის საშუალებით, სადაც ხშირად ჩანს, თუ როგორი “ცემა-ტყეპა” მიდის პარლამენტში. ეს სპეციალურად ხდება, რომ, ერთი მხრივ, მშვიდობიან, მაგრამ კონპეტენტურ ქალებს პოლიტიკაში მოსვლის სურვილი დაეკარგოთ და, მეორე მხრივ, მათ გარემოცვაში, ოჯახსა და სამეგობროში გაჩნდეს შფოთი, რომ შესაძლოა: “ქალი პოლიტიკაში ფიზიკურად დაზიანდეს, იმიტომ რომ სუსტია.” ამ მითის ვითომ დანგრევის სურვილიც კი, შორს მიმართული მანიპულაციაა და სინამდვილეში ქალებს პოლიტიკაში მონაწილეობის ხელისშემშლისკენ არის მიმართული. თუმცა ამაზე მოგვიანებით.

სახელისუფლებო პარტია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“კი, ქალი ერიდება. ერიდება იმიტომ რომ უყურებს, აი, მოდი ჩავრთო ტელევიზორი და ყველაზე კაი მაგალითია რა. რა ხდება ტელევიზორში, როდესაც მიდის დებატები: არანაირი კულტურა, არანაირი ურთიერთპატივისცემა. დაწყებული დედის გინებით, ჭიქების სროლებით და ბორჯომის ბოთლებით...”

ახლა განვიხილოთ კატეგორია **B2. გარეპარტიული შფოთვები ქალის პარტიულობაზე**“ და მისი ქვეკატეგორია: **“ოჯახის/ნათესავებისა და მეგობლების შფოთი** (მშობლები, ქმრები, შვილები, მეგობლები, ნათესავები და მეგობრები);

ოჯახის ფაქტორიც თითქოს გარეპარტიულ დაბრკოლებად ჩანს ქალებისთვის, მაგრამ ესეც შიდაპარტიულია, იმიტომ, რომ პარტიები ახალისებენ “კონფლიქტურობას” პოლიტიკაში, როგორც ზემოთ ეს არაერთხელ განვიხილეთ. “ბინძურ პოლიტიკასაც” პარტიები ქმნიან. ოჯახის წევრებს კი ემინიათ საკუთარი ქალები ამ “ველურ” გარემოში ან არ დაიჩაგრონ, ან არ დაზიანდნენ.

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“დედაჩემი თვლიდა, რომ ეს პოლიტიკა ხომ ბინძური საქმეა და რა გინდა პოლიტიკაში, ხომ გაქვს შენი განათლება, შეგიძლია რომ სხვა სფეროში იყო დაფასებული და რათ გინდა გაგლანძღონ და ასე შემდეგ, და ბრალდებები ანუ ყველა მიმართულებით.”

“ქმრისა და შვილების” ფენომენზე საინტერესოდ საუბრობს პარტიული ქალი რაიონიდან. ეს კომენტარი კარგად ხატავს პარტიის გარეთ არსებულ მამაკაცურობისა და ქალურობის კრიზისს. რესპონდენტის ქმარი მას სთხოვს, რომ აღარ იაქტიუროს პოლიტიკაში, რადგან მასზე თავდასხმის შემთხვევაში, მას ვერ დაიცავს. ანუ თავს ვერ იგრძნობს “მამაკაცურად” და ქალაქში შერცხვება.

არც ეს არის მხოლოდ პარტიის გარედან წამოსული დაბრკოლება და ისიც პარტიების კაცურ და კონფლიქტურ ბუნებას უსვამს ხაზს და ქმრის “მამაკაცურ კონფორმიზმს.” გარდა ამისა, მონაცემების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მოწინააღმდეგე პარტიის წევრი ქალის საქმიანობებისა და აქტივობების ჩასაქრობად, ხშირად ოპონენტები პარტიული ქალის ქმარს მიმართავენ და თხოვენ, მისი ცოლი დამშვიდდეს, ფრაზებით: “შენი ცოლი იქნებ გააჩერო ძმაო, რანაირი კაცი ხარ?”. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს “მამაკაცურობის კრიზისთან” (ის ისეთი კაცია, რომ ვერ აჩერებს ცოლს, ქალი დაუმორჩილებელია, იმას აკეთებს, რაც სურს და ამიტომ ქმარი კაცი აღარ არის), მეორე მხრივ, კი იყენებს პარტიის გარეთ და ზოგადად საზოგადოებაში არსებულ უნივერსალურ ფენომენს: “მამაკაცური კავშირები” (კაცია და გაიგებს, კაცურად დალაპარაკება, ორი კაცი წყვეტს იაქტიუროს თუ არა ქალმა პოლიტიკაში).

ოპოზიცია, ქვედა რგოლის აქტივისტი, 65 წლამდე ქალი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასავლეთი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის არმქონე:

“ჩემი ქმარი არის ჩემი თანამოაზრე ბოლომდე, მაგრამ, ჩემი შვილი ჯერ ერთი, თანამოაზრე არ არის ბიჭი, საერთოდ არავისთან არ არის და ზოგადად ეხლა რას მეუბნება გეტყვი, რომ, აი, რაღაცა ერთი პერიოდი იყო, X-ს ყველაზე მეტად მე დავუპირისპირდი და გარეთ ხომ გავიდა, ხოდა ჩემმა ქმარმა და შვილმა მითხრეს, რომ შეიძლება ჩვენ ქალიშვილს მანქანა დააჯახოს ვიღაცამ და მე როგორც მამაკაცი ვერ დავიცავ და გამიტყდებათ. მერე მე მქონდა ასეთი წინააღმდეგობა, მომენტები რო სხვა დაპირისპირებებიც რომ იყო და ეს რომ გარეთ

გაიტანეს, ჩემმა მეუღლემ მითხრა, რო ხომ იციო, რომ გამიჭირდება დაცვა, არ ვარ ისეთ ფორმაშიო და ნუ მიქმნი პრობლემებსო, ვერ დაგიცავო და რაღაცა. ქართულ რეალობაში მერომ ჩემი მოცემულობით მამაკაცი ვიყო, გაცილებით მეტის გაკეთებას შევძლებდი. მე მამაკაცი რო ვიყო ჩემი შესაძლებლობებით გაცილებით მეტის გაკეთებას შევძლებდი, არათუ კარიერას შევიქმნიდი მართო, ჩემს რესურსს მეტად გამოვიყენებდი, ქალი რომ ვარ, ეს ბევრ რაღაცაში მაბრკოლებს.”

ასევე, ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისაუბრა, რომ ოჯახის პრობლემა რეგიონში უფრო მწვავედ დგას, ვიდრე თბილისში.

სახელისუფლებო პარტია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“მემგონი საკმაოდ მოტივირებულები არიან ქალები, რომ ზოგადად პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთონ. ეს ოჯახის მომენტიც შეიძლება იყოს, რეგიონებში უფრო მეტად, ქალაქებში - ნაკლებად ალბათ. და საკმაოდ მოტივირებულები არიან ზოგადად ქალები, რომ ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა არის რაღაცა სტერეოტიპები, რაც რეგიონებში განსაკუთრებით ხელს უშლის ქალების დაწინაურებას და ამ კუთხით სამუშაოა ბევრი.”

მოკლედ **“ოჯახის ფაქტორი”** კიდევ ერთი, კაცების მიერ შექმნილი მითია, რომელიც რეალობაში მნიშვნელობს. არადა, იმ დაოჯახებულმა ქალებმა, ვინც მოვიდნენ პოლიტიკაში და საწყის ეტაპზე მათი ოჯახები შფოთავდნენ, ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში ადაპტაცია გაიარეს და აღარ აპროტესტებენ ქალის პოლიტიკოსობას. მონაცემებმა გვიჩვენა, რომ თუ ქალი არ “იშლის” პოლიტიკაში მონაწილეობას, ოჯახი, ნათესავები და გარემო ამას დროთა განმავლობაში ეგუება, და ოჯახი არარ წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს.

მითი გამოდგა, ასევე, **“ოჯახის წარმომავლობაზე აპელირება”**, რაც ისევ ელიტურობისა და რეკრუტმენტის სისტემის რეპროდუქციისა და კაცების ძალაუფლების შესაქმნელად გამოიყენება. ყველა აღიარებს, რომ ღარიბი ოჯახები განათლებულ, თავისუფალ და აქტორ ქალებს ვერ ზრდიან. ამით კიდევ ერთელ ხდება იმ ქალების პოლიტიკიდან გარიყვა, ვისაც კულტურული, სოციალური და სიმბოლური კაპიტალი არ

გააჩნია. პარტიული ქალების საქმიანობაზე გავლენას ახდენს ოჯახური წარმომავლობა, ისეთივე ტყუილია, როგორც მითი: “ქალები არ არიან სანდო პარტნიორები.”

ოპოზიცია, ზედა რგოლის მენეჯერი, 65 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“ეს გავლენას ახდენს... როდესაც ვიღაც ისეთ ოჯახში, რომელსაც ფინანსური საშუალებაც, ინტელექტიც მეტი მოსდევს... თავისუფლების მინიჭებაზე არ არის, მას თავის დროზე შესაძლებლობა მიეცა, რომ უფრო მეტი განათლება მიეცა ვთქვათ შვილისთვის, უფრო მეტი აქტივობა ჰქონოდა, საზოგადოების ფართო ფენებთან უფრო მეტი კავშირი ჰქონოდა, ამდენად მისი შინაგანი თავისუფლების ხარისხი მეტი არის და შესაბამისად, პროცენტულად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი ოჯახებიდან წამოსული ქლბატონები უფრო პროცენტულად მეტია პოლიტიკაში, ვიდრე ისეთი, ვინც მოკრძალებული ფინანსური შემოსავლებით, თუ ასე სხვადასხვა სოციალურ ფენას სხვაგვარს წარმოადგენდა უფრო, თუმცა იქაც გვყავს ასეთი ქლბატონები, ეს ეხლა უთუოდ განმსაზღვრელი კრიტერიუმი არ არის, მაგრამ პროცენტულად რომ ეს გაცილებით მეტია, ეს უნდა ვაღიაროთ ახლა.”

სინამდვილეში, “კლასობრივ/ფენობრივი” საზღვრების დანესებით ნარჩუნდება შესწავლილი პარტიების ელიტურობა და მამაკაცური პროფილი.

და ბოლოს: ყველაზე დიდი და დავარცხნილი მითი, რომელიც სახელისუფლებო პარტიის ზედა რგოლის მენეჯერმა პარტიულმა კაცებმა შექმნეს, არის “სამყარო იცვლება უკეთესობისკენ”. ეს კიდევ ერთი სატყუარაა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის უარყოფის მიმართულებით - “ფსევდოდაიმედება”.

სახელისუფლებო პარტია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე კაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“თანამედროვე სამყარო იცვლება და ყველაფერი წინ მიდის და აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულებაა, ასე ვთქვათ, საქმიანი ქლბატონების მიმართაც და პოლიტიკოსი ქლბატონების მიმართაც.”

სახელისუფლებო პარტია, ზედა რგოლის მენეჯერი, 45 წლამდე ვაცი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის მქონე:

“არ ვიცი, ზოგადად, ჩვენ გვინდა, რომ მთლიანად ტრადიცია შევცვალოთ პოლიტიკაში. დღეს ასეა, რომ მუდმივად უნდა ჩხუბობდე, ეს არის ქართული პოლიტიკის მახასიათებლები. ჩვენ გვინდა, რომ ცოტა უფრო რაღაც ევროპული ყაიდის პოლიტიკაზე გადავიდეთ და ასეთ სისტემაში, ანუ ევროპული ტიპის გარემოში, სხვა რამეებს ექცევა ყურადღება. ანუ, სხვა თვისებების გამოვლენაა საჭირო და ამ თვისებებით, რაღაც განსაკუთრებული თვისებებით ქალები სწორედ გამოირჩევიან, ეს შეიძლება ითქვას. ანუ ისეთ პოლიტიკაში, როგორც ჩვენ გვინდა, ქალები შეიძლება უფრო წარმატებულებიც კი იყვნენ, ვიდრე კაცები, გამომდინარე მათი პიროვნული თვისებებიდან.”

გარეპარტიული კატეგორიებისა და “მამაკაცურობისა და ქალურობის გარეპარტიული კრიზისის” გაანალიზებისა და ინტერპრეტაციის შედეგად, მივიღეთ შემდეგი მითები:

- ✓ “ქალებს ურჩევნიათ სხვა სამსახურები”
- ✓ “გოგონებს პოლიტიკაში მოსვლას ურჩევნიათ დაოჯახება”
- ✓ “რაიონელ ქალებს ურჩევნიათ თბილისში წასვლა”
- ✓ “პოლიტიკა ბინძურია”
- ✓ “ქალები პასუხისმგებლობას გაურბიან”
- ✓ “ოჯახი ხელისშემშლელია”
- ✓ “ოჯახური წარმომავლობა”
- ✓ “სამყარო იცვლება”/“ფსევდოდაიმედება”

ახლა შევეცადოთ, შევაჯამოთ კვლევის დროს გაანალიზებული მონაცემები და განვახორციელოთ ინტერპრეტაციის შედეგად გამოვლენილი და-უნერგელი კულტურული პრაქტიკების დეკონსტრუქცია, რომელიც პარტიული ადამიანების (ქალების) ცხოვრებაში მითების სახით ვრცელდება და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პოლიტიკური ცხოვრებიდან მათი განდევნის დროს.

დასკვნა/მითების დეკონსტრუქცია

ბემოთ განხორციელებული მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია გვარწმუნებს, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ქართული ფენომენი, ქალების პოლიტიკიდან გარიყვა არ ეფუძნება ბიოლოგიურ, რელიგიურ ან ბებუნებრივ მოცემულობებს, არ არის განპირობებული ქალების ბიოლოგიური სქესით, ან ე.წ. “ქალური” თვისებებით, ეს მოვლენა სოციალურად კონსტრუირებულია და შემქნილია პარტიული კაცების მიერ, მათივე პრივილეგიებისა და ძალაუფლების კვლავნარმოებისთვის. ტრანსფორმაციულ საქართველოში, ეს ყველაფერი ეფუძნება გლობალური და ლოკალური ინფორმაციების შერევის შედეგად შეცვლილი გენდერული როლების, ისტორიულად არსებული გენდერული სტერეოტიპებისა და “მიკერძოებული განწყობების” შედეგად წარმოქმნილ ე.წ. **“მამაკაცურობისა და ქალურობის რეპროდუქციის კრიზისს პარტიებსა და საზოგადოებაში”**. ეს გულისხმობს ერთი მხრივ იმას, რომ ისტორიულად კაცები დომინირებდნენ საზოგადოებასა და პოლიტიკაში და ახლა უჭირთ ამ პრივილეგიების დათმობა, რადგან ერთი შეხედვით, ქართული საზოგადოება ქართველ კაცებს ისევ “ტრადიციულ მასკულინობას” სთხოვს, რომელიც ძალაუფლების კაცის მიერ უზურპაციას მოიცავს და, მეორე მხრივ, წარმოქმნილია ტრანსფორმაციული რეალობა, რომელიც მოიაზრებს დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებას ქვეყანაში და პოლიტიკაში საქართველოს მოქალაქეების თანაბარ მონაწილეობას ითხოვს, განსაკუთრებით ქალებისას, ვინაიდან ქალები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

ვინაიდან პოლიტიკა ყველაზე მსხვილი სოციალური ინსტიტუტია, რომლის დახმარებითაც ვრცელდება იდეოლოგიები, რომლებიც შემდეგ საზოგადოების გენდერული წესრიგის ფორმირებაზე ახდენს გავლენას, კაცები იძულებული არიან, შექმნან მითები, ამ მითების განხორციელების ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც შეინარჩუნებენ ძალაუფლებას და პრივილეგიებს, როგორც პარტიებში, ასევე საზოგადოებაში. მაგრამ, ამ მოვლენის კრიზისულობა იმაში მდგომარეობს, რომ როგორც უკვე არერთხელ აღვნიშნეთ, ის თანამედროვე დემოკრატიულ გამოწვევებს ვერ უძლებს და რეალობაში სოციალურ, პოლიტიკურსა და კულტურულ პრობლემებს იწვევს.

ჩვენ ფემინისტური კვლევის მეთოდოლოგიის (რომლის მიზანიც არის კვლევებით ქალთა ჩაგვრის⁵¹ სოციალური ბუნების აღმოჩენა და პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცვლილებების გამონწვევა გენდერული თანასწორობის მიზნით), ინტერსექციონალურობის მიდგომის გამოყენებით (რომელიც გულისხმობს რესპონდენტების ცხოვრებაში მრავალი სოციალური კომპონენტის თანაკვეთას და რესპონდენტების მოსაზრებებზე ამ თანაკვეთის გავლენას), თვისებრივი კვლევის მეთოდის, პირისპირი ინტერვიუს საშუალებით, მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის (რომელიც გულისხმობს გაანალიზებული და ინტერპრეტირებული თეორიული კატეგორიების მონაცემებზე დაფუძნებას) საშუალებით, შევადგროვეთ და გავაანალიზეთ ინფორმაცია ქართულ პარტიებში დაუნერეელი სოციალური პრაქტიკების შესახებ. ეს პრაქტიკები ფარულად ან ხილულად ქალების პოლიტიკურ მონაწილეობას უშლის ხელს და გვევლინება მითების სახით, რომელსაც შემდეგ საზოგადოება ისე იღებს, თითქოს ეს ბიოლოგიური ან გეზუნებრივი მოვლენების შედეგად იყოს შექმნილი და ვერ ხედავს ამ მოვლენის სოციალურ, პატრიარქალურ, მჩაგვრელობით ბუნებას.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ **“მამაკაცურობისა და ქალურობის რეპროდუქციის კრიზისის პარტიებსა და პარტიებს გარეთ”** ინვესს **“მამაკაცების შიში, დაკარგონ პრივილეგია/ძალაუფლება”** - ამით ისინი დაკარგავენ **“მამაკაცურობასაც”**, ვინაიდან პრივილეგიას/ძალაუფლებას მამაკაცის სახე აქვს, და **“ქალების შიში, რომ ისინი აღარ იქნებიან კარგი ქალები”**, რომელიც გულისხმობს, შეინარჩუნონ ფემინურობა, დედობა, ცოლობა, მეზობლობა, მეგობრობა და ნათესაობა პარტიული ცხოვრების პირობებში.

ეს კატეგორიები ერთმანეთს არის შერეული და ერთნაირად მნიშვნელობენ პარტიული ქალების ცხოვრებაში და წარმოქმნიან თეორიულ ქვეკატეგორიებს, რომლებშიც იმალება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორები.

“მამაკაცურობისა და ქალურობის კრიზისი პარტიების შიგნით და გარეთ” მოიცავს ორ პატარა ინტერპრეტირებულ კატეგორიას:

⁵¹ და ზოგადად დაქვემდებარებული სოციალური ჯგუფების

1. **“რეკრუტმენტის, დანინაურებისა და ცენტრალიზაცია/ელიტურობის ქართულ ხასიათი პარტიებში”**, რომელიც კომპეტენტურ, “არაკონფლიქტურ”; არაელიტურ, უცნობ, პროვინციულ კომპეტენტურ ქალებს არ უშვებს პოლიტიკაში (ქალების კომპეტენტურობის არაღიარების, შრომის გენდერული დანაწილების ბუნების, “ფსევდომზრუნველობის”, “ცნობადობის ფენომენის”, “ნაცნობების მოყვანის ფენომენის”, “შიდაპარტიული კაცური კონფორმიზმის, პროვინციული და ნონ-კომფორმისტი ქალის “პარტიის მტრად” შერაცხვის საშუალებით) და ახალგაზრდა გოგონებსა და ქალებს აიძულებს, მონახონ პარტიული მოღვაწეობის ალტერნატივები (სასწავლო და სამუშაო მიგრაცია, ანაზღაურებადი სამუშაო, დაქორწინება). ეს ყველაფერი შემდეგ ობიექტურ გარე ფაქტორებად საღდება, სახელდება გარედან მომდინარე ხელისშემშლელ ფაქტორებად და კარგავს იმ რეალურ სახეს, რომელიც პარტიის შიგნიდან მომდინარეობს;

2. **“ქალის სხეულის კონტროლი პარტიებსა და პარტიებს გარეთ და ადგილის მიჩენა საჯაროდან კერძო სფეროში”**, რომელსაც იწვევს **“რეკრუტმენტისა და დანინაურების ქართული ხასიათი”**, რომელიც კაცს უშვებს პარტიაში, იმიტომ რომ ის უფრო კონფორმისტია, შესაბამისად ამყარებს “კაცურ კავშირებს” და ამით პარტია ინარჩუნებს პრივილეგიას, ხოლო ქალთან მიმართებაში ცდილობს, ქალის **ბიოლოგიური** (ორსულობა, სილამაზე, სისუსტე,) და **სოციალური** (დედობა, ქალურობა, ოჯახის წევრებთან კარგი დამოკიდებულება) მოცემულობებით ისეთ მანიპულაციებს მიმართოს, რომელიც საზოგადოებაში, პარტიაში, ქალის ოჯახის წევრებსა და ნათესავებში გამოიწვევს შფოთვას და ხელს შეუშლის ქალების პოლიტიკაში მონაწილეობას.

სწორედ ეს მანიპულაციებია მითები.

შიდაპარტიული და გარეპარტიული კატეგორიებისა და “მამაკაცურობისა და ქალურობის შიდა/გარეპარტიული კრიზისის” გაანალიზებია-ინტერპრეტაციის შედეგად სულ მივიღეთ **18** შიდაპარტიული და **8** გარეპარტიული მითი, ჯამში 26 მითი. შემდეგ დავინახეთ ამ მითების **მიზანი**, რომელიც უნივერსალურია და **მამაკაცური პრივილეგიებისა და ძალაუფლების შენარჩუნებისკენ** არის მიმართული, ვიპოვეთ ამ მითების **განხორციელების ინსტრუმენტები** და შევეცადეთ, მოგვეხდინა მათი **დეკონსტრუქცია** მონაცემებზე დაფუძნებული ინტერპრეტაციის

გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია მითების დეკონსტრუქციის ცხრილი:
 პირველად შევხედოთ შიდაპარტიული მითების დეკონსტრუქციის ცხრილს:

მითი	მითის მიზანი	განხორციელების ინსტრუმენტი	დეკონსტრუქცია
1. "პარტიული კაცი კომპეტენტურია"	კაცური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიებში	<p>რეკრუტინგის/ დანიშნულების ქართული ხასიათი: კომპეტენტური ადამიანების (ქალების) პარტიაში არშემოყვანა, რომ არ გამჟღავნდეს კაცების არაკომპეტენტურობა.</p> <p>ელიტურობა: არაელიტური ადამიანების (ქალების) პარტიიდან გარიყვა, რომლებიც შესაძლოა უფრო კომპეტენტურები იყვნენ და ამხილონ ელიტური კაცები არაკომპეტენტურობაში.</p> <p>პარტიული სამუშაოების გენდერი (ქალური შრომის გაუფასურება):</p>	<p>მონაცემებმა გვიჩვენა, რომ კაცები ქალებთან შედარებით ნაკლებად კომპეტენტურები არიან</p>
		<p>ქალის კომპეტენტურობის საჭაროდ აღიარების სირთულე და "კონფლიქტურობისკენ" გადაშისამართება",</p> <p>"კონფლიქტის" გამოთება, ვინაიდან, თუ "კონფლიქტი" მოისკობა, კაცებს სხვა რესურსი აღარ დარჩებათ პრივილეგიისა და ძალაუფლების სანარჩუნებლად.</p>	

<p>2. “პარტიული ქალი არაკომპეტენტურია”</p>	<p>კაცური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიებში</p>	<p>რეკრუტშენის/დანინაურების ქართული ხასიათი და პარტიული სამუშაოების გენდერი (ქალური შრომის გაუფასურება):</p>	<p>შესწავლილი პარტიული ქალები კომპეტენტურები, პასუხისმგებლიანები და მიზანდასახულები არიან, მაგრამ მათ მაინც არ აწინაურებენ.</p> <p>პარტიაში უშვებენ მხოლოდ აგიტატორებსა და ქვედა რგოლის ქალ აქტივისტებს, რომელთა განათლების დონე დაბალია და ყოფითი ცხოვრება ძალიან გაჭირვებული; ისე ჩანს თითქოს ყველა ქალი განათლებული და ღარიბია და კმაყოფილია აგიტატორად ან კომისიის მდივანად მუშაობით.</p> <p>სინამდვილეში, ბევრი განათლებული ქალი არ არის პოლიტიკაში რეკრუტირებული.</p>
<p>3. წარმატებული პოლიტიკოსი ქალი “კონფლიქტურია”</p>	<p>“მაშკაცური” თვისების სტანდარტად ქცევა და ამით ძალაუფლების და პრივილეგიის შენარჩუნება პარტიებში.</p>	<p>“კონფლიქტური” პარტიული ქალების ნახალოსება და ამით კიდევ ერთხელ უარყოფა იმის, რომ კომპეტენციასა და პასუხისმგებლობას ქალების სახე აქვს.</p>	<p>რესპონდენტი ქალების უმეტესობა ამბობს, რომ პოლიტიკას კონფლიქტი კი არა, უნარები, შრომა და პასუხისმგებლება სჭირდება, და “კონფლიქტი” უგუნური პარტიული კაცების მიერ არის მოგონილი.</p>

<p>4. "ქალები კონფლიქტურები არ არიან"</p>	<p>ქალური მახასიათებლების - "კომპეტენტურობის და პასუხისმგებლობის" დაკნინება და პოლიტიკოსის სტანდარტიდან მოშორება. შესაბამისად გადანაცვრების მიღების სივრციდან ქალების განდევნა და ამით მამაკაცი პრივილეგიების და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიებში.</p>	<p>"შრომის გენდრული დანაწილების ფენომენი";</p>	<p>შესწავლილი ქალების უმეტესობა ამბობს, რომ პოლიტიკას კონფლიქტი ვი არა, უნარები, შრომა და პასუხისმგებლობა სჭირდება, და "კონფლიქტი" უგუნური პარტიული კაცების მიერ არის მოგონილი. სინამდვილეში, ქალებს შიდაპარტიული შრომის დანაწილება აჯაჭვებს სამუშაოებზე (სანერი სამუშაოები, აგიტაცია), რომელიც მათი უნარების ისეთი გზით გამოყენებისკენა მიმართული, რომ ნაკლებ დროს ტოვებს "კონფლიქტისთვის" და ვინაიდან კონფლიქტია პოლიტიკური ქმედებისა და აქტიურობის ჰეგემონური სახე, ქალები აღარ არიან აქტიუნი, ძალაუფლების შექონნი და არიან მხოლოდ "შავი მეშები."</p>
---	--	---	---

<p>5. "პოლიტიკაში ქალების როლი, მთავარი მოქმედება", "ნაცნობობა"</p>	<p>ქალების "დემონიზაცია" და იმის დამტკიცება, რომ თავისთავად არ შეუძლიათ პოლიტიკაში მონაწილეობა, რითიც ინარჩუნებენ პარტიების მამაკაცურ ბუნებას და შესაბამისად, პრივილეგიებსა და ძალაუფლებას პარტიებში.</p>	<p>რეკრუტშენის/დანინაურების ქართული ხასიათი;</p> <p>მამაკაცები ცენტრალური პოლიტიკიდან, ცდილობენ რეკრუტშენისა და დანინაურების სისტემა "რეკომენდაციებსა" და "ნაცნობობას" დააფუძნონ, რათა კიდევ უფრო გაამყარონ თავიანთი ძალაუფლება პარტიის შიგნით. ნაცნობობით პოლიტიკაში რეკომენდაციებით პოლიტიკაში "მოყვანილი" ქალი აღარ წარმოადგენს დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტს/აქტორს, ის არ წარმოადგენს ქალებს პოლიტიკაში, ის წარმოადგენს იმ კაცებს, რომლებმაც პოლიტიკაში მოიყვანეს.</p> <p>დაბუღინება და ურთიერთსტიგმატიზაცია, "განხევების ვაცის" ფენომენი;</p> <p>საზოგადოება ინტერესდება ქალი პოლიტიკოსების პირადი ცხოვრებით და აბუღინებს მათ.</p>	<p>სინამდვილეში ეს შიტი ხელს უშლის ქალების პოლიტიკურ მონაწილეობას, იმიტომ რომ ქალების კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობის განცდის გადაფარვა ხდება "მოყვანის" ფენომენით და იმ ქალებსაც კი უწევთ თავის მართლება, ვინც კომპეტენტური ან განათლებულია.</p>
---	---	---	---

<p>6. "თბილისს უნდა ასე"</p>	<p>ცენტრალიზაცია, კადრების შემოღობვის ხელისშემშლელი და ამით ძველი სისტემის შენარჩუნება, რომელიც ელიტურ კაცებზეა მორგებული. ელიტურმა კაცებმა კონტროლი არ უნდა დაკარგონ ქართულ პოლიტიკაზე</p> <p>მამაკაციური პრივილეგიებისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიებში.</p>	<p>რევრტემენტის/დანანაურების ქართული ხასიათი;</p> <p>ცენტრალიზაცია/ელიტურობა; რაიონებში განსაკუთრებით აქვთ უაყვებს განვითარებული ე.წ. "მილაპარტიული კონფორმიზმი", სწორედ იმიტომ, რომ აღგობრძოდ მათი პრივილეგიებულობის შენარჩუნება და რეპროდუქცია ამ უნარის გამო ხდება.</p>	<p>არაელოტური, პოვიციელი, მაგრამ კომპეტენტური ადამიანები ამას ამხელენ.</p> <p>ერთ-ერთი ოპობიციური პარტიის წარმომადგენელი ქალი მაჟორიტარის შემთხვევა ამტკიცებს, რომ ეს მითია და თუ მის დეკონსტრუქციას მოვახდენთ, ახალი, კომპეტენტური და თბილისს გარეთ მცხოვრები ქალი კანდიდატის დასახელება შესაძლებელია და მოგვებიანიც კი.</p>
------------------------------	---	---	---

<p>7. "პოლიტიკის კეთება მხოლოდ თბილისურ ელიტას შეუძლია"/"პოლიტიკა როგორც ფილმი."</p>	<p>ცენტრალიზაცია, კადრების შემოღობვის ხელოსნობა და ამით ძველი სისტემის შენარჩუნება, რომელიც ელიტურ პაკეზზეა მორგებული.</p> <p>ელიტურმა კაცებმა კონტროლი არ უნდა დაკარგონ ქართულ პოლიტიკაზე</p> <p>მამაკაციური პრივილეგიებისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიებში.</p>	<p>რევრტემენტის/დანანაურების ქართული ხასიათი;</p> <p>ცენტრალიზაცია/ელიტურობა;</p> <p>პარტიული მმართველები თბილისიდან, რაიონებთან დისტანცირებითა და ელიტურობით ინარჩუნებენ პარტიულ ჩაკეტილობას, რომლის შედეგადაც პარტიული ადამიანები ცენტრალურ პოლიტიკას უყურებენ: "ფილმივით" და ცენტრალური პოლიტიკის მკეთებელი პარტიული ადამიანები მათთვის ფილმის რეჟისორებისა და მთავარი გმირებივით არიან. იქნება მითი, რომ "პოლიტიკის კეთება მხოლოდ თბილისურ ელიტას შეუძლია."</p>	<p>მონაცემებში, პარტიული ქალების მონაყოლმა აჩვენა, რომ სანამ ისინი ახლოდან გაიყვანდნენ ცენტრალური პოლიტიკის ნარმოზადგენლებს, პოლიტიკა მათთვის ფილმივით იყო, ხოლო პოლიტიკოსები - მსახიობებივით, განცხებულნი და შორს მდგომნი.</p> <p>ხოლო, მას მეფე, რაც მათ მოახერხეს პოლიტიკოსების ახლოს გაქცობა, უფრო მეტად აქვთ სურველი პოლიტიკაში ყოფნისა და პოლიტიკური საქმის კეთების.</p> <p>"ჩაკეტილობა", "ელიტურობა" ქალებში შემდეგ კომპლექსად ყალიბდება და ადგილობრივ ქალებს არ სჯერათ პოლიტიკაში საკუთარი მონაწილეობის. იმდრო, რომ პოლიტიკა "თბილისური ფილმი", რომელშიც მათ "თბილისელი რეჟისორები" არასოდეს დამტკიცებენ მთავარ როლებზე, იმიტომ რომ ქალები არიან. არც სცენარისტებსა და პროდიუსერებს იცნობენ ახლოს. მთავარ როლებზე ადგილობრივი კონფორმისტი კაცები მტკიცდებიან, რომელთაც მეტი შესება აქვთ თბილისურ "რეჟისორულ ელიტასთან".</p>
--	--	---	---

<p>8. “პროფინციული პარტიული ქალი გაუზრდელოა”</p>	<p>პროფინციული ქალების განდევნა ისევ ელიტურობისა და კაცების ძალაუფლებისა და პრივილეგიის სანარმოებლად პარტიებში.</p>	<p>მითს ასულდგმულეს “ბუნება vs აღზრდის” დებატები, რომელიც გულისხმობს, რომ ყველაფერი, რაც ქალაქის გარეთ არსებობს, არის უკულტურო და გაუნათლებელი და მხოლოდ ქალაქის შიგნით თავსდება კულტურული და განათლებული მოცემულობები, რომელიც საფუძველია პოლიტიკური ცხოვრების სრულყოფის.</p>	<p>უგულვებელყოფილია ის, რომ პროფინციული ქალი შეიძლება იყოს კომპეტენტური, ერთგული და საჭირო პარტიისთვის. მთავარია, არ დაირღვეს ელიტურობა და შესაბამისად მამაკაციური პრივილეგიები და ძალაუფლება, რომელიც კიდევ ერთხელ “მამაკაციურობის კრიზისის” მაჩვენებელია.</p> <p>პროფინციული ქალები “პარტიული ზღვრების” გადალახვასა და პარტიის იმიჯის შელახვაში “მტრის ხატად” წარმოჩინდებიან.</p> <p>არადა, საქართველოში ძალიან ბევრი კაცი პოლიტიკოსი გვახსოვს, რომელმაც უამრავი ზღვარი გადაკვეთა პარტიულიც და გარეპარტიულიც, მაგრამ დღემდე ცენტრალური პოლიტიკის უცვლელი წარმომადგენელია.</p>
--	---	--	---

<p>9. "პარტიული ქალები არასაიმედონი/ არაპრინციპული/ მძიმრები არიან" (ევას მითი)</p>	<p>მამაკაცური პრივილეგიებისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიებში.</p>	<p>აღმოჩნდა, რომ მამინ როდესაც კაცები "კაცური კავშირებისა" და "შიდაპარტიული კონფორმიზმით" გამოირჩევიან და მედმივად ერთმანეთს უდგანან გვერდში, ქალები ასე არ არიან. ისინი ერთმანეთს გვერდში არ უდგანან. შესაძლოა, მათ არ აქვთ იმის გამოცდილება, რომ ქალური კავშირები შედეგის მოშტანია და ამიტომ უფრო ცდილობენ ისევ კაცებთან გარეგნებასა და დამეგობრებას, ვიდრე ქალებთან, რომლებსაც ძალაუფლება არ აქვთ და რაოდენობრივად ცოტანი არიან პარტიაში.</p> <p>მონაცემებზე დაყრდნობით ვარკვევთ, რომ ხშირად თავად პარტიული ქალები ახდენენ თავიანთი პარტიის წარმომადგენელი სხვა პარტიული ქალების დაბეჭდვასა და "დემონიზაციას", "არასაიმედოების" და ე.წ. ქალური ბუნების ხაზგასმით.</p>	<p>მონაცემების ინტერპრეტაციის შედეგად, "პარტიული ქალების უპრინციპობის" მითი დაინგრა და აღმოჩნდა, რომ "შიდაპარტიული კონფორმიზმი" ქალებს იმდენ კი არ აქვთ, რომ უპრინციპობი, მოღალატეები და არასანდონი არიან, არამედ პირიქით, იმდენ, რომ უფრო პრინციპული, კრიტიკული და მეტროლოები არიან პარტიის შიგნით.</p>
---	--	--	--

<p>10. "პარტიული კაცები საიმედონი/ ვრინციულები/ უშობარები არიან"</p>	<p>მამაკაცური პრივილეგიებისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიებში.</p>	<p>კაცები "კაცური კავშირებისა" და "შიდაპარტიული კონფორმიზმით" გამოირჩევიან და მუდმივად ერთმანეთს უდგანან გვერდში და ქალებზე ავრცელებენ არასაიმედოსა და უპრინციუბობის მითს ერთხმად.</p>	<p>არადა, ისევე როგორც ბავშვებმა ბადაშვილის კვლევაში ჩვენმა მოთხოვნებმა აჩვენა, რომ ქალები უფრო ერთგულნი არიან პარტიის, ვიდრე კაცები, როგორც პარტიის ხელისუფლებებში ყოფნის დროს, ასევე, მას შემდეგ, როცა პარტია კარგავს ძალაუფლებასა და პოპულარობას.</p> <p>2012 წელს, ერთერთი ქალი რესპონდენტის მონაცლიდან ვარკვევთ, რომ დასავლეთში, ქართული ოცნების მოსვლის შემდეგ ნაციონალური მოძრაობის წევრმა კაცებმა დატოვეს პარტია და გადავიდნენ ქართული ოცნების მხარეს, ქალები კი დღემდე პარტიის ერთგულები რჩებიან. ანუ, "ქალების არასანდოებად" შეიარაღებულა ერთი მითია, რომელიც მათ "ჩასაყრობად" გამოიყენება პარტიებში. სინამდვილეში, არასანდოობად იფუთება შიდაპარტიული არაკონფორმულობა, რომელსაც ქალის სახე აღმოაჩნდა. ქალები პარტიის შიგნით განხილულ საკითხებს უფრო კრიტიკულად ეკიდებიან, ვიდრე კაცები და უფრო მეტი ერთგულებით ხასიათდებიან, ვიდრე მამაკაცები.</p>
--	--	--	--

<p>11. "პარტიამი ყველაფერს უნდა მოუფეროს"</p>	<p>მამაკაცური პრივილეგიებისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიებში.</p>	<p>კაცებს "შიდაპარტიული კონფორმიზმი" და ცალკე "არაკონფორმისტებად"/"პარტიის მტრებად" შერაცხვა.</p>	<p>აქვე დაინგრა მითი: თითქოს "ცალკე მშობრები არიან" და აღმოჩნდა, რომ კაცებს უფრო ეძინათ სიახლის, კრიტიკისა და ნონკონფორმიზმის პარტიის მიგნით, რაც "მამაკაცურების კრიზისით" იხსნება, რადგან კაცებს უფრო მაღალანამდებლებადი საშასხურები აქვთ პარტიამი და შესაბამისად, უფრო ეძინათ არაკონფორმულობისა და კრიტიკული პოზიციების დაფიქსირების მიდპარტიული განხილვების დროს, რომ არ დაკარგონ მაღალანამდებლებადი სამუშაოები.</p>
<p>12. "ძალაუფლების მქონე პარტიული ქალი კაცს გაცს"</p>	<p>ქალის სხეულის კონტროლით ქალისთვის ადგილის მიჩენა და მამაკაცური პრივილეგიების და ძალაუფლების გამყარება პარტიებში.</p>	<p>პარტიული ქალის სხეულის კონტროლი.</p> <p>"ლამაზი ქალის" (რომელი ტრანსფორმაციაშიდელო გენდერულ ნესრიგში მხოლოდ ქალურ მახასიათებელს წარმოადგენს) ადგილი პოლიტიკაში არ არის და თუ ის პოლიტიკაში იქნება, უმჯობესია, ან ლამაზი და ქალური არ იყოს, ან იყოს მამაკაცური.</p>	<p>განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევიან 35 წლამდე პარტიული ქალები. ისინი აღარ ცდილობენ იაზროვნონ ამ მიმართულებით და მათთვის სექსუალური და ლამაზი ქალი აღარ წარმოადგენს სუსტსა და მონყვლადს პარტიულ ცხოვრებაში.</p>

<p>13. "სამგვასმულად ფემინური ქალი პოლიტიკაში მონეცლადა" / "ლამაში" პარტიული ქალი ხისტი უნდა იყოს."</p>	<p>ქალის სხეულის კონტროლით ქალისთვის ადგილის მიჩენა და მამაკაცური პრივილეგიებისა და ძალაუფლების გამყარება პარტიებში.</p>	<p>თვითსტიგმატიზაცია</p> <p>მართალია, ერთ-ერთი ახალგაზრდა ხამგასმულად ფემინური პარტიული ქალი ამბობს, რომ ის ისეთი უნდა მთლიან, როგორც არის, მაგრამ ბოლოს მაინც შემოაქვს თავის ხასიათში ის თვისებები რომლებიც ვაცურ პოლიტიკაში სტანდარტად არის დამკვიდრებული, ასეთია: "სიხისტე." ამით ის თითქოს თავის ფემინურობას თვითონვე მიიჩნევს სისუსტედ და აძლიერებს "სიხისტის" დამატებით. მოვიდეთ ახალი მითი, რომ "ლამაში" პარტიული ქალი ხისტი უნდა იყოს."</p>	<p>განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევიან 35 წლამდე პარტიული ქალები. ისინი აღარ ცდილობენ, იაზროვნონ ამ მიმართულებით და მათთვის სექსუალური და ლამაში ქალი აღარ წარმოადგენს სუსტსა და მონეცლადას პარტიულ ცხოვრებაში.</p>
<p>14. "ფსევდომორუნველობა"</p>	<p>კაცების უპირატესობის ხამგასმა და ამით კიდევ ერთხელ მამაკაცური პრივილეგიებისა და ძალაუფლების წარმოება პარტიებში.</p>	<p>"შრომის გენდერული დანაწილება"</p> <p>ქალის სხეულის კონტროლი</p> <p>პარტიული კაცები ამბობენ: "ქალი მაჟორიტარი ვერ იქნება, იმიტომ, რომ ის ქალია და სუსტი".</p>	<p>პარტიული ქალები თავად იწყებენ ისეთი სემინარების განხორციელებას, რაც მამაკაცური იდეოლოგია, მაგრამ კაცები "ქალურ" სამუშაოებში არ ერთვებიან (უარს ამბობენ აციტაციამე, თავილობენ და ა.მ.)</p> <p>დავანგრიოთ "პატრიარქალური ინერციის", "ფსევდომორუნველობისა" და "კონფლიქტურობის" მითი. ქალი რესპონდენტები ამბობენ, რომ ქალის მშვიდობიანი ბუნების გამო, მაჟორიტარ კანდიდატად ქალის დასახელება უფრო გაამართლებს. ქალი უფრო შეხედება მოსახლეობას, მოუსმენს და არ გამოიწვევს კონფლიქტს.</p>

<p>15. "მეორითარი ქალი კარდაკარ ვერ ივლის, აგიტატორი - ვი."</p>	<p>კაცების უპირატესობის ხაზგასმსა და ამით კიდევ ერთხელ მამაკაცური პრივილეგიებისა და ძალაუფლების წარმოება პარტიებში.</p>	<p>"შრომის გენდერული დანაწილება" ქალის სხეულის კონტროლი "კაცური ორამზროვნება"</p>	<p>"შვი სიმუშო" გადადის ქალებზე, რომელსაც სჭირდება უნარები და კომპეტენცია; კაცებს არ აქვთ ეს უნარები, ან თავიკლებენ, იმიტომ რომ ასეთი სიმუშაოები "არაკაცურ" საქმიანობად მიიჩნევა განსაკუთრებით პატარა ქალაქებში. სტუდენტი ბიჭების თანხმობა ასეთ სიმუშაოებზე, ისიც თბილისში ანგრეეს ამ მითს, ანუ კარდაკარ აგიტატორად სიარული კაცისთვის რომ სირცხვილია სოციალური კონსტრუქტია, იმიტომ რომ ბიჭები ჯერ კაცები არ არიან და მეუძლიათ ასეთ "დათმობებზე" წასვლა. გამოკითხვები და შეგროვებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქალი პოლიტიკოსები სამოგადლობას უნდა და თავადაც მზად არიან პოლიტიკაში მოსასვლელად.</p>
<p>16. "პატრიარქალური ინერცია" (სამოგადლობას ქალი მაჟორიტარი არ უნდა).</p>	<p>კაცების უპირატესობის ხაზგასმსა და ამით კიდევ ერთხელ მამაკაცური პრივილეგიებისა და ძალაუფლების წარმოება პარტიებში.</p>	<p>"შრომის გენდერული დანაწილება" ქალის სხეულის კონტროლი "კაცური ორამზროვნება"</p>	<p>გამოკითხვები და შეგროვებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქალი პოლიტიკოსები სამოგადლობას უნდა და თავადაც მზად არიან პოლიტიკაში მოსასვლელად.</p>

<p>17. "დედობა პოლიტიკაში შეუძლებელია"</p>	<p>რევრუტმენტის სისტემის შენარჩუნება და შესაბამისად მამაკაცური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიებში.</p>	<p>"ორსული პარტიული ქალის ჩაგვრას" პარტიები შემთხვევით არ ანხორციელებენ, მათ შორის მჭვრეტელი მიზნები აქვთ. ქალის ორსულობითა და დედაობით მანიპულირება მიმდრეკილია რევრუტმენტთან და ჩანასახშივე გამოირიყვას ახალგაზრდა ქალების პარტიამი შემოყვანას, ვინაიდან ისინი ვითომ რისკს წარმოადგენენ პარტიებისათვის.</p> <p>ქალის სხეულის კონტროლი</p>	<p>ეს მოვლენა, რევრუტმენტთან იმით არის მიბმული, რომ ბიჭების აყვანის ნახალოსება ხდება "ქალის ორსულობისა და დედობის" მითის გამოყენებით. სინამდვილეში კი ეს სულ სხვა მიზეზისკენ არის მიმართული. თუ პარტიების ცხოვრებას და მათ მამაკაცური პრივილეგია განაპირობებს "კაცური კავშირები", მაშინ რევრუტმენტის დროს უმჯობესია ისევ კაცები იქნეს პარტიამი მიღებული, რომლებიც შემდეგ შიდაპარტიულად უფრო კონფორმისტები გახდებიან, ვიდრე ქალები და ვიდრე უფრო გააძვარებენ, კვლავ ანარქიულ ელიტური კაცებისა და ზოგადად კაცების ძალაუფლებებსა და პრივილეგიებს პარტიებში.</p>
<p>18. "რაიონებში კადრები არ გვყავს"</p>	<p>რევრუტმენტის სისტემის შენარჩუნება და შესაბამისად მამაკაცური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება</p>	<p>ცენტრალიზაცია, რევრუტმენტის სისტემა და შიდაპარტიული კონფორმიზმის კაცური ხასიათი:</p> <p>რაიონში, პარტიული კაცები ქალების პოლიტიკაში შემოსვლის ბარიერებად ხედავენ: ახალგაზრდა ქალების შემთხვევაში, გოგონების სასწავლებლად წასვლას ან დაქორწინებას, ხოლო შეახნის ქალების შემთხვევაში, ქალების კომპლექსებს საჯარო სივრცეში და ხალხთან ურთიერთობაში.</p>	<p>ქალების პოლიტიკაში მოსვლის ბარიერად ქალები ცენტრალიზაციასა და ე.წ. "პარტიოტელურ ინერციას" მიიჩნევენ და ამბობენ, რომ რაიონში ბევრი ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდა ქალის რევრუტმენტის გამოყენება არ ხდება პარტიის მიერ. გარდა იმისა, რომ ეს მითი ინარჩუნებს რევრუტმენტისა და დანაწილების ქართულ სახეს, ის პოლიტიკაში რიყავს ახალგაზრდა, მოტივირებულ, კომპეტენტურსა და გამოცდილ ქალებს და ქმნის მითს, რომ რაიონში არ არიან კადრები და ვინც არის, მას არ სურს პოლიტიკაში მონაწილეობა და ურჩევნია სწავლა, ან დაქორწინება.</p>

ქვლა კი შეეცხედლოთ გარეპარტიული მიოთების დეკონსტრუქციის ცხრილს:

გარე პარტიული მიოთები	მიოთის მიზანი	განხორციელების ინსტრუმენტი	დეკონსტრუქცია
1. "ქალებს ურჩევნიათ სხვა სამსახურები"	მამაკაციური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიაში	რეკრუტმენტისა და დანიშნულების ქართული ხასიათი; ცენტრალიზაცია, ელიტურობა და ჩაკეტილობა შრომის გენდერული განაწილება და ქალების შრომის დაბალი ანაზღაურება	პარტიების ელიტურობისა და მამაკაციური პრივილეგიის ქალებისთვის პარტია დასაქმების საშუალებად არ განიხილება. ისინი იძულებულნი არიან დასაქმების ალტერნატიული წყაროები მოიძიონ, რომელიც მათთვის უფრო ხელმისაწვდომია.
2. "გოგონებს პოლიტიკაში მოსვლას დაოჯახება ურჩევნიათ"	მამაკაციური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიაში.	რეკრუტმენტისა და დანიშნულების ქართული ხასიათი; ცენტრალიზაცია, ელიტურობა და ჩაკეტილობა შრომის გენდერული დანაწილება და ქალების შრომის დაბალი ანაზღაურება	პარტიები ამჯობინებენ ბიჭების რეკრუტმენტს ვიდრე გოგონების და ამიტომ არის გოგონებისთვის "დაქორწინება" ცხოვრების გაგრძელების ალტერნატიული საშუალება და არა იმიტომ, რომ არ უნდათ პოლიტიკაში მოსვლა. ბიჭებს ამჯობინებენ შიდაკონფორმულობის გამო, რომელიც ამყარებს "მამაკაციურ კავშირებს"

<p>3. "რაიონულ ქალებს ურჩევნიათ თბილისში ნასვლა"</p>	<p>მამაკაცური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიაში.</p>	<p>რეკრუტმენტისა და დანაწარმების ქართული ხასიათი; ცენტრალიზაცია, ელიტურობა და ჩაკეტილობა შრომის გენდერული დანაწილება და ქალების შრომის დაბალი ანაზღაურება.</p>	<p>არ არსებობს პატარა ქალაქების განვითარების კონცეფცია, რომელიც ახალგაზრდებს მშობლიურ ქალაქებში დაბრუნებას, რომ მათი შესაძლებლობები რაიონულმა პარტიებმა, ან სხვა ორგანიზაციებმა გამოიყენონ. პარტიული ქალი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პატარა ქალაქებში სავსაოა რაოდენობით არიან განათლებული და კომპეტენტური ქალები, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც არ ხდება მათი პარტიაში განეკრივება.</p>
<p>4. "პოლიტიკა ბინძურია"</p>	<p>მამაკაცური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიაში.</p>	<p>ინარმობა სოციალური ინსტიტუტების, და განსაკუთრებით მედიის სამუალებით, სადაც ხშირად ჩანს, თუ როგორი "ცემა-ტყეპა" მიღის პარლამენტში.</p>	<p>ეს სპეციალურად ხდება, რომ ერთი მხრივ, მშვიდობიან, მაგრამ კონკრეტულ ქალებს სურვილი დაეკარგოთ პოლიტიკაში მოსვლის და, მეორე მხრივ, მათ გარემოცვაში, ოჯახსა და სამეგობროში გაჩნდეს შფოთი, რომ შესაძლოა: "ქალი პოლიტიკაში ფიზიკურად დაზიანდეს, იმიტომ რომ სუსტია."</p>

<p>5. "ქალები პასუხისმგებლობას გაურბიან"</p>	<p>მამაკაცური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიაში.</p>	<p>შრომის გენდერული დანაწილება და ქალების შრომის დაბალი ანამდგურება განათლებული ქალების სტიგმატიზაცია.</p>	<p>განათლებული ქალი უფრო ნაკლებკონფორმისტული იყნება და მეტად კრიტიკული, ამიტომ ის უფრო "არასაიმედო" და "პარტიის მტერიც" კი შეიძლება გახდეს და შფოთი შეიტანოს კონფორმისტულ კაცურ ვაჭვირებში;</p> <p>აგიტატორებად იყენებენ ისეთ ქალებს, რომლებსაც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ასეთი დაბალანაზღაურებადი სამუშაოც აწყობთ და ეს სულაც არ ნიშნავს პოლიტიკაში ჩართულობას და არც იმას, რომ ამ ქალებს პოლიტიკა აინტერესებთ, ან იყიან. ისინი მხოლოდ საყოფაცხოვრებო პირობების გამო არიან იძულებულნი ამ საქმიანობებში ჩაერთონ.</p>
<p>6. "ოჯახი ხელისშემშლელია"</p>	<p>მამაკაცური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიაში</p>	<p>პარტიები ახალისებენ "კონფლიქტურობას" პოლიტიკაში. "ბინძურ პოლიტიკასაც" პარტიები ეწინაა. ოჯახის წევრებს კი ეშინიათ საკუთარი ქალები ამ "ველურ" გარემოში არ დაიჩაგრონ და დაზიანდნენ ფიზიკურად.</p>	<p>დალატახებული ქალები, ვინც მოვიდნენ პოლიტიკაში, სანაყის ეტაპზე მათი ოჯახები შფოთავდნენ, ნელაწელა, დროთა განმავლობაში ოჯახებმა ადაპტაცია გაიარეს და აღარ აზრობენ ქალებს პოლიტიკოსობას.</p>

7. "ოჯახური წარმომავლობა"	მამაკაცური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიაში.	რეკონსტრუქციისა და დანაწარმების დროს "კლასობრივ/ფენობრივი" საზღვრების დანესებით წარჩუნდება შესწავლილი პარტიების ელიტურობა და მამაკაცური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება.	ერთერთი რესპონდენტის მაგალითი გვარჩვენებს, რომ უმამო ქალმა პოლიტიკოსმა მოახერხა ის, რასაც არავინ ელოდა, დააგროვა საკმაოდ მაღალი პროცენტული რაოდენობის ხმები. ანუ პოლიტიკაში წარმატება პოლიტიკოსის უნარებზეა დამოკიდებული და არა იმაზე, თუ როგორ თუხში გაიზარდა.
8. "სამყარო იცვლება"/"ფსევდო-დაიმედება."	მამაკაცური პრივილეგიისა და ძალაუფლების შენარჩუნება პარტიაში	"ორაზროვნების" მამაკაცური სახე; "ფსევდოდაიმედება"	ამ მითს ანგრევს არჩევნების შედეგები, დამოუკიდებლობის 26 წლის მანძილზე ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა საქართველოში ძალიან ნელა, ან საერთოდ არ იზრდება.

მითების დეკონსტრუქციის მცდელობა, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს პარტიული მიზეზის სოციალურ ბუნებას და მის მიზანს, შენარჩუნებული იქნეს პარტიების მამაკაცური პრივილეგია და ის ძალაუფლება, რომელიც მათ უფრო პრივილეგიურულად წარმოაჩინს ვიდრე ქალებს, ბიჭებს ან სხვა გენდერული იდენტობის, ასაკისა და წარმომავლობის მქონე საქართველოს მოქალაქეებს.

რეკომენდაციები:

1. პარტიებმა უნდა შექმნან “გენდერის სამუშაო ჯგუფები”, რომლის წევრებიც იქნებიან როგორც კაცები, ასევე ქალები. ამ ჯგუფში შეიძლება რეკრუტირდნენ ახალგაზრდა ქალები და კაცები, როგორც თბილისიდან, ისე რეგიონებიდან;
2. “გენდერის სამუშაო ჯგუფის” საქმიანობა მიმართული უნდა იყოს, ერთის მხრივ შიდაპარტიული გენდერული ცნობიერების ამაღლებისკენ (რომელიც მოიცავს ზოგად საკითხებს: “რა არის გენდერული მენისტრიმინგი პარტიებში” და ა.შ.) და მეორეს მხრივ, გაამახვილოს ყურადღება კონკრეტულ გენდერულ საკითხებზე: “ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა”, “ტრანსფორმაციულ პერიოდში მამაკაცურობისა და ქალურობის კრიზისი პარტიებში”, “შიდაპარტიული დემოკრატია და გენდერული მენისტრიმინგი” “ქალის სხეულის კონტროლი პარტიებში” და ა.შ;
3. “გენდერის სამუშაო ჯგუფმა” უნდა სცადოს დაფინანსების მოძიება და განახორციელოს მცირე პროექტები, რომლის ფარგლებშიც თავის თავზე უნდა აიღოს პარტიის წევრების მომზადება სხვადასხვა ფოკუსირებულ გენდერულ საკითხებზე;
4. პარტიაში უნდა არსებობდეს “გენდერის სამუშაო ჯგუფების ქსელი” და ჩამოყალიბდეს “სოციალური კავშირები” სხვადასხვა რაიონებისა და თბილისის გენდერის სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის, რომლის საშუალებითაც წევრები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, დაგეგმავენ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებს ფოკუსირებულ გენდერულ საკითხებზე;
5. “გენდერის სამუშაო ჯგუფმა” უნდა შექმნას გენდერული სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, ხოლო, ამის შემდეგ განახორციელოს შიდაპარტიული გენდერული აუდიტი, რომელსაც შიდაპარტიული გენდერული სამუშაო ჯგუფების ქსელის დახმარებით გაავრცელებს რეგიონებსა და რაიონებში;
6. პარტიებმა უნდა დახვეწონ რეკრუტმენტის, შიდამოხილობისა და დანინაურების წესები, დააფუძნონ ის კომპეტენციებსა და უნარებს, შესაბამისად აღიარონ ქალების კომპეტენტურობა და საქმისადმი პასუხისმგებლობა და დაასრულონ მანიპულაციები “კონფლიქტურობის მითის” კვლავწარმოებით;
7. პარტიებმა უნდა შექმნან შიდაპარტიული მექანიზმი, კვოტირების სისტემა, რომელიც ქალებს გზას გაუხსნის პოლიტიკაში და გამოიწვევს მათი უნარებისა და კომპეტენციების გამოყენებას პარტიულ სამუშაოებში;

8. პარტიებმა უნდა სცადონ, რომ დაანგრიონ “ჩაკეტილობისა” და “ელიტარულობის” ფენომენი და შეეცადონ, გზა გაუხსნან ახალგაზრდა კომპეტენტურ და მოტივირებულ ქალებსა და კაცებს, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან. კვლევის მონაცემების გაანალიზებამ გამოამჟღავნა, რომ როდესაც პარტიამ გადალახა ე.წ. “პატრიარქალური ინერცია” და დაასახელა ქალი მაჟორიტარობის კანდიდატი, ეს მოვლენა პარტიისთვისაც სასარგებლო და წარმატებული ნაბიჯი გამოდგა;
9. საკმარისი არ არის საარჩევნო პროგრამებში გენდერული საკითხების ასახვა, ან მომავლის უკეთესობის მოლოდინში ყოფნა და მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების საამებლად “დავარცხნილი” ენით საუბარი გენდერსა და ქალების პოლიტიკაში თანაბარ მონაწილეობაზე, ვინაიდან საბოლოო ჯამში, ეს მხოლოდ ფურცლებსა და მედია არქივში რჩება და არანაირი ზეგავლენა არა აქვს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობაზე, საჭიროა, გენდერული საკითხების ექსპერტთა რეკრუტირება პარტიებში, რომლებსაც დაევალებათ დაეხმარონ “გენდერის სამუშაო ჯგუფებს” პრიორიტეტების დალაგებასა და შიდა-პარტიული გენდერული ცოდნის შექმნაში;
10. პარტიებმა უნდა მოახერხონ და დაუახლოვდნენ რეგიონულ/რაიონულ ოფისებს და ადგილობრივად პარტიული საკითხების დაგეგმვასა და მართვაში გამოიყენონ იმ პარტიული ქალების ცოდნა და გამოცდილება, რომლებიც წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებიან რაიონულ ოფისებს;
11. პარტიული ქალები ცენტრიდან ხშირად უნდა შეხვდნენ რაიონში მცხოვრებ პარტიულ ქალებს და ვინაიდან როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი იტყოდა: “მხოლოდ ყავაზე ან ჩაიზე შეიძლება მათ რამე მოაყოლო და გაიგო რეალურად მათი პრობლემები”, პარტიებმა უნდა დანერგონ ე.წ. “სოციალური სადამოების” კულტურა, რომლის ფარგლებშიც პოლიტიკოსები ცენტრიდან და პარტიული ქალები რაიონიდან ერთად დაგეგმავენ ღონისძიებებს, დაწყებული მარტივი, გასართობი ექსკურსიებიდან, დამთავრებული შიდაპარტიული რეალობის განხილვებითა და დისკუსიებით;
12. ე.წ. “სოციალური სადამოები” ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ნელ-ნელა დაიწყოს შიდაპარტიული შრომის გენდერული დანაწილების ფენომენის დეკონსტრუქცია. სხვადასხვა საქმიანობები, მწვადის შეწვიდან დაწყებული, ნარჩენების მოგროვებით დამთავრებული არ უნდა შეიცავდეს გენდერული ნიშნით დანაწილების ელემენტებს;
13. პარტიებში უნდა დაარსდეს ე.წ. “ქალების სამეგობროები” და ქალებმა

უნდა ისწავლონ “ქალური კავშირების” შექმნა და ერთმანეთის გაძლიერება;

14. პარტიამ შიდაპარტიული ქალები უნდა მოამზადოს კამათისა და დებატების ხელოვნებაში, რათა მათ მოახერხონ და ისწავლონ საკუთარი პოზიციების დაცვა და არგუმენტირება;
15. პარტიებმა უნდა მიიღონ შიდაპარტიული რეგულაციები, რომელიც დაარეგულირებს “ორსული” და “დედა” პარტიული ქალების ხელისშემშლელსა და მანიპულატორულ პრაქტიკებს პარტიებში;
16. პარტიული კაცები უნდა გადამზადდნენ გენდერული შეინსტრუქციის პრინციპების გამოყენებით;
17. პარტიებმა თავისი რაიონული პარტიული ქალების ცხოვრება და ისტორიები უნდა შეაგროვონ და გაასაჯაროვონ სოციალურ ქსელებსა და ზოგადად მედიაში, სცადონ შექმნან პრეცედენტი და ხილული გახადონ ამ ქალების ღვანლი პარტიების წინაშე;
18. პარტიებს განახლება, ახალი სიცოცხლე და თანამედროვე გამოწვევებზე მორგება ჭირდებათ. ისინი გადაქცეულნი არიან “ჩაკეტილ ორგანიზმებად”, რომელიც ვეღარ ვითარდება და განიცდის სტაგნაციას. “ვიდაცეების პატიად არიან ქცეულნი”. უამრავი ახალგაზრდა, მოტივირებული ქალია, თუნდაც თბილისურ სოციალურ აქტივიზმში და შესაძლოა მათი უნარების გამოყენება და არა იმ მითის შექმნა, რომ ამ ქალებს არ სურთ პოლიტიკაში მონაწილეობის მიღება და არასამთავრობო სექტორიდან ამჯობინებენ მთავრობის კრიტიკას;
19. და ბოლოს, პარტიებმა უბრალოდ უნდა დაასახელონ ქალი მაჟორიტარობის კანდიდატები, იმიტომ, რომ კვლევის მონაცემები გვიჩვენებს ამ ნაბიჯის წარმატებულობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ურჩუხიშვილი, ქართული სხეულის სოციოლოგია, “ბიოლის ფონდი”, თბილისი, 2016 წელი;
2. ე. გიდენსი, “სოციოლოგია”, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2012 წელი, გვ. 388-42;
3. თ. საბუღაშვილი, “გენდერი და დემოკრატიზაცია. საქართველო: 1991-2006”. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, ანგარიშები და პილიტიკის კვლევები #1, 2006 წელი;
4. თ. ცხადაძე, “ანტიფემინიზმი: უმეცრება, უპასიხისმგებლობა, თუ ბრძოლა პრივილეგიების შენარჩუნებისათვის?”, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, 2014 წელი, გვ. 9-27;
5. თ. მელაშვილი, “ვის ეშინია ფემინიზმის საქართველოში”, “თანამედროვე ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში”, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, 2014 წელი, გვ.115-124;
6. თ. ზურაბიშვილი, “თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში”, სოციალურ მეცნიერებათა სერია, CSS, თბილისი, 2006 წელი, გვ21;
7. “პოლიტიკა და პარტიები, დამხმარე სახელმძღვანელო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის.”, თბილისი 2015, გვ. 24;
8. ს. რეინჰარცი, “ფემინისტური მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, დასკვნები”, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 135-185;
9. B. Turner, “The Body and Society”, Third Edition, SAGE, 2008, pp. 1-17;
10. E. Gejadze, “The Results of Transition Period on Women’s Political Participation: Case Study of Georgian Female Politicians’ Ousting from Decision-Making Powers (Analysis from the “Rose Revolution” till 2010); VDM Verlag Dr. Müller, 2010;
11. H. R. Bernard, “Research Methodology in Anthropology”, Altamira Press, 2006, pp. 492-493;
12. K. Chkheidze, “Women’s Political Participation During Democratic Transformation: The Case of Georgia”, International PhD Program in Gender Studies, CSS, Tbilisi, 2014;
13. M. L. DeVault, “Liberating method: feminist and social research”. Philadelphia, Temple University Press, 2009, pp. 30-31;
14. O. Hankivsky, PhD, “Intersectionality 101”, The Institute for Intersectionality Research & Policy, SFU, 2014, pp. 2-3;
15. O.Koefoed, “Masculinity in Crisis”, Roskilde University, 2012, pp. 10;
16. T. Bagratia & M. Badashvili / D. Jijelava / I. Khmaladze, “Intra-party democracy and local governance”, NIMD (Netherlands Institute for Multiparty Democracy, Georgia Representation), Tbilisi, 2012, pp. 7-31;
17. W. L. Neuman, Social Research Methods, Allyn and Bacon, 1994, pp. 322;
18. Y. Abu-Laban, “Gendering the Nation-State: An Introduction”, UBCPress.Vancouver. Toronto, 2008, pp. 1-21.

